ქართულობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№179 (238) 17-24 ივლისი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ეჭვმიტანილია სიგიჟეში!

მსოფლიოს შვიდი ფსიქიატრიული კლინიკა მიხეილ სააკაშვილის ფსიქიკურ მდგომარეობაზე სკანდალურ დასკვნას აკეთებს. ესენია:

*– ტონსბერგის ფსიქიატრიული ცენტრი, ორსნესალი, ნორვეგია;*
*– საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი, ოსლო, ნორვეგია;*
*– ფსიქიატრიის დეპარტამენტი, ფინეთი;*
*– ნერვული დაავადებების ცენტრი, ქრისტიან ალბრეხტის უნივერსიტეტი, კიოლნი, გერმანია;*
*– ფსიქიატრიის დეპარტამენტი, ჟენევის უნივერსიტეტი, შვეიცარია;*
*– ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის დეპარტამენტი, ვენის სამედიცინო სკოლის უნივერსიტეტი, ავსტრია;*
*– კლინიკური ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ამსტერდამის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები.*

ყველაფერი დაიწყო (უფრო სწორად – დამთავრდა) 2012 წლის 14 ივნისს, როცა ვილნიუსის ერთ-ერთმა კლინიკამ, სადაც წინა ღამით ჩააფრინეს უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი, მას ოფიციალურად დაუსვა დიაგნოზი: **“ქრონიკული ფორმის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი”.** უნდა ავხსნათ, რომ ამ ფსიქოზის არაქრონიკული ფორმა ექვემდებარება ხანგრძლივ ემისიებს, ანუ სიმპტომების შემსუბუქებას. სააკაშვილის შემთხვევაში კი ეს დაავადება (ქრონიკული ფორმა) მუდმივ მკურნალობასა და სტაციონალურ დაკვირვებას მოითხოვს. მართალია პრეზიდენტის ადმინისტრაცია შეეცადა ამ ამბის მიჩქმალვას, მაგრამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა. **სააკაშვილის დაავადება**: აქვს მწვავე შეტევები და ამგვარი გამწვავება სააკაშვილს ჰქონდა 2012 წლის 4 იანვარს, როდესაც თბილისის ღუდუშაურის კლინიკაში მიიყვანეს, ვითომ ხელის მოტეხილობით. ქართულ კლინიკაში პრეზიდენტის ჰოსპიტალიზება არ მომხდარა – იგი პირდაპირ ბალტიისპირეთში გადააფრინეს. მანამდე, ჯერ კიდევ 2007 წელს, მისი მეგობარის, უკრაინის პრეზიდენტ იუშენკოს ექიმებმაც მაშინ დაუსვეს დიაგნოზი – **“მწვავე პარანოიდალური სინდრომი”,** მაგრამ იმ წლის ნოემბრის მოვლენებმა გადაფარეს ყველაფერი და არც იმისათვის მიუქცევია ქართულ მასმედიას ყურადღება, კიევში, საქართველოს საელჩოსთან გიჟის თეთრი ხალათებით რომ მოაწყვეს ახალგაზრდებმა საპროტესტო აქცია. ეტყობა, ხუთი წლის განმავლობაში სააკაშვილის დაავადებამ ტრანსფორმაცია განიცადა და **“სინდრომი”** გადაიზარდა **“ფსიქოზში”**. აღნიშნულზე კომენტარი გააკეთა ცნობილმა ქართველმა ფსიქიატრმა პროფესორმა მარინა დეისაძემ, თუმცა მან არ იცოდა, რომ ეს პრეზიდენტს ეხებოდა:

**“ამას მოჰყვება შემდეგი უფრო მძიმე ხარისხის პერიოდი – მანია ფსიქოზური სიმპტომებით – აწეული გუნება-განწყობა, თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის არარსებობა, განდიდების მანია, უცხო წარმოშობის ბოდვები, აჩქარებული, წყვეტილი და გაუგებარი მეტყველება. ზოგჯერ ჰალუცინაციური მოვლენები. ავადმყოფს შეიძლება ჰქონდეს აგრესიული ქცევებიც...”**

ამ დროს ადამიანს აღენიშნება მოტორული სფეროს აგზნება, გუნება-განწყობის აწევა და ასოციაციების აჩქარება. თანაც, ეს მანიაკალური ეპიზოდი შეიძლება იყოს სამი ხარისხის. პირველი და იოლი ფორმაა – ჰიპომანია, როდესაც თვალშისაცემია ავადმყოფის გუნება-განწყობის აწევა და ადამიანი ასეთ დროს კარგ ხასიათზეა, ამაღლებული ფიზიკური აქტივობა აქვს. შემდეგი ხარისხია მანია ფსიქოზური სიმპტომების გარეშე. ამ დროს ადამიანის გუნება-განწყობა უდარდელი განწყობიდან უკონტროლო აგზნებამდე მერყეობს. ასოციაციები ზედაპირულია და ზერელე. ამ ყველაფერმა შეიძლება განაპირობოს არაპრაქტიკული და არაადექვატური ქცევები. ამ დროს ავადმყოფის ჩვეული საქმიანობა და ცხოვრების წესი პრაქტიკულად მოშლილია. ამას მოჰყვება შემდეგი უფრო მძიმე ხარისხის პერიოდი – მანია ფსიქოზური სიმპტომებით – აწეული გუნება-განწყობა, თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის არარსებობა, განდიდების მანია, უცხო წარმოშობის ბოდვითი იდეები, ჰალუცინაციური მოვლენები. ავადმყოფს შეიძლება ჰქონდეს აგრესიული ქცევებიც (გაიხსენეთ მის მიერ ძუძუმოჭმული მომღერალი ქალი, დაცვის წევრების ცემა ანაკლიის სასტუმროში, ლიფტში ჩაკეტვისას, ომის დაწყება 2008 წლის აგვისტოში და სხვა). ამ დროს აუცილებელია ავადმყოფის, გარკვეული პერიოდით მაინც, სტაციონარში მოთავსება. თუმცა ქრონიკული დაავადების დროს მკურნალობას პრაქტიკულად ეფექტი არა მოაქვს.

ამ სამარცხვინო მოვლენის გასააზრებლად საჭირო იქნება გადავხედოთ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წარსულს.

## ანამნეზი და ოჯახური ისტორია

სააკაშვილის ბავშვობის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ არსებობს. გაიზარდა მარტოხელა დედის ოჯახში და ამ გარემომ გამოიწვია მისი დედასთან მიჯაჭვულობა. ღრმა ემოციური ტრავმის გამო, რომელიც ადრეულ ასაკში გადაიტანა, საკუთარი ბიოლოგიური მამის მიმართ მას გაუჩნდა ნეგატიური დამოკიდებულება და აგრესია. მოგვიანებით, მამინაცვალთანაც დაძაბული და მტანჯველი ურთიერთობა ჰქონდა. მას ასევე პრობლემები ჰქონდა თავისი ასაკის ადამიანებთან ურთიერთობასაც და მას ხშირად ექცეოდნენ როგორც გარიყულს და მარტოსულს. ეს სიტუაცია ნაწილობრივ გამოსწორდა და მისი სოციალური უნარ-ჩვევები გაუმჯობესდა, როცა საშუალო სკოლაში სწავლისას იგი გახდა სკოლის დრამატული წრის წევრი და მონაწილეობას იღებდა თეატრალურ სპექტაკლებში.

ამავდროულად, კლასელებთან ერთად აქტიურად ჩაერთო კინომოყვარულთა საქმიანობაში, **პორნოფილმების ჩათვლით.** როცა ამის შესახებ ცნობილი გახდა და სკოლაში დიდი სკანდალი ატყდა, მას მოუწია ქალაქის დატოვება და საცხოვრებლად კიევში გადავიდა. მომდევნო პერიოდში იგი გადაეშვა ცხოვრების იმ სტილში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო დროსტარება, წვეულებები და სექსი. იგი საკუთარ ბინას ხშირად სთავაზობდა თანაკურსელებს ინტიმური საქმეებისათვის, რასაც იგი პოპულარობის მოსახვეჭად და ადგილის დასამკვიდრებლად იყენებდა. იგი კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია და კომკავშირიდან გარიცხეს. სიტუაციის დასაწყნარებლად იგი წავიდა ჯარში და ორი წელი იმსახურა.

## ქცევის მოდელები

სააკაშვილის სოციალური ქცევის ზოგადი მოდელი განპირობებულია გარემოზე მუდმივი კონფლიქტით. მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრირებას უკეთებს საკუთარ გულწრფელობას, ექსპრესიულობას და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს. **იგი ატარებს შინაგანი დაძაბულობის, ნერვიულობის, ეჭვიანობისა და ემოციური დაუცველობის ყველა ნიშან-თვისებას.** მისი ქცევის არავერბალური კომპონენტი განსაკუთრებით რეპრეზენტაციული და ინფორმატიულია. მაშინ, როცა მისი სახის გამომეტყველება, როგორც წესი, არის გამოხატველი და შეესიტყვება მისი ქცევის კონტექსტს, მისი ჟესტიკულაცია (ხელების მოძრაობა **“ჰაერის ჭრის”** მსგავსი, ხელის მტევნების გამუდმებული სპაზმური მოძრაობები მისი ეს **“ჩაკეტილი”** მოდელი არ იცვლება ვერბალური კომუნიკაციის მთელი პერიოდის განმავლობაში, მაშინაც კი, როცა საკომუნიკაციო გარემო დადებითი და მისთვის სასიამოვნოა), დგომის მანერა, პოზა და მოუქნელი სხეული ანუ **“bodi lenguij”** კონტექსტიდან ამოვარდნილია.

## ისტერიული სააკაშვილის მოტივაციის ფაქტორები

როცა გრძნობს, რომ საკმარისად არ მიაგებენ პატივს, იწყებს ფოკუსირებას საკუთარ სიამაყესა და ღირსებაზე. მისი ეგოცენტრიზმი პრივალირებს ალტრუისტულ ტენდენციებსა და საჯარო ინტერესებზე, რომელთა დემონსტრირებასაც საჯაროდ ახდენს. ეს განსაზღვრავს მის უუნარობას, ადექვატურად გააკონტროლოს საკუთარი შინაგანი უკმაყოფილების აფეთქება. ასეთი აფეთქება, შესაძლოა, მოხდეს მაშინაც, როცა იგი შეგნებულად და გულწრფელად აპირებს გამოხატოს საკუთარი ლოიალობა, მზაობა – ითანამშრომლოს ოპონენტებთან. სააკაშვილმა გამოაჩინა, რომ მისთვის ძნელია თავი მოუყაროს და ორგანიზება გაუკეთოს საკუთარ სათქმელს, როცა მას მოულოდნელ, რთულ და პერსონალურად უსიამოვნო კითხვებს უსვამენ. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილს, ზოგადად, კარგი ვერბალური უნარ-ჩვევები აქვს, ზემოაღნიშნული გარემოებებისას იბნევა და საქმესთან დაკავშირებული პასუხების თავიდან აცილების მიზნით იყენებს გრძელ და ცარიელ ფრაზებს. ამით ცდილობს, დაჯაბნოს ოპონენტი. ერთ-ერთი შეხვედრისას, როდესაც მას საკუთარ შემოსავლებზე ჰკითხეს, ქცევის ამ მოდელს მიმართა და თავი აარიდა პასუხს. სააკაშვილის უკიდურესი ეგოცენტრიზმი ხშირად მისთვისვე ხდება პრობლემა ისეთ სიტუაციებში, როცა საჭიროა ახალი და ორიგინალური, სპონტანური რეაქციები. იგი ინტუიტიურად გრძნობს ამ წინაღობას და ცდილობს, საკუთარი ეგოცენტრიზმის დამალვას მჭერმეტყველებით და უკიდურესად დამაჯერებელი მანერით და ელის, რომ მოახდენს მაგიურ, ჰიპნოზურ ეფექტს თავის ოპონენტებზე.

შესაბამისად, სააკაშვილის ქცევა ცხადჰყოფს, რომ მისი ემოციური პასუხი და უნარი, გამოხატოს აღგზნების, აღელვების ნიშნები, იქიდანაც ჩანს, როცა მისი პერსონა, მისი განსაკუთრებულობა და მნიშვნელობა ხდება სჯა-ბაასის ცენტრალური საკითხი. ერთხელ, როცა იგი პოზიორობდა თავისი მანქანის წინ, რომლის საქარე მინასაც ნატყვიარები ეტყობოდა, აგზნებული და, იმავდროულად, გაბრწყინებული გამოიყურებოდა, რომ არ ვთქვათ, ბედნიერი. ფაქტს, რომ იგი მკვლელების **“სამიზნე”** იყო, მსოფლიო ლიდერების და მნიშვნელოვანი ადამიანების რანგში აჰყავდა. მიუხედავად მისი გადაჭარბებული, თეატრალიზებული განწყობისა, აშკარად წინასწარგანზრახული სტილისა, ახასიათებს სპონტანურობის, თავისუფალი ქცევისა და შოუმენის თვისებები, რაც ასე დამახასიათებელია სხვა ისტეროიდული ტიპაჟებისათვის.

## ფსიქოლოგიური ასპექტი

მიხეილ სააკაშვილის ინტელექტუალური კომპონენტი, გონებრივი განვითარების კოეფიციენტი საშუალოზე მაღალია. დისკუსიის აქტიური დონე, ანალიტიკური უნარ-ჩვევების და იდეის ფორმირების კარგი მაჩვენებელი აქვს. სუბიექტის იდეის ფორმირებისკენ მიმართული გააზრებული (ხშირად კი – გაუაზრებელი) ქმედება, ერთის მხრივ, მოიცავს იმპულსურობას. ემოციური ლოგიკის და შინაგანი იმპულსების ტენდენციას და, მეორეს მხრივ, მუდმივ კონცეპტუალიზაციას, სტატიკური, ემოციურად გადატვირთული იდეების ან იდეათა ჯგუფის შექმნას. მას აქვს უნარი, მოახდინოს საკუთარი გამორჩეულობის და მნიშვნელობის დეკლარირება სწორედ ასეთი იდეების უკიდურესი სიხისტის გამო. სააკაშვილი გახსნილია მხოლოდ ისეთი ინფორმაციისათვის, რომლის კონცეპტუალურ სტრუქტურასაც ეთანხმება და მთლიანად გამორიცხავს იმას, რაც ამ სტრუქტურის მიღმაა. **მსგავსი მიდგომის უკიდურეს გამწვავებას, შესაძლოა, მოჰყვეს მეგალომანიაში** (განდიდების მანია – რედ.) **გადავარდნა, აკვიატებული ან მანიაკალური სინდრომი, რაც პერსონალური რწმენით ხასიათდება, რომ ხარ – რჩეული.**

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ზოგადი განათლების დონე საშუალოზე მაღლია და ასეთივე მაღალია უნარი, დაამყაროს ვერბალური, სწრაფი და მიზანმიმართული კომუნიკაცია არტისტულობით, **მის მსჯელობას აკლია სიღრმე, ორიგინალურობა და დამოუკიდებლობა.** თავი მოაქვს, როგორც განსაკუთრებულს, შემოქმედებითს და ექსკლუზიურს. **მისი მსჯელობა არის ორდინალური, პროგნოზირებადი და, ხშირ შემთხვევაში, აგებულია საქვეყნოდ ცნობილ ფაქტებსა და პლაგიატიზმზე.** როცა იგი მოულოდნელ სიტუაციაშივარდება, ან უსვამენ მოულოდნელ კითხვებს, მას უძნელდება სწორი პასუხების მოძებნა და საკუთარი იმიჯის გადასარჩენად იწყებს მრავალსიტყვიანი ფრაზების გამოყენებას, გადადის სხვა თემაზე.

სუბიექტის აქტიურობის ზოგადი დონე მომატებულია: ამბიცია, ამაოება, უპირატესობის შეგრძნება, უკიდურესი კონკურენცია და დომინანტობის სურვილი. **სავარაუდოდ, საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების გრძნობის დაბალმა დონემ – არასრულფასოვნების კომპლექსმა** (ორივე ჩამოუყალიბდა ბავშვობაში, მაგრამ დღეს იგი მათ უმკლავდება) **გამოიწვია მისი ასეთი ლტოლვა ძალაუფლებისადმი.** შიდა ფაქტორებმა ტრანსფორმაცია განიცადა და ამიტომაც **ზოგჯერ სრულიად ჰკარგავს რეალურობის შეგრძნებას, ადექვატური ქცევის და რეალობის აღქმის უნარს.**

სააკაშვილის ემოციური აგზნებულობა საშუალოზე მაღალია. მიმართულია წარმოაჩინოს ჰიპერაქტიურობის სტაბილური ნიშნები, აქვს საკუთარი ღირებულებების ჭარბი პატივისცემა და სხვებისგანაც ანალოგიურს მოითხოვს. იგი ძალზედ აქტიურია, შესაძლოა, იყოს შურიანიც, ენერგიული და მიზანმიმართული პირადი მიზნების მისაღწევად.

მისმა ძლიერმა ეგოცენტრიზმმა, საკუთარი თავის დამკვიდრების სურვილმა სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა განსაზღვრა და თანამდებობა მხოლოდ ინსტრუმენტი ხდება იმ გამოცდასა და ძიების პროცესში, რასაც საზოგადოების მიერ აღიარება ჰქვია. **იგი იმდენად შეპყრობილია შინაგანი ვნებით, დაიმკვიდროს თავი, რომ არ შესწევა უნარი, მიიღოს იმ საზოგადოების ფასეულობები, რომელმაც ერთხელ იგი არ მიიღო.** შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მომავალში გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ კონფლიქტს საზოგადოებასთან. **მნიშვნელოვანია, ვაღიაროთ: ძალაუფლებისადმი სწრაფვაში მას ადვილად შეუძლია დაჰკარგოს საფრთხის შეგრძნება და საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგების ბუნებრივი შიში, რამაც, შესაძლოა, გააკეთებინოს სერიოზული პრობლემების პროვოცირება, პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების ჩათვლით!**

თუ პროფესიონალთა მიერ მოცემულ ამ განმარტებებს მივყვებით, სააკაშვილის საქციელი, ფაქტობრივად, ერთი ერთზე იმეორებს ამ სიმპტომებს. აქ კი არ შეიძლება არ გაგვახსენდეს **“ეროვნული ფორუმის”** გარდაცვლილი წევრის ნიკო ორველაშვილის სიტყვები: **“წავა ეს კაცი ფსიქიატრიულში და ჰააგის ტრიბუნალის სხდომებსაც არ დაასწრებენ. ასე გადარჩება ციხეს და მერე ჩვენ უნდა ვიჯდეთ აქ და თავი ვიმტვრიოთ – საქართველოს ათი წელი ფსიქიურად ავადმყოფი რომ მართავდა დადასტურებული დიაგნოზითო”.**

ნაკლებ სარწმუნოა, რომ ამ ამბის თაობაზე ცნობები არ ჰქონოდა ავადსახსენებელ ედუარდ შევარდნაძეს, და მით უმეტეს აუცილებელია მისი გასამართლება, სამშობლოს ღალატის ბრალდებით, რადგან სწორედ მან ჩააგდო ქვეყანა ამ დღეში, გარკვეულ ძალებთან ბინძური გარიგებით, პრეზიდენტის თანამდებობის უზნეოდ გაყიდვით და მისი გიჟისათვის გადაცემით.



# "ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან"

## "შავზღვაენერგოს" გენერალურმა დირექტორმა დეპუტატებს სახელმწიფო კომპანიის საქმიანობა გააცნო

სწორედ ამ კომპანიის მუშაობის თაობაზე გააკეთა მოხსენება დეპუტატების წინაშე **"შავზღვაენერგოს"** გენერალურმა დირექტორმა რეზო ზანთარიამ. საამისოდ მან გამოიყენა ფერადი სლაიდები, სქემები და შესაბამისი ბარათები. მან დეპუტატებს გააცნო კომპანიის სტრუქტურები, მისი მოღვაწეობის არეალი, ფულადი სახსრების ხარჯვა 2009-2011 წლებში, ხელფასის ფონდის ოდენობა, კონკრეტული ციფრებით დაადასტურა წარმოების მოგებები და გადასახადების ოდენობა, ასევე ისაუბრა მოსახლეობის მიერ დაგროვილ დავალიანებაზე კომპანიისადმი და სხვა.

ზანთარიამ დაწვრილებითი ანალიზი გააკეთა და ციფრებით გამოსახა კომპანიის ფინანსირების ნიუანსები, შემდეგ კი დაწვრილებით ილაპარაკა ენგურჰესის მუშაობის თაობაზე. ისაუბრა იმაზე, რომ მკაცრი ზამთრის პირობებში მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება გაიზარდა თითქმის ორმოცი პროცენტით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ზამთარში ელექტროენერგიის მოხმარება არ შემცირდება და შეიძლება გაიზარდოს კიდეც, რაც გამოიწვევს ელექტროგადამცემი ხაზებისა და ტრანსფორმატორების გადატვირთვას. პრობლემების თავიდან ასაცილებლად ენერგეტიკოსები განახორციელებენ ენერგიის ვეერულ ჩართვებს.

აფხაზი დეპუტატები დაინტერესდნენ რუსეთის ენერგოკომპანია **"რაო ეეს"**-თან საქმიანი კონტაქტების თაობაზე, კერძოდ – ხომ არ მოეწერა ხელი რაიმე სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას რუსეთის ამ გიგანტურ კომპანიასთან. ზანთარიამ განმარტა, რომ რამდენიმე წლის წინ ეს საკითხი მართლაც დადგა, მაგრამ აფხაზური მხარე არ დააკმაყოფილა ხელშეკრულების პროექტის მოთხოვნებმა, ამიტომ, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აფხაზურ და რუსულ მხარეებს შორის არ გაფორმებულა.

შეხვედრაზე წამოიჭრა ისეთი საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა აფხაზეთის მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებათა უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და მოსახლეობის დავალიანების დაფარვის გზების მოძიება. ზანთარიას ინფორმაციით მხოლოდ სოხუმის მცხოვრებთა დავალიანება მოხმარებული ელექტროენერგიისათვის 120 მილიონ რუბლს შეადგენს. დეპუტატებმა გადაწყვიტეს, რომ თავადაც ჩაერიონ ამ საკითხების მოგვარებაში და წამოაყენეს წინადადება, რომ ახალი ნიხრების შედგენისას გათვალისწინებული იქნას გეოგრაფიული პრინციპებიც. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე მიაქციეს ყურადღება ელექტროქსელებში ტექნიკურ ჩართვებთან დაკავშირებულ ხელშესახებ პრობლემებს და აფხაზეთზე გამავალი მაღალი ძაბვის ხაზების დროულად შეკეთების აუცილებლობას.

ასევე განიხილეს რუსეთსა და აფხაზეთს შორის ენერგეტიკის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის პროექტის მომზადების ასპექტები. პარლამენტარები დაინტერესდნენ **"სოხუმჰესისა"** და მდინარე ენგურზე განთავსებული ვარდნილჰესების ბედით. კერძოდ, დაისვა სოხუმის ჰესის ინვესტირებისა და აღდგენის საკითხი და მოისმინეს დაწვრილებითი ინფორმაცია ენგურჰესის სამეურნეო საქმიანობის თაობაზე.

პარლამენტის დეპუტატებმა წამოაყენეს აფხაზური ეროვნული ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებული საკითხები და ხაზი გაუსვეს იმის აუცილებლობას, რომ აფხაზეთში მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურები უნდა მუშაობდეს.

აფხაზეთის პარლამენტის სპიკერმა ვალერი ბგანბამ მადლობა გადაუხადა რეზო ზანთარიას შინაარსიანი ინფორმაციის მოწოდებისათვის და აღნიშნა, რომ ამ თემაზე საუბრები კვლავაც გაგრძელდება, იმიტომ, რომ სწორედ ენერგეტიკა გახლავთ აფხაზეთის რესპუბლიკის მნიშვნელოვანი დარგების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი.



# ეს იყო აფხაზეთის სუვერენიტეტზე თავდასხმა

ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმის მოწყობა ლამის მანკიერ თვისებად ექცათ დამნაშავე ელემენტებს. მას მაშინაც ესროლეს, როცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო. ვიცე-პრეზიდენტა მუშაობის დროსაც უნდოდათ მისი ლიკვიდაცია. და, როგორც ხედავთ, მას არც პრეზიდენტობისას ეშვებიან და იარაღით დასდევენ. წინა ხუთი თავდასხმისას დაზარალებულები იყვნენ, მაგრამ ტერაქტებმა მსხვერპლის გარეშე ჩაიარეს. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ თავდასხმების მონაწილეებს ვერ პოულობდნენ, ავი ენები იმასაც კი ამბობდნენ, რომ ანქვაბი თავად უწყობს ტერორისტულ აქტებს საკუთარ თავს, რათა მოსახლეობაში მისმა ავტორიტეტმა აიწიოსო. არ არის გამორიცხული, რომ მავანმა უკანასკნელი თავდასხმაც ინსცენირებად ჩათვალოს, მაგრამ ყველას გაუმარჯოს თავის საქმეში!

ჩვენ კი ახლა ამ თავდასხმების მიზეზებზე გვინდა გესაუბროთ.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, აფხაზეთის დღევანდელი მთავრობის ყველაზე აქტიური კრიტიკოსი სწორედ პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი გახლავთ. პრეზიდენტად არჩევის პირველსავე კვირაში მან სასტიკად შეუტია შინაგან საქმეთა სამინისტროს თითქმის ყველა სტრუქტურას, გაწმინდა გენპროკურატურა, გაანთავისუფლარა გენპროკურორის ორივე მოადგილე, შეაჩერა მიგრაციის სამსახურის საქმიანობა და დააწიოკა გაგრის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივი. იგი ღიად, ყოველგვარი მინიშნებისა და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ლაპარაკობს აფხაზეთის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არსებულ კორუფციაზე, პასპორტებისა და მიწის ნაკვეთების უკანონო გაყიდვებზე, ჩინოვნიკთა თვითნებობაზე და სახელმწიფოს ხაზინაში ხელის ფათურზე, იმ თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშულებზე, რომლებიც კანონის სრული იგნირირებით ავიწროებენ ბიზნესმენებს და სძალავენ მათ ფულს. ამასთან, ანქვაბი თავის ამ ბრალდებებს ადასტურებს კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტებით, ციფრებით, რაც მისი ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე არავისათვის იყო ცნობილი, ან საქმის კურსში იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიწრო წრე. ბევრი ვინმე თვლიდა, რომ ანქვაბის მიერ გადადგმული ეს გაბედული ნაბიჯები პიარკამპანია გახლდათ აფხაზეთის პარლამენტის არჩევნების წინა პერიოდში, რაც არ შეიძლება განხილულ იქნას სერიოზულად, რადგან, ვინც არ უნდა იქნას არჩეული პარლამენტში, იგი მაინც პრეზიდენტის მიერ გამკაცრებული პოლიტიკური სივრცის მორჩილი იქნება.

ამის თაობაზე ანქვაბმაც შესანიშნავად იცის და მას იაფი პოლიტიკური რეკლამა არაფერში სჭირდება. თანაც, ანქვაბის მუშაობის სტილი გამიჯნულია ფუჭი მუქარებისა და სიტყვიერი კაზუისტიკისაგან და იგი არასოდეს ესწრაფვის საეჭვო საზოგადოებრივ რეზონანსს.

გაპრეზიდენტებამდე შვიდი წლის განმავლობაში ანქვაბი ჯერ კიდევ არ იყო პირველი პირი და ნაკლებად აქტიური გახლდათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. ახლა ამისათვის მას არც თუ იშვიათად საყვედურობენ, რომ არაფერს აკეთებდა წესრიგის დაცვისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი ბერკეტები ეპყრა ხელთ. დიახ, იგი იყო პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრეზიდენტი – ნამდვილად მაღალი პოსტებია! მაგრამ მას შემდეგ, რაც აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, სერიოზული საკითხების **"გადაწყვეტის კომპეტენცია"** პრეზიდენტის მიერ იქნა უზურპირებული. ყველა სხვა მმართველობითი სახელმწიფო ინსტიტუტი, დემოკრატიული ტაბელის რანგის ფარგლებში ითვლებოდა მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც უფლებაშეზღუდულ რგოლად, თუმცა მაინც თამაშობდა გარკვეულ როლს ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ნებისმიერი ქარიზმატული ლიდერი, რაოდენ შთამბეჭდავის არ უნდა იყოს იგი, მაინც **"ამოვარდება მჭიდიდან"**, თუ არსებული წესრიგი წინააღმდეგ წავა. ამიტომ იყო, რომ **"რკინის"** ალექსანდრე ანქვაბი სერგო ბაღაფშის პრეზიდენტობის პერიოდში არ აკეთებდა მკვეთრ მოძრაობებს, მაგრამ იგი მოთმინებით ელოდა თავის სვებედნიერ საათს, რაც დაუდგა კიდეც და მან სახელმწიფოს მართვის საჭე ჩაიბარა. ეს პატივი ბატონ ალექსანდრეს ერგო უაღრესად რთულ პირობებში. ქვეყანაში იმდენად მომძლავრებული იყო კორუფცია, რომ ეჭვის ქვეშ იდგა აფხაზეთის სუვერენიტეტის საკითხიც კი. რაღაც ათი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მორალი სრულად იქნა დევალვირებული, სამოქალაქო შეგნების დონე კი შეიძლებოდა შეგვედარებინა ამერიკელ ინდიელთა დელავერის ტომის წარმომადგენლებისათვის, რომელთაც ოთხასი წლის წინათ კუნძული მანჰეტენი გაცვალეს სარკის ნატეხებში, ფერად-ფერად მძივებსა და რამდენიმე ყუთ ვისკიში.

ჰამლეტისეული **"ყოფნა-არყოფნის"** დილემა მთელი სიმაღლით აიმართა ალექსანდრე ანქვაბის წინაშე. მას კი არ სურდა ყოფილიყო იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომლისთვისაც სუვერენიტეტი სარცხვინელზე აფარებული ლეღვის ფოთოლი იქნებოდა.

სხვაგვარად მას თავს არ დაესხმოდნენ!

**ინალ ხაშიგი**



# 170 ჰექტარზე ბაღი გაშენდება

2010-2012 წლები შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის აღორძინების წლებად, რადგან ომისშემდგომ წლების პერიოდი დიდად არ გამოირჩეოდა ამ დარგის წინსვლით. რუსეთის მიერ დაფინანსებული **"აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის"** თანახმად აფხაზეთის აგროსამრეწველო კომპლერქსს გამოეყო 721 მილიონი რუბლი. შესაბამისად, 2010 წელს ათვისებულ იქნა 250 მილიონი რუბლი, 2011 წელს – 140 მილიონი რუბლი, 2012 წელს კი 330 მილიონი რუბლი. ჩატარებული სამუშაოების შესახებ გვესაუბრება აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი ბესლან ჯოპუა:

**"2010 და 2011 წლები იმით იყო გამორჩეული, რომ ძირითადად დაკავებული ვიყავით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენით და აფხაზეთში შემოყვანით. საერთო ჯამში ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის ბაზა შეივსო 121 ერთეულით, რამაც განაპირობა საბოლოო წარმატება. ყველა რაიონში შეიქმნა შესაბამისი სარემონტო ბაზით აღჭურვილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები (რასაც ვერასგზით ვერ მივაღწიეთ საქართველოში – გაზ. "ილორი"), რის შემდეგაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადაუნაწილდათ რაიონებს შემდეგი თანმიმდევრობით:**

**გალის რაიონს – 16 ერთეული;**

**ტყვარჩელს – 10 ერთეული;**

**ოჩამჩირეს – 20 ერთეული;**

**გულრიფშს – 18 ერთეული,**

**სოხუმს – 10 ერთეული;**

**გუდაუთას – 20 ერთეული;**

**გაგრას – 9 ერთეული.**

**გარდა ამისა, 6 ერთეული ტექნიკა გადაეცა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და 5 ერთეული – გაერთიანება "აფხაზჩაის".**

**2011 წელს დაიწყო ხეხილის დარგვის სამუშაოები, რისი მომზადებისთვისაც სოფლის მეურნეობის ინსტიტუტს ჩაერიცხა 30 მილიონი რუბლი. სულ აფხაზეთის მასშტაბით, სხვადასხვა რაიონებში, ხეხილისათვის, გაიწმინდა და მომზადდა 170 ჰექტარი ფართობი და კონკრეტული სამუშაოები გაიშალა 2012 წელს.**

**წელს უკვე მზადაა ხეხილის ბაღები მთელ აფხაზეთში. ვაშლის ნერგები იტალიიდან ჩამოიტანეს. ესაა ტანმორჩილი ხეები, რომელიც მსხმოიარობით გამოირჩევა და ერთ ჰექტარზე 30 ტონა ვაშლს იძლევიან. ჰექტარზე 2100 ხე ირგვება. კაკლის, ფეიხოას, ლეღვისა და ხურმის ნერგები გამოიყვანეს სპეციალურ სანერგეში, რომელიც სოფლის მეურნეობის ინსტიტუტმა ააშენა. შემოდგომაზე ხეხილით კიდევ 80 ჰექტარი ფართობი დაიტვირთება.**

ამრიგად, ახალგაშენებული ბაღები უკვე სამ წელიწადში მოგვცემენ პირველ მოსავალს, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოფლის მეურნეობაში.

ამავე დროს, მიღწეულია შეთანხმება რუსეთის კომპანის "იუჟ-პოლივთან", რომელიც აფხაზეთში ააშენებს წვეთოვან სარწყავ სისტემას. კომპლექსური გეგმის ფარგლებში მოხდება სხვა პროექტების რეალიზაციაც. კერძოდ, ქვეყნის პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის დავალებით მოხდება ჩერნორეჩენსკის თევზსაშენის აღდგენა, რისთვისაც უკვე მზადდება კონკრეტული ხარჯთაღრიცხვა. ამ პროექტის ღირებულებაა 57 მილიონი რუბლი.

ასევე მიდის მუშაობა მებოსტნეობის დარგის განვითარებისათვის".



# ხალხს სიმართლეს ვერ დაუმალავ...



ნიურბერგის პროცესზე ფელდმარშალ ვილჰელმ კეიტელს, სხვა მრავალ ბრალდებასთან ერთად, საკუთარი ბრძანება დაუდეს წინ **არმიის, ეს-ეს**-ის და **პოლიციის** საერთო ღონისძიებებით იმ ფრანგი ოფიცრების და ჯარისკაცების ოჯახის წევრთა დასჯის შესახებ, ვინც რუსების მხარეს იბრძოდნენ; ამ დანაშაულს ამაზრზენი და საზიზღარი უწოდეს.

რა შეიძლება ეწოდოს ამ ხელისუფლების მიერ თავისუფლად მოაზროვნე, სიმართლის სიყვარული ადამიანებს სამსახურიდან დათხოვნას და დევნას, მათი ოჯახის წევრების, ნათესავების სამსახურიდან განთავისუფლებას; ყველა ოპოზიციურად მოაზროვნის დაშინებას, საარსებო საშუალების მოსპობას და ბოლოს დაპატიმრებას, სამშობლოდან გაძევების, ან ლიკვიდაციის მცდელობას?

ახლა უკვე კანონით მოწონებული ნადირობაა გაჩაღებული ბიძინა ივანიშვილის საქმიანობაზე, არადა მას მთელი საქართველო უჭერს მხარს, რამეთუ დღევანდელ გაუსაძლისი არსებობიდან თავის დახსნის პერსპექტივას ხედავენ.

ბიძინა ივანიშვილმა ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრება უარყო და მთელი თავისი ოჯახით ქვეყნის გადასარჩენად მძიმე ბრძოლაში ჩაებ,ა საკუთარი ერის უბედურებად ქცეულ ხელისუფლებასთან. ამგვარ საარაკო თავდადებას სამშობლო განსაკუთრებული პატივით ინახავს და გმირებს უკვდავებით მოსავს.

ამ ეგრეთ წოდებულმა ხელისუფლებამ ფაშისტური ძალადობის ყველა ფორმას გაუგო გემო და იმდენად მოეწონა, არაფრით აღარ ეთმობა, რადგან უმისოდ ხალხის მრისხანე სამსჯავროს წინაშე მოუწევთ ჩადენილი ცოდვების ერთმანეთზე გადაბრალება. ასე იმართლებდნენ თავს ფაშისტი დამნაშავეები ნიურბერგის პროცესზე ადამიანთა მოდგმის სიძულვილით ჰიტლერთან თავს რომ იწონებდნენ.

ნაციონალების პანდორას ყუთიდან ამოფრენილი რომელი ცოდვაც გინდა ისეთ დანაშაულს შეიცავს ქვეყნის და ერის წინაშე, რომ ყველაზე მუხთალ, ხალხის მიერ დაწყევლილთა შორის ისტორიის სანაგვეზე ადგილი გარანტირებული აქვთ.

დღეს საქართველოში ადამიანები სიცრუეში ისე ფართხალებენ, როგორც თევზები უჟანგბადო აქვარიუმში. ამ ხელისუფლებას სიცრუით გონებადაბურუებული ადამიანები სჭირდება და, ვაი იმისი ბრალი, ვინც ეცდება ამ ილუზიით დაბნელებული გონების სიმართლის სხივით განათებას.

რა შეიძლება ეწოდოს ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმებას იმის გამო, რომ ოჯახებს სატელევიზიო ანტენებს უდგამდა?! თუ ნამდვილი ხელისუფლება ხარ და ხალხზე ზრუნავ, რატომ უნდა გეწყინოს?! თუ მართალი ხარ და სხვა ცრუობს, დაე ხალხმა ესეც მოსმინოს და ისე დამცინავად გაიღიმოს, როგორც მიშას ყოველდღიურ სატელევიზიო ტაკიმასხარაობაზე.

ხალხს სიმართლეს ვერ დაუმალავ, იგი ნელა მოძრაობს და არავითარ ძალას მისი შეკავება და მოსპობა არ შეუძლია, რამეთუ ადამიანთა ყველა სიწმინდის და კეთილდღეობის ურყევი საფუძველია.

საქართველოს რეგიონები კი ხელისუფლების ცრუპენტელა ტელევიზიების მიერ არის ოკუპირებული. როგორი საყურებელია ყოველდღე ერთი და იგივე სიცრუით შენელებული სისულელის მოსმენა: თურმე რუსეთმა დრო შეურჩია და ომი მაშინ დაიწყო, როცა მიშა და მთელი მისი მთავრობა საზღვარგარეთ დასასვენებლად იყვნენ წასული. თუ ასე იყო, წითელ ხიდზე რაღა ზედახორა გამართეს, დარჩენილიყვნენ სადაც ისვენებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნაძარცვით გატენილი ჩემოდნების წასაღებად შემოირბინეს. ისე კი, თავმოყვარე პრეზიდენტი შეშინებული და საცოდავი, ცხვირით მიწას რომ თხრის, იმ სურათის გამოქვეყნების შემდეგ, პრეზიდენტად დარჩენას კი არა, ხალხში გამოსვლასაც უნდა ერიდებოდეს. ეს კიდევ ტელევიზიით დადის და სპეციალურად მორეკილ ბრბოს თავის მაგარ ბიჭობაზე ბამბას უჩხრიალებს. გერმანელები **"ჰაილ ჰიტლერს"** რომ ღრიალებდნენ, ბევრი გულისხმობდა, უმკურნალეთ ჰიტლერსო. ახლა საქართველოში ბევრი იძახის, დააბით მიშა, რადგან მისი მკურნალობა დაგვიანებულიაო.

გადაერთეთ ამათ ნებისმიერ ტელევიზიაზე – ტრაბახის, სიცრუის და ცილისწამების როკვაა. რატომ გაცოფდნენ ბიძინა ივანიშვილის მიერ ანტენების დადგმის გამო? შე ძალად მაცხონევ! შეეშვი ტაკიმასხარაობას და შენც მოგისმენენ, მაგრამ მოძალადე მატყუარას ეს რაში აწყობს, ვაი იმისი ბრალი, ვინც ეცდება სიმართლის მოსმენით უიმედობის დამშვიდებას. რატომ მაიძულებ, რომ შენი პრეზიდენტის ყოველდღიურ სისულელეს ნერონის თეატრის სცენაზე როკვასავით ვუყურო, რათა შემდეგ სინანულით ვიცინო მის თავქარიანობაზე.

რომელი ნორმალური ადამიანი იკადრებდა სტუდენტ გოგონებთან იმაზე ტრაბახს, თუ როგორი გაუკუღმართებული სექსი ჰქონდა თვითმფრინავში ვიღაც მდედრთან. ეს იტალიაში რომ წამოეროშათ, მთელი ხალხი ფეხზე დადგებოდა, ამგვარ პრეზიდენტს გადააყენებდნენ. ამ თვინიერ ქართველებთან კი ყოველგვარი უზნეობის კადრებას ბედავენ. ნუთუ ნაციონალებს აღარ შერჩათ ისეთი ნორმალური წევრები, რომ ამგვარ გაფრენამდე სადმე მისი ბარტყიანად ტელევიზიის გარეშე აჭენაონ, რამეთუ ტელევიზიის ეკრანიდან გაფრენილი მწყრების დაჭერას და ისევ გადახურებულ თავში ჩაკეტვას ველარ ახერხებენ. რატომ უნდათ, რომ ხალხმა ამ თავაშვებულობას უყუროს, რათა მის სექსუალურ გმირობაზე აღფრთოვანებით ილაპარაკონ თავშეყრის ადგილებზე.

დემოკრატიის ნიღაბაფარებული მოძალადე დემაგოგები როდემდის შესძლებენ ადამიანთა დამცირება, დაშინება, დამონებით ნებივრობას. ხალხი გაალატაკეს და მშვიდად არიან, რამეთუ პრეზიდენტის ყოველდღიური ბოდვის გარდა სხვა ყველაფრის მოსმენის საშუალებას უსპობენ. იმასაც რა ენაღვლება, ქექავს ნაცარს და ყვარყვარეს ზღაპრებს ერთი და იგივე ნოტზე აგალობებს ისე, რომ შენიშვნა და სიტყვის შებრუნება არ შეიძლება, თორემ, თუ ჯონდი ბაღათურიას კრიტიკის გამო პარლამენტიდან გაფრთხა და ძლივს მოაბრუნეს, რეგიონებიდან დამფრთხალს ლაზიკაში ჩაყვინთულს თუ დაიჭერენ.

დღეს, როცა მთელმა მსოფლიომ იცის ფაშიზმის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილიო უმძიმესი დანაშაულის შესახებ, ვის შეუძლია ეყოს თავხედობა და ამ საშინელი ურჩხულის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა წმიდათაწმიდა ობელისკები დაანგრიოს. ამათ ეს იკადრეს და თანაც საქართველოს ხელისუფლებას იბრალებენ. განა მარტო თუნდაც ეს ცოდვა საკმარისი არ არის, რომ ხალხის მკაცრი სამსჯავროს წინაშე წარდგნენ?! როცა ადამიანი სულს სატანას მიჰყიდის და ამქვეყნიური განცხრომის მოხვეჭის სანაცვლოდ ჯოჯოხეთის ბილიკზე შედგება, სხვების ტანჯვა-წამების ხარჯზე ეშმაკის მიერ ნაჩუქარ ამქვეყნიურ ნებივრობას ხალხი ჩააშხამებს და ჯოჯოხეთის კარზე მიკაკუნებამდე ამქვეყნიურობას ჯოჯოხეთად უქცევს.

მთელი ქართველი ხალხი ემზადება საშინელი ნაციონალური მოძრაობის ჭუჭყის ჩამოსარეცხად. ამას კარგად გრძნობენ ეს ბოდვისშვილები და იმის მაგიერ, რომ ჩადენილი ცოდვების გამოსასყიდად სიკეთის გზას დაადგნენ, კიდევ უფრო ღრმად ეფლობიან დანაშაულის სიბინძურეში.

თუ ქვეყნის და ერის ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლები არიან, რატომ ებღაუჭებიან ხელისუფლების სადავეებს, რომლითაც მთელი ქვეყანა უბედურების ბრჭყალებში ფართხალებს. თუ ხალხის სასიკეთოდ ირჯებიან, რაღად უნდათ იმავე ხალხის დასარბევად შემართული ჟანდარმერიად ქცეული უამრავი შეიარაღებული ფორმირებები. რაში სჭირდებათ ხელისუფლებაში ისეთი ჯდომა, როცა ხალხი ამათ დანახვაზე იწყევლება და ფურთხს არ იშურებს. იქნებ დაინტერესდნენ და თვალი გადაავლონ ისტორიას, თავის ხალხთან მებრძოლ ხელისუფლებას ძალადობით რაც უფრო გაუხანგრძლივებია თავისი არსებობა, მით უფრო სავალალო ყოფილა მათი დასასრული. ამათ კი იმდენი მუხთლობის ჩადენა მოასწრეს, რომ იციან, ამგვარი მძიმე ტვირთით ხალხის სამსჯავროს წინაშე წარდგენა სახუმარო არ იქნება; ამიტომაც აღრჭენენ კბილებს კუთხეში მომწყვდეული ვირთხებივით.

ქართველ კაცს რატომ არ უნდა გეამაყებოდეს საკუთარი პრეზიდენტი, მაგრამ მისი მსუბუქი საქციელი სირცხვილის ოფლს გვგვრის. ხალხის მიმართ შეუბრალებელი დესპოტი ერის ინტერესებს ფეხქვეშ როგორ უგებს თავის მფარველს შერცხვენილი პოსტის შესანარჩუნებლად, ამის მხილველს გული გიკვდება. ლაქუცით მისდევს ქალბატონ კლინტონს გატანჯული საქართველოს პრეზიდენტი და ანგარიშს აბარებს, პირველი კლასიდან როგორ აძალებენ ბავშვებს ინგლისური ენის სწავლებას, რამდენი ათასი ინგლისელი მასწავლებელი ჩამოიყვანეს და კიდევ უფრო გაზრდიან მათ რიცხვს. ალბათ უფრო დიდ წარმატებად მოახსენებს, ამათგან რამდენია ფლეთჩერის **"კლარნეტიანი"**, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებენ და პედერასტების აღლუმის ჩატარებას ვეღარავინ შეუშლის ხელს. ის ქალბატონიც სიამოვნებით ისმენს დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი, საზღვრებმორღვეული ერის პირმორღვეული პრეზიდენტი როგორი აღფრთოვანებით მოახსენებს ავღანეთში ქართველი სამხედროების კონტიგენტის გაზრდის შესახებ. უსმენს ქალბატონი და უკვირს, რა სასწაულებრივი ლაქია იშოვნეს, მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ისეთი პრეზიდენტი, თავისი ხალხის ჩამოსახრჩობი თოკით თვითონ რომ დარბოდეს, ოღონდ მას ერთგული გოშიას სალაფავი არ მოაკლდეს.

საქართველოს ტელევიზია კი საამაყოდ აცხადებს გერმანიაში კიდურებდაკარგულ ქართველ მეომარს ერთ შემორჩენილ ხელზე კონდოლიზა რაისის მიერ ხელის ჩამორთმევის ბედნიერებაზე. ადრე იყო ასეთი ანეკდოტი: **"სეროჟას ჰკითხეს, არ გინდა, მავზოლეუმში იწვე და ლენინი იყოო? – ლენინს ჰკითხეთ, არ უნდა ცოცხალი სეროჟა იყოსო,– უპასუხა მან"**. სიცოცხლეს საშინელ ხეიბრად შემორჩენილი ქართველი ვაჟკაცი იმ ქალბატონის ხელის ჩამორთმევამ გააბედნიერა? რა ცოდვილია ენა მუხთალი ტვინის სამსახურში, მისი ჭკუის დანაკლისი თავხედობა რომ ზეიმობს.

ავღანეთიდან **ნატო**-ს წევრ ქვეყნებს ჯარები გამოჰყავთ თავიანთი ხალხის პროტესტის შიშით. ამ დროს გამოჩნდა პატარა, გაღატაკებული, დარბეული, დამშეული, ტერიტორიებშემორღვეული ქვეყნის მეტიჩარა პრეზიდენტი და იქაჩება ავღანეთში ჯარების გაგზავნაზე. ამ უცხოეთის პირმოთნე მსახურს ისინიც ჰპირდებიან **ნატო**-ს წევრობას, როგორც ორთვალაში შებმულ სახედარს ბავშვის მიერ მის ცხვირწინ ჩამოკიდებული ბალახით გამასპინძლებას.

საწყალი სახედარიც ჭაპანწყვეტით მიაგორებს ტვირთს სანუკვარი მწვანე ბალახის მიწვდომის იმედით, რომელიც არც მიეცემა და არც არასოდეს დაეკარგება.

ამ პრეზიდენტის შემყურეს საკუთარი თავი შეგეცოდება შენს მრავალტანჯულ სამშობლოსთან ერთად და უნებლიედ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე გაგახსენდება პრეზიდენტის მგზნებარე მეხოტბე, რომლის წარმოდგენით თანამედროვე დავით აღმაშენებელი საქართველოს ტერიტორიებს უნდა ანიავებდეს; თავის მიერ დაწყებული ომიდან გამოქცეული ცხვირით მიწას უნდა ხნავდეს; საქართველოს აქუცმაცებდეს და საქართველოს აღიარებულ დედაქალაქს იქით მიათრევდეს, საიდანაც დავით აღმაშენებელმა დაქცეულ-დარბეული საქართველოს აღდგენა დაიწყო; ამერიკელთა მიერ პამპერსების მომარაგებით გულმოცემული ყვირილით უნდა იკლებდეს ქვეყანას, ომი იმათ დაიწყეს, მე კი გავიმარჯვეო. ახლა მაგას თუ მხედველობაში აქვს მილიარდობით დოლარით დახმარება, ნამდვილად გაიმარჯვა, მაგრამ ხალხს რა?.. აღმართი და დაღმართი არცერთია წაღმართი. რაც პრეზიდენტია, შესაფერისი მეხოტბეც იშოვნა. ალექსანდრე მაკედონელმა აქილევსის ძეგლს უთხრა: ჟამთააღმწერელს უმადლოდე შენი სახელის სიდიადესო. კალისტრატემ კი მიშას შექებაში იძუნწა, უფალს რომ არ შეადარა. ჰიტლერის ეპისკოპოსი – ლიუდვიგ მიულერი უფრო ბარაქიანად ქადაგებდა: განგებამ ქრისტე აღამაღლა ცათა შინა, ჰიტლერი კი თავის წარმომადგენლად დატოვა ამ ქვეყნადო. ალბათ კალისტრატე ამ **"იაღლიშს"** მომავალში გამოასწორებს, რამეთუ ენას ძვალი არა აქვს, გაჭენებულ პირმოთნეობას კი აღვირი.

სავალალო კი ის არის, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ბატონ-ყმობის დონემდე დავეშვით. რა ვქნათ, მაინც ხომ ვარსებობთ და დემოკრატიის ნიღაბაფარებული მოძალადენი ამ ცივილიზებულ და ჭკუით გაძეძგილ ქართველებს ხიდან ახლადჩამომხტარ პაპუასებივით **"მიშა, მიშა"**-ს აღრიალებენ.

ერთი შერჩა მელასა, სხვას დაუწყებს კბენასა. უამრავი დანაშაული ქვეყნისა და ხალხის მიმართ რაც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა, რომელიც გნებავთ ევროპულ ქვეყანაში ხალხი დიდი ხანია გააგზავნიდა მოუსავლეთში. ესენი კი ყოველ შერჩენილ დანაშაულზე გათამამებულები უფრო უარეს ცოდვას იკიდებენ.

მთელი საქართველო გაოგნებულია ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევით იმათ მიერ, ვინც არც ეთნიკურადაა ქართველი და არც საქართველოს მოქალაქეობის ღირსია!

მე პირადად არ ვიცნობ მას და არც არავითარი ურთიერთობა არა მაქვს **"ქართულ ოცნებასთან"**, ასე რომ ეს ხელისუფლება ვერაფრით მომაკრავს მოსყიდულის იარლიყს. მაგრამ განა არ აღშფოთდება ყველა რიგითი ქართველი იმ ძალადობრივ, ცალმხრივ კანონებზე, რომლითაც ყაჩაღურად ეწევიან სამარცხვინო ლაშქრობას ბიძინა ივანიშვილის და, აქედან გამომდინარე, მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

მუსოლინი ბრძანებდა: მეგობრებს ყველაფერი, სხვა ყველას – კანონი! ნახეთ, როგორი წარმატებით აქვთ ათვისებული ამ პირველი ფაშისტის დამოძღვრა. ოღონდ არც ის უნდა დაავიწყდეთ, როგორი **"წარმატებით"** გადალახა ამ არსებამ ამქვეყნიურობის ფინიშის ხაზი.

გონს მოეგეთ, ხელისუფლების ნებიერნო!

ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა გადავსებულია. გაჯიუტების გარეშე დატოვეთ თქვენს მიერ შერცხვენილი პოსტები, რათა ხალხმა შემწყნარებლურად იმსჯელოს იმაზე, რაც ცოდვა ჩაგიდენიათ. ნუ ინებებთ იმათი ბედის გაზიარებას, ვინც ხალხის სამართლიან მოთხოვნას ძალადობით და რეპრესიებით უპასუხა.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატი,**
**სიღნაღი**



სეიბეი კიემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

საერთოდ კი ბერიას სახელს ხალხის მეხსიერებიდან შლიდნენ დიდი მონდომებით და მასშტაბურად. მალე სტალინის სახელსაც მიუახლოვდნენ. 1953 წლის ივლისის პლენუმზე ლავრენტი ბერიას ბრალი დასდეს რაღაც საუბრებში **"პიროვნების კულტის"** თაობაზე... არა მგონია, რომ ყოველივე ამაში ლავრენტი პავლეს ძის ხელი ერიოს, მაგრამ ივნისის პლენუმზე **"ამხანაგ სტალინის პიროვნების კულტის"** შესახებ საუბარი მალენკოვმა რომ წამოიწყო, ეს ფაქტია.

ფაქტია ისიც, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების ხაზი, რომელსაც ბერია განასახიერებდა, ტრაგიკულად იქნა გადაჭრილი, სამაგიეროდ, დიდი სისწრაფე აკრიფა ხრუშჩოვის ხაზმა. და როგორღა მიდიოდა ახლა საქმეები?

იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ **"ავანტიურისტმა"** ბერიამ მრავალ ინიციატივას დაუდო სათავე და მათ შორის მთავარი იყო თურქმენეთის დიდი სარწყავი არხის მშენებლობის შეჩერება. სამაგიეროდ, **"ერთგული ლენინელის"** ნიკიტა ხრუშჩოვის გარშემო მჭიდროდ მდგომმა პარტიის ცეკამ ვერ მოახერხა გადაეთქმევინებინა მისთვის **"ყამირი და ნასვენი"** მიწების ათვისების ავანტიურა. მართალი, მოლოტოვმა და ვოროშილოვმა ამოილუღლუღეს, რომ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად და რუსეთის ცენტრალურ რაიონებში სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად საჭიროა დიდძალი სასოფლო ტექნიკა და სხვა საშუალებები, მაგრამ მათი **"ღაღადისი"** არავინ შეისმინა.

და დარაზმული ენთუზიასტი კომკავშირლები სიმღერებით გაემგზავრნენ ყაზახეთის სტეპების ზამთრის ქარებთან შესახვედრად... 1954 წლის ზაფხულში ისინი იმედით გასცქეროდნენ თავთავდამძიმებულ უკიდეგანო ხორბლის ყანებს, შემოდგომაზე კი თვალცრემლიანები ყრიდნენ მოსავალს ხევებში, რადგან მინდვრებიდან მოსავლის გამოტანის არანაირი შანსი არ არსებობდა...

**"ავანტიურისტმა"** ბერიამ, თავის დროზე, არ დაუშვა ჭკვიანი ლამაზი ქალბატონის ზოია რიბკინას გერმანელთა არმიის ზურგში ჩანერგვა და იგი სკანდინავიაში გააგზავნა კოლონტაისთან. სამაგიეროდ **"სამართლის აღდგენისათვის მებრძოლმა"** ხრუშჩოველებმა საგარეო დაზვერვის პოლკოვნიკი გულაგის განკარგულებაში გადაიყვანეს და ვორკუტის სისხლის სამართლის დამნაშავეთა შრომა-გასწორებითი ბანაკის სპეცგანყოფილების უფროსად დანიშნეს.

**"ჯალათი"** ბერია უკვე აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ, აი, რას სწერს რიბკინა-ვოსკრესენსკაია 1954 წელს შექმნილ მდგომარეობაზე:

**"ყველაზე საშინელ მდგომარეობაში კოლონიაში იმყოფებოდნენ ქალები. ისინი აგურის ქარხანაში მუშაობდნენ... მძიმე ჩექმები ეცვათ, თითქმის ჯოჯოხეთიდან ხელით გამოჰქონდათ ჯერ კიდევ ცხელი აგურები და ურიკებზე ტვირთავდნენ..."**

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მომიწევს დიკენსის ზემოთ მოყვანილი მოგონების გახსენება. ვოსკრესენსკაიასა და **"ვორკუტის პატიმრის"** მოგონებები ხშირად არ ემთხვევიან ხოლმე ერთმანეთს. მაგალითად, რიბკინა წერს **"სამუშაოზე დაგვიანებულთა"** მწარე ბედის შესახებ, რომ თითქოს **"დაგვიანებისათვის პატიმრებს ხუთ წელს უმატებდნენ ხოლმე სასჯელად, მათი შვილები კი ამ ხნის განმავლობაში უპატრონო ბავშვთა სახლებში იზრდებოდნენ".** ასეთი რამ, უბრალოდ, არ შეიძლებოდა მომხდარიყო. სამუშაოზე დაგვიანებისათვის დამნაშავეს შეეძლო მიეღო მაქსიმალური სასჯელი – ერთი წლით იძულებითი მუშაობა, ხელფასის მეოთხედის დაკავებით.

ვოსკრესენსკაია წერს:

**"...მე გამოვყავი რამდენიმე საქმე და მათი ასლები გადავაგზავნე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ვითხოვდი, რომ ყურადღება მიექციათ მათში გამოკვეთილი უსამართლობისათვის. გულაგიდან მივიღე ბლანკზე დაბეჭდილი პასუხი, რომელიც პატიმრებს ეგზავნებოდათ ხოლმე: "თხოვნაზე უარი გეთქვათ...""**

აღარ იყვნენ უკვე არც **"დიქტატორი"** სტალინი და აღარც **"ჯალათი"** ბერია... ქალები კი კვლავაც ეზიდებოდნენ აგურს, მიუხედავად იმისა, რომ 1953 წლის ამნისტია, უპირველესად, სწორედ მათ პატიმრობიდან განთავისუფლებას ითვალისწინებდა. ვოსკრესენსკაია მათ დასახმარებლად 1954 წელს იღვწოდა, მიუხედავად ამისა, **"შემოქმედებითმა ინტელიგენციამ"** მას იგივე იარლიყი მიაკერა, როგორიც ბერიას. მკითხველს ალბათ ახსოვს უშიშროების პოლკოვნიკ შარაპოვის მოგონება იმის თაობაზე, თუ როგორ უმტკიცებდა ყველას ზოია რიბკინას მეზობელი პოეტი ქალი მარიეტა შაგინიანი: **"ვოსკრესენსკაიას ხელები უდანაშაულო ხალხის სისხლით აქვს დასვრილიო"...**

რიბკინა-ვოსკრესენსკაიას ხელები ზუსტად ისევე ჰქონდა **"სისხლში"** გასვრილი, როგორც ლავრენტი ბერიას. მაგრამ, აი, ბერიას **"მამხილებელი"** ნიკიტუშკა ხრუშჩოვის წყალობით საქმე ისე წავიდა, რომ 1955 წელს მღელვარებები დაიწყო მთიანი ნორილსკის, ვორკუტის, სტეპლაგის, ვიატლაგის, კარლაგის და სხვა შრომა-გასწორებით ბანაკებში... რიგ შრომა-გასწორებით ბანაკებში პატიმრების ბუნტი ტანკებისა და საარტილერიო ქვედანაყოფების გამოყენებით ჩააქრეს.

საბჭოთა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ჯერ კიდევ მოქმედი ღირსეული ადამიანების მღელვარების ჩაქრობის საქმეს კი **"ერთგულად"** ემსახურებოდნენ გენერალური პროკურორი რუდენკო და ძმანი მისნი. ასე მაგალითად, 1954 წლის 16 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალი მასლენნიკოვი, უაღრესად ნიჭიერი მხედართმთავარი, ლავრენტი ბერიას ერთგული თანამდგომი იმ დროიდან, როცა სსრკ შინსახკომის ჯარები ჰიტლერელებთან წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ. ფორმალურად იგი ჯერ კიდევ იყო სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მაშინ, როცა საკუთარ კაბინეტში მოიკლა თავი, მაგრამ ფაქტიურად ეს გახლდათ ვერაგული მკვლელობა.

გენერალი სუდოპლატოვი, რომელიც დააპატიმრეს პარასკევს – 1953 წლის 21 აგვისტოს და რომელიც დიდ პატივს მიაგებდა მასლენნიკოვს, წერდა იმის თაობაზე, თუ რა შეიტყო მოგვიანებით: მასლენნიკოვმა თავი მოიკლა სსრკ პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარების შემდეგ, როცა მან იგრძნო, რომ რუდენკოს მისგან სურდა აღიარების მიღება ბერიას განაზრახზე – შეეყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები მოსკოვში და დაეპატიმრებინა მთავრობა.

სუდოპლატოვმა ახსნა:

**"ასეთი გეგმა ნამდვილად არ არსებობდა და ამიტომაც გადაწყვიტა მასლენნიკოვმა: სჯობს სიცოცხლე მოისწრაფოს, ვიდრე დააპატიმრონ. ასე დაიცვა მან არმიის გენერლის ღირსება".**

რაინდული სულის მქონე მასლენნიკოვს მართლაც არ რჩებოდა სხვა გზა: 1954 წელს მას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ხრუშჩოველები მას არ მისცემდნენ ჩეკისტის ღირსების დაცვის საშუალებას და დაპატიმრების შემთხვევაში იმგვარად **"შეთხზავდნენ"** მის ჩვენებებს, როგორც ეს მოხდა ბერიას შემთხვევაში.

ამრიგად, ღირსეულ ადამიანთა რიგები თანდათან თხელდებოდა, სამაგიეროდ, თანდათან მრავლდებოდა უღირსი ადამიანების რიცხვი, რომლებიც იყვნენ არც მთლად უხერხემლოები, მაგრამ ჰქონდათ ფრიად დრეკადი და მოქნილი ხერხემალი.

გაილია 1954 წელი, იწურებოდა 1955 წელიც... ხრუშჩოვისეულ კრემლში მზადდებოდა სრულიად ახალი ავანტიურა – ამჯერად პოლიტიკური: **"1937-1938 წლების რეპრესიათა მსხვერპლის"** მასობრივი რეაბილიტაციის შესახებ. ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი თანამზრახველების აზრით გამოდიოდა, რომ იმ წლებში საბჭოთა კავშირში არ მოქმედებდა **"მეხუთე კოლონა",** არ იყვნენ ტროცკისტები და მტრულად განწყობილი ოპოზიციონერები, არ მოქმედებდნენ ანტისაბჭოთა ძალები, არ იყო მავნებლობა, არ ბოგინობდნენ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ღია თუ შენიღბული მტრები.

და თუ ოცი წლის წინათ საქმეების გამოძიება ზოგჯერ მიმდინარეობდა დაჩქარებული ტემპებით, ახლა საქმეები იხილებოდა დიდ ნაკადად, ყოველგვარი სერიოზული განხილვების გარეშე. თურმე, სრულიადაც არ ყოფილან დამნაშავეები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მხილებული ტუხაჩევსკი და იაკირი, არც გალოთებული, შორეული აღმოსავლეთის ჯარების თავდაცვისუნარიანობის გამანადგურებელი ბლიუხერი, არც სამამულო ომის დაწყებისას მომხდარი, საბჭოთა ჯარების სამარცხვინო ჩავარდნების **"შემოქმედი"** გენერალი პავლოვი, არც ახალ ფრენჩებში გამოწყობილი გენერლები პონედელინი და კირილოვი, ერთგვარი ხალისით ხელაწეულები რომ ჩაბარდნენ ტყვედ გერმანელებს, არც ყოფილი კულაკები, რომლებიც ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდას ეწეოდნენ და აიძულებდნენ კოლმეურნეობაში შეყვანის ნაცვლად დაეკლათ საკუთარი პირუტყვი... თურმე არც ის საბჭოთა ავიაციის გენერლები იყვნენ დამნაშავეები, ომის დასაწყისში გერმანული თვითმფრინავი რომ შემოეპარათ მოსკოვში...

ის კი არა, უკვე კეთდებოდა მინიშნება იმაზე, რომ ტროცკი და ტროცკისტები არც ისეთი **"იუდუშკები"** იყვნენ, როგორც მათ წარმოსახავდნენ.

სამაგიეროდ, ყველაფერში დამნაშავე იყო სტალინი. ყველაფერში! და ვიდრე ხრუშჩოველი-პროკურორი რუდენკო სწრაფი ტემპით იწერდა ახალ **"ჩვენებებს", "დამნაშავეთა თვითმხილველების"** მიერ, უკვე გამოიკვეთა, რომ მწერლები ახალ ნაწარმოებებს შექმნიდნენ ამ **"საზარელ"** დანაშაულობებზე. ამგვარი მწერლები ხომ ხრუშჩოვსა და რუდენკოს ყოველთვის ხელთან ახლოს ჰყავდათ და ისინიც, ლაფს ასხამდნენ რა ბერიას, მხედველობაში ჰყავდათ სტალინი.

1955 წლის 31 დეკემბერს შეიქმნა ცეკას კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა **"სკკპ XVII ყრილობაზე არჩეული სკკპ (ბ) ცეკას წევრებისა და კანდიდატების რეპრესიების მიზეზობრივი მხარეები".** ცეკას მდივნის პოსპელოვის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ ამ კომისიაში შედიოდნენ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი, **"ხანჯიანის საგის"** ავტორი კომაროვი, სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრი არისტოვი და სკკპ ცეკასთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შვერნიკი (ეს უკანასკნელი აშკარად **"ქორწილის გენერლად"** გამოიყურება მამაკაცთა ამ მარაქაში).

მალე სკკპ XX ყრილობა უნდა ჩატარებულიყო და კომისია დამკვრელური ტემპებით მუშაობდა. და უკვე 1956 წლის 1 თებერვალს ცეკას პრეზიდიუმმა განიხილა მასალები და დაადგინა, თუ რა და როგორ უნდა თქმულიყო მოახლოებულ ყრილობაზე. მას ესწრებოდნენ ვეტერანები ხრუშჩოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ბულგანინი, ვოროშილოვი, მალენკოვი, მიქოიანი, პერვუხინი, საბუროვი და **"ახალგამოჩეკილები":** რუდენკო, არისტოვი, პოსპელოვი, სუსლოვი, სეროვი... ფონდ **"დემოკრატიის"** მიერ 2000 წელს გამოცემული სამტომეული კრებულის – **"რეაბილიტაცია: როგორ იყო ყოველივე ეს. სკკპ ცეკას პრეზიდიუმის დოკუმენტები..."** პირველ ტომში შეტანილია ამ სხდომის მუშა ოქმი, რომლის ნაწყვეტსაც გთავაზობთ:

**"ხრუშჩოვი. – სტალინია დამნაშავე. (...) ეჟოვი, ალბათ, არ იყო დამნაშავე, იგი პატიოსანი ადამიანია. (...)**

პოსპელოვი. – დაპატიმრებათა ლიმიტი მტკიცდებოდა (შეგახსენებთ, მათ შორის ხრუშჩოვის მოთხოვნითაც – ს.კ.). (...)

მოლოტოვი. – მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სტალინი დიდი ხელმძღვანელი იყო.

მიქოიანი. – ეწინააღმდეგება მოლოტოვს: "შენ კი, ამხანაგო მოლოტოვო, მას მხარს უჭერდი".

კაგანოვიჩი. არ შეიძლება ასეთ სიტუაციაში საკითხის გადაწყვეტა... ბევრი რამ უნდა გადაიხედოს, მაგრამ სტალინი 30 წელი ედგა ქვეყანას სათავეში.

მოლოტოვი. – არ შეიძლება მოხსენებაში არ აღინიშნოს, რომ სტალინი ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებელი იყო...

მიქოიანი. – ისტორიას გადახედეთ, შეიძლება გაგიჟდეს ადამიანი.

საბუროვი. – თუ ფაქტები უტყუარია, განა ესაა კომუნიზმი? ამის პატიება არ შეიძლება.

მალენკოვი. – სწორადაა საკითხი დაყენებული...

პერვუხინი. – ვიცოდით ჩვენ ამის თაობაზე? ვიცოდით, მაგრამ ტერორი მძვინვარებდა...

ბულგანინი. – პარტიას სიმართლე უნდა მოვახსენოთ, ხალხმა უნდა იცოდეს, რას წარმოადგენდა სტალინი. არ ვეთანხმები მოლოტოვს, რომ სტალინი იყო ლენინის საქმის გამგრძელებელი...

ვოროშილოვი. – პარტიამ სიმართლე უნდა იცოდეს, მაგრამ, მთავარია ხალხთან ეს მივიტანოთ ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად. მაგრამ ქვეყანა ჩვენ მიგვყავდა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის გზით. უამრავი უკანონობა იყო, მართალია ამხანაგი ხრუშჩოვი... მაგრამ უნდა დავფიქრდეთ, რომ ნაბან წყალს ბავშვიც არ გავაყოლოთ. სერიოზული საქმეა.

სუსლოვი. – რამდენიმე თვის განმავლობაში საშინელი რაღაცეები შევიტყვეთ (1939 წლიდან ეს 37 წლის "ყმაწვილი" სკკპ ორჯონიკიძის უდიდესი სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ძალიან კარგად უწყოდა, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში. – ს.კ.) ამის გამართლება არასდიდებით არ შეიძლება...

მოლოტოვი. – ვუერთდები ამხანაგ ვოროშილოვს... ისიც სიმართლეა, რომ სოციალიზმმა სტალინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა. მაგრამ ნაკლოვანებებიც უნდა აღვნიშნოთ...

**ხრუშჩოვი. – იაგოდა ალბათ წესიერი კაცი იყო. ეჟოვიც... ყველაფერი პარტიის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. სტალინი სოციალიზმის საქმის ერთგული იყო, მაგრამ ქვეყანას ბარბაროსული მეთოდებით მართავდა. მან პარტია გაანადგურა. იგი არ იყო მარქსისტი (ესეც ასე! – ს.კ.), ყოველგვარი წმინდა ფეხით გასრისა, რაც კი ადამიანს გააჩნდა. სტალინი ყველაფერს საკუთარ კაპრიზებს უმორჩილებდა (ამ ორ უკანასკნელ ფრაზაში ხრუშჩოვმა უნებლიედ გაამჟღავნა დიდი სიძულვილი სტალინისადმი, ეს გახლდათ მკვლელის სიძულვილი მოკლულისადმი. – ს.კ.). ყრილობაზე არ ვისაუბროთ ტერორზე? სტალინს თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ...".**

ეს მწირი სტენოგრამაც კი კი საკმაოდ დიდ ინფორმაციას გვაწვდის **"გააზრებისათვის".** საინტერესოა ხრუშჩოვის რეპლიკები იაგოდასა და ეჟოვის თაობაზე, საინტერესოა იქ დამსწრეთა რეაქცია ზოგიერთ **"საშინელ"** სენსაციაზე.

მაგრამ, რამდენადაც გავიგე, პოსპელოვის კომისიამ არც თუ ცუდად იმუშავა. და სავარაუდოა, რომ მისი წევრების ფანტაზია (ან მისი წევრების **"რეფერენტთა"** ფანტაზია) შეშურებოდა მოგვიანებით **"საშინელებათა ფილმების"** მეფედ აღიარებულ ამერიკელ რეჟისორ ალფრედ ჰიჩკოკსაც კი.

საინტერესოა, რომ როცა 1956 წლის 9 თებერვალს, ყრილობის მუშაობის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე სკკპ ცეკას პრეზიდიუმში შევიდა პოსპელოვის კომისიის ოფიციალური მოხსენება, მასში ეჟოვი წარმოდგენილი იყო როგორც **"საბჭოთა კანონების დამრღვევი"** და ა.შ.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ვალერიან გუნია — 150



გამორჩეული საზოგადო მოღვაწეს, თეატრალს, მწერალს, პუბლიცისტს და დრამატურგს, საქართველოს დამსახურებულ და სახალხო არტისტს ვალერიან გუნიას დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა, 1862 წელს, სენაკის რაიონის სოფელ ეკში. მაშინ საქართველოში თერგდალეულთა თაობა იწყებდა თავის აქტიურ მოღვაწეობას ქვეყნის თავისუფლებისათვის. მათი მოწინავე იდეები მთიან სოფლამდეც აღწევდა სადაც ფეხი აიდგა და გაიზარდა ჭაბუკი ვალერიანი. მისი ბაბუა მღვდელი იყო და კარგად იცნობდა მაშინდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას.

ვალერიანის დედა, ტასო ჩიჩუა, თავადის პირმშვენიერი ასული გახლდათ, მის ძმას მიმოწერა ჰქონია, მოწინავე იდეებით ცნობილ რევოლუციონერ ჩერნიშევთან. დედის განსწავლულობა და ტკბილი მეგრული ნანა, მუდამ თან მიყვებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე ნიჭიერ შემომქმედს. დედის უცაბედი გარდაცვალების შემდეგ მამამ სხვა ქალი შეირთო და საცხოვრებლად ფოთში გადავიდა, სადაც სწავლა განაგრძო ნიჭიერმა ყმაწვილმა, თუმცა ის ალერსი და სითბო დააკლდა რასაც ბებია – ბაბუა და დედა აძლევდნენ. ახალმა გარემოებამ ჩამოუყალიბა ვალერიანეს უტეხი ნებისყოფა, რასაც ის მთელი ცხოვრების განმავლობაში უხვად ავლენდა.

1876 წელს ვალერიანი შევიდა თბილისის რეალურ სასწავლებელში, საიდანაც 1881 წელს, პოლიტიკური გამოსვლებში მონაწილეობისთვის გარიცხეს. მიზეზი გარიცხვისა გახდა ის, რომ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ სასწავლებლის მოსწავლეებმა **„შესანდობარი ქელეხი“** მოაწყვეს და მეფის მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები წარმოსთქვეს. მათ შორის ვალერიან გუნიამაც.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ სწავლა განაგრძო თავისუფალ მსმენელად მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, აქ გაეცნო ის სათეატრო ხელოვნებას. გვერდში დაუდგა ალ. სუმბათაშვილი, რომელიც იმხანად საიმპერატორო თეატრში მოღვაწეობდა. 1882 წელს ახალი იმპერატორის დანიშვნასთან დაკავშირებით, პოლიციამ არასაიმედო პიროვნებები მოსკოვს მოაშორა. ვალერიანი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

იმავე 1863 წლიდან, ვასო აბაშიძის ხელშეწყობით ვალერიანი თბილისში იწყებს სამსახიობო მოღვაწეობას, და ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობის განმავლობაში ანსახიერებს ათობით როლს ქართულ სცენაზე. ითამაშა ოტელო, მეფე ლირი, ოიდიპოსი, კაკო ყაჩაღი, და უამრავი სხვა.

სამსახიობო კარიერის დაწყებას დაემთხვა მისი ახლო გაცნობა თერგდალეულებთან. ამაზე მეტყველებს მისი თანამშრომლობა გაზეთ **„დროება“**-ში, რომელსაც რედაქტორობდა ივ. მაჩაბელი. სულ მალე ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ილ. ჭავჭავაძემ მიიწვია თავის ბანკში სამუშაოდ. შეუძლებელია ილიას, უნიჭო, უპერსპექტივო ადამიანი დაესაქმებინა. და დაიწყო უშუალო ურთიერთობა მაშინდელ მოწინავე იდეების მატარებელ ადამიანებთან. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ვალერიან გუნიას ნიჭიერებაზე და შემოქმედებით პოტენციალზე.

1885 წელს, გამოდიოდა გაზეთი „თეატრი“, რომლის რედაქტორი ვ. აბაშიძე ავად გახდა და გაზეთის ხელმძღვანელობა ვ. გუნიას გადასცა. **„გავები თეატრის“** უღელში. ჩემი შრომა და მეცადინეობა მალე დაეტყო გაზეთს და ხელმოწერების რაოდენობა გაიზარდა.. – იგონებს შემდგომ ვალერიანი – **..ვინ იტყვის რამდენი ღამე გამითენებია ამ შრომაში. 24 საათში მხოლოდ 4 საათი მქონდა მოსასვენებლად. მალე მოვიქანცე, მაგრამ მაინც თავს არ ვანებებდი საქმიანობას“** აქაც სჩანს ვ. გუნიას პასუხისმგებლობა და შემართება. მან დაარსა გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** იუმორისტული ჟურნალი **„ნიშადური “** 1888 წელს მან პირველმა სცადა კალენდრის გამოცემა, რაც საზოგადოებამ კარგად მიიღო.

ვ. გუნიას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული პროფესიონალური მსახიობთა აღზრდაში, წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ დრამატულ დასს და ამასთანავე ახერხებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მან შექმნა და გადმოაქართულა მრავალი პიესა, დაწერა ლიბრეტოები ოპერებისთვის- ფალიაშვილის **„დაისი “**, არაყიშვილის **„დინარა“** და სხვა.

იგი იყო თეტრის თვალსაჩინო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, სისტემატიურად აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს, ნარკვევებს, მოსაზრებებს.

ვ. გუნიას, როგორც თვალსაჩინო მოღვაწის დიდი ავტორიტეტზე მეტყველებს, რომ სწორედ მას დაავალა, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობასთან დაკავშირებით სამ დღეში დაეწერა, ღვაწლმოსილი ადამიანის ბიოგრაფია და გამოექვეყნებინა იგი. ასევე სწორედ მას ერგო პატივი 1907 წელს ყოფილიყო ერის მამის, ილია ჭავჭავაძის დამკრძალავი კომისიის თავკაცი. ნეშთის საგურამოდან თბილისში გადმოსვენებისას იგი წინ მიუძღოდა ხალხმრავალ პროცესიას, შავ ჩოხაში, მკერდზე თეთრი ბაფთით, თეთრ ცხენზე ამხედრებული.

ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება.

1921 წლიდან იგი იყო ხელოვნების მუშაკთა გამგეობის პირველი თავჯდომარე.

ვ. გუნია დგას ქართული კინოს სათავეებთან, 1913 წლიდან ის მონაწილეობდა არაერთ ფილმში. მათ შორის უხმო ფილმებშიც. მათ შორისაა **„სურამის ციხე“, ”არსენა ჯორჯიაშვილი”, „მთის კანონი“, „გოგი”, „ხანუმა”** და სხვა

1917 წელს აღინიშნა ვ. გუნიას შემოქმედების 35 წელი.

შეუძლებელია საგაზეთო წერილში ყველა იმ დამსახურების მოხმობა, რაც ამკობდა ბატონ ვ. გუნიას.

ღვაწლმოსილი შემომქმედი გარდაიცვალა 1938 წლის ივლისში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

1947 წელს აღინიშნა ვ. გუნიას დაბადებიდან 85 წლისთავი. ხოლო 1963 წელს კი მისი 100 წლისთავი.

როგორც ვხედავთ, ქართული თეატრისა და ქართული კინოს ისტორია წარმოუდგენელია ვ. გუნიას გარეშე. მის შემოქმედებას მიეძღვნა არა ერთი ალმანახი, უმრავი წერილი და გახსენება. მათ შორის 1907 წელს გამოიცა, ალმანახი **„მადლობის დღე “**, რომელიც იყო დასურათებული და ერთვოდა შესანიშნავი პოეტის ი. გრიშაშვილის ლექსი **”დათოვლილი მედროშე“.**

შესანიშნავმა პუბლიცისტმა ნათელა ურუშაძემ 1987 წელს გამოსცა 180 გვერდიანი წიგნი **„ქართველი მსახიობის ცხოვრება და მოღვაწეობა”,** სადაც ვრცლადაა მოთხრობილი ვალერიან გუნიას მოღვაწეობაზე.

გადმოცემით დასტურდება, რომ ვ. გუნია იყო ახოვანი, მომხიბვლელი, როგორც ევროპულ ისე ეროვნულ სამოსელში. იშვიათი ხავერდოვანი ხმის პატრონი. ტკბილმოუბარი.

დღეს როცა დიდ წინაპრის დაბადებიდან გავიდა 150 წელი, ჩვენ, შემდგომი თაობა მოწიწებით თავს ვხრით მისი პიროვნების წინაშე და ხმამაღლა ვეუბნებით მის სულს მადლობას, რომ იგი იყო და მარად დარჩება უკვდავთა შორის.

**ბორის დავითაია,**
**მწერალი,**
**აკ. წერეთლის სახელობის**
**პრემიის ლაურეატი**

## დევნილებო, გამოფხიზლდით!

2003 წელს, დიდი თუ პატარა ქუჩაში ვათენებდით და ვაღამებდით – ახალი ცხოვრების მოლოდინში ვიყავით. შიმშილსა და წყურვილს ისე ვიკლავდით, თითქოსდა კარგ გემრიელ ნასუფრალზე ვყოფილიყავით, იმ იმედით, რომ ხელისუფლება შეიცვლებოდა და დავბრუნდებოდით აფხაზეთში.

ამის პირობას იძლეოდით და რა მივიღეთ?

ჩვენი ოცნება და იმედი დაამსხვრიეთ, იმის შემდეგ, რაც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თამამად გამოაცხადეთ: აფხაზეთზე სიმღერები არ იწერებაო და იგი არც არასოდეს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაშიო. მერე რა, ამაზე უკეთესს ავაშენებთ ანაკლიაშიო!

ბატონო პრეზიდენტო! თქვენთვის აფხაზეთი არაფერს არ ნიშნავს, იქ არ დაბადებულხართ, არც გაზრდილხართ. თქვენ აფხაზეთი კი არა, საქართველოც არ გიყვართ, გამომდინარე თქვენი სიტყვებიდან და დამოკიდებულებიდან საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი. მე კი ყოველ ღამე მესიზმრება ჩემი სოფელი აგუბედია, სადაც დავიბადე, ტყვარჩელი – სადაც გავიზარდე და ოჩამჩირე – 13 წლის ასაკიდან 38 წლის ასაკამდე რომ ვცხოვრობდი. იქ დაბრუნების იმედი მე დღემდე არ დამიკარგავს. ყოველდღე ჩემს ფანტაზიებში აფხაზეთს ერთი წამითაც არ ვტოვებ და ძველებური სიყვარულით ველოლიავები. 20-მა წელმა 20 დღესავით გაიარა, რაც ჩემი ოდაბადედან წამოვედი. სევდიანად გავყურებ ენგურის გაღმა ნაპირს და შინ დაბრუნებას ვნატრობ, რათა ყვავილები დავალაგო იმ უაზრო ომში დაღუპული მამის, ძმის, ძმისშვილის, ბიძების, ნათესავების საფლავებზე.

თქვენ აფხაზეთში დაბრუნების ყოველნაირი იმედი გადაგვიწურეთ, დევნილები საერთოდ მიივიწყეთ, სამათხოვროდ გადმოგდებული 28-ლარიანი დახმარებაც მოგვიხსენით.

ღვთის წყალობით, ჩვენ, უსასოოდ დარჩენილი დევნილები მაინც მაგრად ვდგავართ და იმის იმედით ვიმყოფებით, რომ თქვენი მთავრობა მალე შეიცვლება და ჩვენთვისაც გაიღება აფხაზეთის კარიბჭე, რომელიც სწორედ თქვენმა უაზრო, უფრო სწორად კი – მოღალატეობრივმა პოლიტიკამ მოგვიხურა ცხვირწინ.

თქვენ ყოველი არჩევნების წინ კვებავთ საზოგადოებას ცრუ დაპირებებით, ამჯერად კი საერთოდ არ ახსენებთ აფხაზეთის პრობლემას, არად მიგაჩნიათ ასიათასობით დევნილის შინ დაბრუნების მტანჯველი მოლოდინი! ამიტომაც ვართ დარწმუნებული, რომ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე გვაშორებს შინ ღირსეულად დაბრუნების ისედაც მინავლულ იმედს!

გეყოფათ ამდენი ფუჭი დაპირება და ჩვენი იმედების გაცრუება!

ამიტომ, გამოფხიზლდით ლტოლვილებო, სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ მაშინ, როცა საარჩევნო ყუთთან მიხვალთ!

ჩვენზეცაა დამოკიდებული, დარჩებიან თუ არა ქვეყნის მოღალატე **“ნაციონალები”** და მათი არაქართველი ბელადი სააკაშვილი, ხოლო თუ ისინი, ჩვეული სიყალბისა და უხეში ძალის გამოყენებით, კვლავაც დარჩებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვერც აფხაზეთს ვიხილავთ და ვერც მათ მიერ მრავალგზის დაპირებულ **“უზრუნველ ცხოვრებას”!**

ჩვენთან არს ღმერთი: **“ამინ”!**

**ნელი პერტაია,**
**დევნილი ოჩამჩირიდან**

## ფრთხილად, ციმბირის წყლული გვიტევს!

დედოფლისწყაროს რაიონში ციმბირის წყლულის რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა და ამ ვერაგი დაავადების გავრცელების საშიშროება სავსებით რეალურია,– ამის შესახებ პოლიტიკური პარტია **“თავისუფალი საქართველოს”** დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **თამილა გურაშვილმა** გვაცნობა:

– დედოფლისწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც **“მწარე წყალს”** ეძახიან და აქედან დაახლოებით 24-25 კილომეტრზეა, რამდენიმე კაცს ციმბირის წყლული აღმოაჩნდა. იქ არის ფერმა, რომლის მეპატრონე ომარ ხალიმოვია. ფერმაში 12 სული საქონელი დაეცა, რის შემდეგაც ფერმის თანამშრომლებმა – მაჰალ ქარიმოვმა, ანთელ მუსაევმა და გიდლი ედიგროვმა დაცემული საქონელი გაატყავეს, რის გამოც ციმბირის წყლულის გარეგანი ფორმით დაავადდნენ. მართალია, ვაქცინაცია ჩატარდა, მაგრამ მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიაზე. როგორც რაიონის ვეტერინარიის სამსახურში გვითხრეს, საქონელი ამჟამადაც იხოცება, რაც იმას ნიშნავს, რომ დედოფლისწყაროში ციმბირის წყლულის, ანუ ჯილეხის ვირუსი მძვინვარებს. რაიონში უკვე რამდენიმე კერა არსებობს: სოფელ საბათლოში, ქვემო ქედსა და სოფელ ჯაფარიძეში, სადაც შარშან ციმბირის წყლულის კანის ფორმით თენგიზ იაკობიშვილი დაავადდა. საშიშ კერებს ახლა უკვე დაემატა **“მწარე წყლის”** ტერიტორიაც, რომელიც სოფელ მაჩხაანთან ახლოს არის.

**– რატომ ვერ მოხერხდა ამ კერების ალაგმვა?**

– საჭირო ღონისძიებები არ გაატარეს. როდესაც სადმე ციმბირის წყლულის შემთხვევა გამოვლინდება, იქ საქონელი უნდა დაიწვას, დასახლებული პუნქტიდან მოშორებით ღრმა ორმო უნდა გაითხაროს და დამწვარი საქონელი დაიფლას. თანაც, ეს ადგილი უნდა შემოიღობოს, რომ მიწას ვინმე არ შეეხოს. ამასთან, აუცილებლად უნდა გამოცხადდეს კარანტინი. ჩვენთან კი რა ხდება? – პირუტყვი მასობრივად იხოცება, მაგრამ ვეტერინარიის სამსახური მხოლოდ ადგილობრივ ვაქცინაციას ატარებს, რაც საკმარისი არ არის პრობლემის მოსაგვარებლად. განა მარტო ციმბირის წყლული, შარშან რაიონში ისეთი მძიმე დაავადები გამოვლინდა, როგორიც არის ცოფი, კურდღლის ჭირი, ბრუცელოზი და სხვა... ეტყობა, სიტუაცია იმდენად გართულდა, რომ იძულებული გახდნენ ვეტერინარიის სამსახურის ძველი უფროსი დავით ვეშაგური გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან. ახალი უფროსი მიხეილ ქევხიშვილია, რომელმაც ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემაც არ იკადრა, არც კი დაგველაპარაკა. მსგავსი გულგრილობის გამო დაავადებამ უკვე ეპიდემიის სახე მიიღო, თუმცა ყველაფერს ამ სამსახურსაც ვერ დავაბრალებთ, რადგან ვეტერინარიის სამსახურში სულ სამი კაცი მუშაობს: ერთი უფროსი და ორი სპეციალისტი. როგორ შეიძლება სამმა კაცმა ამხელა პრობლემა მოაგვაროს? ამ სიტუაციაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების უმოქმედობა დაუშვებელია. სხვათა შორის, წელს დედოფლისწყაროს რაიონის ბიუჯეტი გაორმაგდა. როდესაც რაიონის ბიუჯეტი ორმაგდება, როდესაც ხარ რაიონის ხელმძღვანელი და იცი, რა საშინელი დაავადებაა ეს, რაიმე ხომ უნდა იღონო? მაგრამ არა – ურემი რომ გადაბრუნდება, მერე დაიწყებენ ფაციფუცს!

**– ქალბატონო თამილა, თქვით, რომ არავინ იცის, სად წავიდა დაავადებული საქონლის ხორცი.**

– რასაკვირველია, იმ ადამიანებმა, რომლებიც დაავადდნენ, არ იცოდნენ, რომ პირუტყვს ციმბირის წყლული ჰქონდა. სავარაუდოდ, ეს ხორცი ერთ-ერთ ძეხვის დამამზადებელ საწარმოში მოხვდა. ვირუსიანი ხორცით დამზადებული ძეხვი შეიძლება წავიდეს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, რაც საშიშროებას უქმნის საქართველოს მოსახლეობას.

**ცნობისათვის:** *ჯილეხი, იგივე ციმბირის წყლული, ანუ ანტრაქსი, ხუზარა – ცხოველებისა და ადამიანებითვის დამახასიათებელი მწვავე ბაქტერიული დაავადება, რომელსაც იწვევს ჯილეხის ბაცილა. ადამიანის დასნებოვნება შეიძლება დაავადებულ ცხოველთან კონტაქტის გზით, ზოგჯერ კი მისი ხორცის საკვებად გამოყენებით. ჯილეხის გამომწვევი ვირუსი 1849 წელს აღმოაჩინა გერმანელმა მკვლევარმა ა. ჰოლენდერმა. ჯილეხის ვირუსი ხასიათდება არაჩვეულებრივი გამძლეობით, დუღილს 45-60 წუთის განმავლობაში უძლებს. ხორცის დამარილება, გაშრობა და სხვა მსგავსი პროცედურები ჯილეხის სპორებს ვერ ანადგურებს.*

**ხ. ჩიგოგიძე**

# კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



**დასაწყისი "ილორი" №171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178**

ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე კოლხური სახელწოდების მქონე ქალაქები XIX საუკუნეშიც არსებობდნენ: დია, ქუთაია, ხოლო ნახევარკუნძულის სამხრეთით მდებარე კონცხს **„აიია"** ეწოდებოდა.

სტრაბონი (I ს.) მიუთითებდა, რომ აღნიშნულ ნახევარკუნძულზე გეორგებად წოდებული მოსახლეობა ცხოვრობდა; ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით კოლხები – გეორგები-გეორგიელები ხშირად აღადგენდნენ მათი წინაპრების მიერ ნაგებ მეომრულ თავდაცვით ზღუდეებს – კედლებს და მუდამ მზად იყვნენ უცხოელების შემოსევისაგან იქაურების დასაცავად (ასეთი თავდასხმები მოსალოდნელი იყო თურქებისგან).

ამ ვრცელი ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილია იქაური კოლხი მმართველების (მეფეების) ძველთაძველი სამარხები, ოქროს კუბოები, სხვა უძვირფასესი წარწერებიანი ნივთები, რომლებიც რუსი არქეოლოგების მიერ, თურმე ჩუმად იგზავნებოდა პეტერბურგსა და მოსკოვში. იქ ნაპოვნი იქნა თეთრი მარმარილოს დიდი ნაკეთობა, რომელზეც ასახული იყო კოლხი მედეა, მისი ქმარი იასონი და ორი შვილი, რომლებიც კაბაზე ებღაუჭებიან, სამივეს უკან მოჰყვება დანაღვლიანებული იასონი. ეს მრავალფიგურიანი დიდი ქანდაკება, მისი შემქმნელის მაღალ ოსტატობაზე მიგვანიშნებს.

როგორც ნ. ფოფხაძე აღნიშნავს, აიეტის დის (მედეას მამიდის) კირკეს-ცირცეს სახელში მოიაზრება კოლხური სიტყვა **„ცირა",** რაც ნიშნავს ქალს, ქალიშვილს, ახალგაზრდას; რომ ცირას – ცირცეს სახელობის სრუტის სახელი თითქმის უკანასკნელ დრომდე შენარჩუნებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათასი წლის (თითქმის ოთხიათასი) წინ მმართველობდნენ – მეფობდნენ კოლხი მეფეები (**ნათელა ფოფხაძე,** მედეა და იასონი მხატვრობასა და ქანდაკებაში, გაზ., დისკუსია, 2008, მარტი, №49) – კოლხი მმართველები.

კოლხეთში არის გამოთქმა **„პონტო",** მაგალითად **„სი ჩიჩიე, პონტოო"** – ერთი მიმართავს მეორეს, როცა მას ტუქსავს, დასცინის, არის მეორე სიტყვა **„პონტოია"** – ეს უფრო მოფერებითი მიმართვაა ბავშვებისათვის. სიტყვა **„პონტო"** არა მარტო წიგნის, არამედ ყოფითი ლექსიკის სიტყვაა. გარდა ამისა, დღევანდელი თურქეთის (ყოფილი ბიზანტიის) ტერიტორიაზე არის პონტოს მთები, რომლის ტოპონიმიკის მნიშვნელოვანი ნაწილი კოლხურია (ქართული).

ლათინური **innascor** ნიშნავს **„დაბადებას", „გაჩენას".** კოლხურში (ლაზურ-ჭანურ-მეგრულში) **„სქ", „სქუა"** არის **„შვილი".** კოლხურში **„სქი"** ნიშნავს კვერცხის დადებას – **„სქუალა".** ეს კოლხური სიტყვა ხომ არ უკავშირდება სამყაროს მითოსური, მსოფლიოს კვერცხიდან გაჩენის ფილოსოფიას და ეს შინაარსი, ხომ არ შეაქვს ამ კოლხურ სიტყვას ლათინურში?

ლათინური **sace-us („საკუს")** ქართულად ნიშნავს **„ტომარას", „პარკს",** ბერძნულადაც ასეა, კოლხურად **„საკი"** არის ტომარა. აქ კოლხური, ლათინური და ბერძნული სიტყვები ერთმანეთს ემთხვევა. გავიხსენოთ ჰეროდოტეს შეხედულება კოლხების მიერ სელისა და კანაფის დამუშავების შესახებ და კოლხეთის პრიორიტეტი ნათელი გახდება. **„საკი"** კანაფისაგან მზადდება.

ასეთი ლათინურ-ქართველური (კოლხური) ლექსიკური თანდამთხვევის სხვა მრავალი მაგალითის მოტანაც შეიძლება, მაგრამ მოტანილიც სრულიად საკმარისად მიგვაჩნია (აღნიშნული მასალები ადრე გამოცემულ წიგნშიც მაქვს გამოქვეყნებული).

როგორც ითქვა, 1996 წელს, ვლ. ალფენიძემ გამოაქვეყნა ეგვიპტურ-კოლხური მოკლე ლექსიკონი, რომლის მსგავსი ლათინურ-კოლხური ლექსიკონი გამოსცა, მხოლოდ (არა ცალკე წიგნის სახით) საგაზეთო სტატიებში.

ვლ. ალფენიძე ამბობს, რომ **„რამდენ კოლხურ-ლათინურ ლექსიკურ თანხვედრასაც აღმოვაჩენთ",** ზოგიერთ ფსევდო-ქართველს, იმის ნაცვლად, რომ უხაროდეს, სამწუხაროდ გული უსკდება (იხ. ვლ. ალფენიძის წერილი, გაზ. **„ერი და ცხოვრება",** 1996, №3, გვ. 8.).

რადგან გამოქვეყნებულია ეგვიპტურ-კოლხური ლექსიკონი, ამ ნაშრომში არ ვეხები ეგვიპტურ და კოლხურ სიტყვათა თანდამთხვევის საკითხებს, ის ძალიან ბევრია. მხოლოდ გვინდა ვთქვათ: თუ რას მიგვანიშნებს კოლხურად **„პირამიდა"? – „პირამი", „გოპირელი", „გამაპიროუ"** მეგრულ ენაზე ნიშნავს **„აყვავებულს", „მოყვავილეს", „მარად ყვავილოვანს",** ეგვიპტური პირამიდების დანიშნულებაც **იყო „ფარაონთა უკვდავება და მათი მარადიული „ყვავილობა"** – მუდმივი არსებობა საიქიოში. ამაზე ხომ არ მიგვანიშნებს **„პირამი", „პირამიდა", „გოპირელი", „გამაპიროუ"?!**

და კიდევ, რამზეს II-ის დროიდან კოლხეთში ფიგურირებს სახელი (სახელწოდება) **„წათე".** ეგვიპტურ ენაზე **„წათე"** ნიშნავს ფარაონის შემდეგ ერთ-ერთ უპირველეს სახელმწიფო მოხელეს ეგვიპტის სახელმწიფოში. კოლხეთში მეფობდა წათე I (გუბაზ მეფის მემკვიდრე), იყო წათე II-ც.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ძველი შუამდინარეთის ტოპონიმიკის დიდი ნაწილი – ადგილისა და მდინარეების სახელწოდებანი არაა შუმერული. მაგალითად ტიგროსის ძველი სახელწოდება – **„იდიგნა",** ევფრატის – **„ბურანუნი"** არ არიან შუმერული სახელწოდებები. (მდინარეებს იდიგნას და ბურანუნს ათასწლეულების შემდეგ სახელები შეუცვლიათ.) აგრეთვე, როგორც ცნობილია, უძველესი ქალაქების – ურის, ქიშის, ნიფურის, ადაბის, შურუფაქის, ზიფარის და სხვა ქალაქების სახელწოდებების წარმოშობა არ იყო დადგენილი.

აგრეთვე ზუსტად არ იყო დადგენილი შუმერების შუამდინარეთში მისვლის თარიღი. შუმერული ლეგენდებით მათი უძველესი ქალაქია ერიდუ, სადაც ციდან დაეშვა პირველი სამეფო ხელისუფლება. მეცნიერთა აზრით ეს სახელწოდებანი და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ვინაობა ცნობილი არაა, მეცნიერთა აზრით, არაშუმერული სახელწოდებანი, ტოპონიმები, როგორც ითქვა გაჩნდნენ შუმერების მისვლამდე მცხოვრები ხალხებისაგან.

ამერიკელი უფოლოგების აზრით, კაცობრიობამ **„ცხოვრება ისწავლა"** ძველი შუმერებისაგან, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე, 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ, და რომელთა დაყოფის შედეგად წარმოიშვა კულტურა და დინასტია. ამტკიცებენ, რომ მათ თიხის იეროგლიფებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმოშობის შესახებ, რომ ისინი ყველაფრის შესახებ ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ. შუმერების ნახატებში ჩანს ობიექტი, რომელიც უცხოპლანეტელების ხომალდია და სწორედ, ეს უცხოპლანეტელები მართავდნენ შუმერებს. ამერიკელი მეცნიერების აზრით, სხვადასხვა ნაწერის (ш, у, м, а, р) გაშიფვრის შემდეგ, გაირკვა, რომ შუმერებმა ყველაფერი **„ანუნაკის"** კულტურისაგან ისწავლეს და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს თავისი ცოდნა. **„ანუნა"** ის ცივილიზაციაა, რომლის შესახებ კაცობრიობას არანაირი ინფორმაცია არა აქვს, გარდა იმისა, რომ შუმერულ ენაზე **„ანუ ნაკი" „ციდან დაშვებულს"** ნიშნავს (კაცობრიობამ ცხოვრება **„ანაუნაკის" – „ანანუკისაგან"** ისწავლა, გაზ. **„ალია",** 2007, 3-5 მარტი, №24.).

აღსანიშნავია, რომ, აქ რაღაც თანადამთხვევასთან, მსგავსებასთან ან შეიძლება სრულ იგივეობასთან გვაქვს საქმე. ეს ხომ არაა კოლხების (მეგრელების) უძველესი სიბრძნის წიგნი **„ეფუთი",** რომელსაც ამ კუთხის მაცხოვრებლები მემკვიდრეობით და გადმოცემით **„ანნუ"-ს,** ანუ **„ანანუს ეფუთს"** უწოდებდნენ? ამ საკითხში კარგად ერკვეოდნენ და თურმე **„დეტალებში"** საუბრობდნენ ათანასა მატუა (ს. ჯვარი, ჩქვალერი), მაცი ფიფია (ს. მუჟავა), ცაბუა კვარაცხელია (ს. სიჩიანო), ვლადიმერ კვარაცხელია (ქ.წალენჯიხა) და სხვები. ისიც ცნობილია, რომ ქართუს-საქართველოს მმართველები, მეფეები მზის შვილებად, ზეცის სრულ განუყოფელ ძალაუფლებით იყვნენ აღჭურვილნი, რომ მეგრელისათვის მზე-დედა, ხოლო მთვარე – მამა იყო; ასევე ქალაქი ერიდუ (ერედუ) ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხის უძველესი ქალაქი იყო.

ქვედა მესოპოტამიაში ძვ. წ. III ათასწლეულის დროს თიხის ფირფიტებში ნათქვამია, რომ ყველა ის სიკეთე, რომლითაც სარგებლობდნენ შუმერები ანუ ბანანურ ენაზე (მეგრულ-ლაზურ ენაზე) მოლაპარაკე ხალხები – საზოგადოებას ასწავლა უცხო პლანეტა – **„ნიბირუ"**-დან ჩამოსულმა ანუნაქებმა. ძველი აღთქმის მე-6 თავში ლაპარაკია უცხო პლანეტა **„ნიბრუ"-**ზე, ციდან მიწაზე ჩამოსულ ანუნაქებზე.

ბანანური ენა არის ჩვენს სამყაროში არსებული ენებიდან ყველაზე დიდი რაოდენობის ლექსიკური ფონდის შემცველი ენა, რომელშიც მტკიცედ და ურყევადაა შემონახული ძველი ახლოაღმოსავლეთის ცხოვრებაში – ისტორიაში. რეალური სინამდვილის დადგენა-გამომჟღავნებაში შესაღწევი ერთადერთი გზა, ერთადერთი გასაღები.

გვინდა კვლავ აღვნიშნოთ იერუსალიმში მოღვაწე (X ს.) ბერმონაზონ იოანე ზოსიმეს ნათქვამი: **„სახარებასა შინა ამასა ენასა ლაზარე ჰრქუან".** ე. ი. ბანანურ ენას სახარებაში ჰქვია ლაზარე, რომელიც ღვთის მეორედ მოსვლას ელოდება, რომ ამ ენით ამხილოს – ამ ენით გამოამჟღავნოს უფალმა ყველა საიდუმლო დედამიწაზე.

იოანე ზოსიმე საქებ სიტყვებს მხოლოდ ქართული ენისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო არ ამბობდა, – მის სიტყვებში ღრმა ფილოსოფიური აზრია ჩაქსოვილი. ირკვევა, რომ მას უტყუარი ცნობები ჰქონდა ქართული ენის ღვთაებრიობის შესახებ და მიუთითებდა, რომ ამ **„ღვთაებრივ ენას სახარებაში ეწოდება „ლაზარე" (როგორც ჩანს ლაზური) და რომ ეს ენა არის სწორედ ის ენა, რომელიც ღვთის მეორედ მოსვლას ელოდება, რათა ამ ენით ამხილოს უფალმა ყოველი საიდუმლო დედამიწაზე. დადგება დრო, როდესაც ეს ჰიპოთეზები და ვერსიები გამართლდება და მსოფლიო ერთხმად აღიარებს იბერთა ცივილიზაციის გლობალურ განთესვას ჩვენს პლანეტაზე. მაშინ გაირკვევა კონტინენტ ატლანტიდის ძირითად მაცხოვრებელთა ვინაობა. მაშინ მოეფინება ნათელი X საუკუნეში სინას მთაზე მოღვაწე ქართველი ბერის იოანე ზოსიმეს ცნობილი სიტყვებს ქართული ენის შესახებ"** (რევაზ ერისთავი, მზის შვილები, თბ., 1999, გვ. 89.) – წერს მკვლევარი რევაზ ერისთავი.

მკვლევარი ბადა (ნეგუსი) სოფია წერს: ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში ერედუს ტაძრის ირგვლივ გამოუწვავი აგურის სახლებში მცხოვრები ხალხი **„ძირითადად თავს ირჩენდა მეთევზეობით და მონადირეობით, თესავდა ხორბალ ემერს (უძველესი მეგრული ჯიშის ხორბალი, მეგრულად „ეგერ", „იქ"), ქერს, სელს, რგავდა ფინიკის პალმას, ამრავლებდა ცხვარს, თხას, ღორს, ვირს და მსხვილფეხა საქონელს, გაჰყავდა არხები, ავითარებდა ხელოსნობას და სხვა".**

შუმერეთის ისტორია, დღეისათვის არსებული წყაროებით, ერთ-ერთი ყველაზე უპირველესი ისტორიაა დედამიწაზე. შუმეროლოგმა კრამერმა აღნიშნა, რომ სწორედ შუამდინარეთის სამხრეთში დაირწა პირველად ცივილიზაციის აკვანი და იქ დაიბადა ლურსმული დამწერლობა პიქტოგრაფიული დამწერლობის საფუძველზე, რაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მონაპოვარია.

ბადა სოფიას მიაჩნია, ამტკიცებს: **„პროტოტიგროსულ ენას პირობითად „ბანანურს" უწოდებენ, რადგან ბევრ საკუთარ სახელს, რომლებსაც ამ ენას მიაკუთვნებენ, გააჩნიათ ისეთი სტრუქტურა, რომელიც გვახსენებს ინგლისურ სიტყვა ბანანა-ს: ქუბაბა, ბუნენე, ზაბაბა, ბოლულუ და ა. შ. (ბადა (ნეგუსი) სოფია. ლაზ-მეგრელთა ჩვენს..."** გვ. 13,14.).

ბ. სოფია აღნიშნავს, რომ **„ნათელი ხდება ლაზ-მეგრელების წამყვანი როლი უძველესი დროის მსოფლიო ისტორიაში, რომლებმაც, როგორც ითქვა, ასევე ჩაუყარეს საფუძველი პირველად დედამიწაზე, პირველ კლასიკურ რელიგიას, პირველ კულტურას და პირველ ცივილიზაციას"; რომ ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ლაზ-მეგრელებს უძველეს დროში „ეფუთი" ჰქონდათ, რომელიც დაკარგულად ითვლება. „ეფუთი" არის ისტორიულ ხანაში შექმნილი საკაცობრიო მნიშვნელობის ნამოღვაწრების, ე. ი. შედევრების წიგნის სახელი, იგივე „სიბრძნის კრებული". ე-ფუ-თი: ე" არის „ეგერ", „ფუ" – ადუღდა, „თი" – ის. „ეგერ ადუღდა ის", ე. ი. „ეფუთის" წიგნში ჩაწერილი ყოველი მაგალითი ყოფილა ადუღებული, იგივე გამოხდილი, ე. ი. სრულყოფილად დახვეწილი"** (ბადა (ნეგუსი) სოფია, ლაზ-მეგრელთა ჩვენს..., გვ. 21,38.).

როგორც აღინიშნა, მკვლევარი ინდიკო კვეკვესკირი წერს, რომ ქართული წარმართული ეპოქა 7 ათასი წლისაა; რომ ურარტელები **„ბი-აი /ა/ – ლინის"** ეძახდნენ თავიანთ თავს, – მერე, აიას! რომ **„ბიბლიამდე"** ხუთი ქართული წიგნი არსებობდა: 1. **„ეფუთი"** – 7000 წლის; 2. **„მარგალითი"** – 7000 წლის; 3. **„ტოფშა"** – 3500 წლის; 4. **„ტაბუ"** – 3500 წლის; 5. **„ოქროს საწმისი" („კვიბრი")** – 3300 წლის" და შემდეგ აგრძელებს: **„ეფუთი"**-ს სამეგრელოს მკვიდრნი **„პირველ ბიბლიას"** ეძახდნენ, რადგან **„ათი მცნება"** პირველადვე იქ იყო ჩამოთვლილი. **"ის მთელი 4000 წლით უსწრებდა ამ აღიარებულ წიგნს";** მკვლევარი ასაბუთებს ამ ხუთივე **„წიგნის"** წარმომავლობის ისტორიას. (**ინდიკო კვეკვესკირი,** სამი ქართული საოცრების ირგვლივ! გაზ. **„დიოსკურია"** 2007, თებერვალი, №38, გვ. 6.)

სამეგრელოში დიდმა და პატარამ იცის, რომ ძველ დროში არსებობდა სიბრძნის წიგნი **„ეფუთი"** (ფუთი). მეგრელი გლეხი ამას ისე ამბობს, რომ ვითომ გუშინ ხელში ეჭირა აღნიშნული წიგნი, შინაარსი ზუსტად არ იციან, მაგრამ ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ამ წიგნში გადმოცემული იყო ქვეყნის წარსული და მომავალი, რომელიც ზუსტად სრულდებოდა და რომ ეს აღნიშნული ქვეყანა იყო ჩვენი სამყაროს დასაწყისი. ჩანს, რომ **„ანუნაკი" „ეფუთს"** უნდა ნიშნავდეს.

კონსტანტინე გამსახურდია წერს: დასავლეთ საქართველოს ბარში ფართოდ იყენებენ ღვთის წიგნის სიტყვებს ეფუთიდან. (**კონსტანტინე გამსახურდია,** დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა, თბ., 1990 გვ. 384) აღნიშნულ საკითხს ვრცელი წერილი მიუძღვნა ფაზისის საერო აკადემიის წევრმა ავთანდილ გიორგობიანმა, ჯერ გაზეთ **„დისკუსიაში",** შემდეგ ფაზისის საერთო აკადემიის ჟურნალ **„ცოტნეიდელში". (ავთანდილ გიორგობიანი, „ხომალდის დაღუპვას გადარჩენილი კაცის ამბავი"** ვინ ესტუმრა კოლხეთს არგონავტებამდე; გაზ. **„დიოსკერია",** 2008, თებერვალი, №48, გვ. 6.)

ზოგიერთ მკვლევარს, კერძოდ, დიდ ერუდიტს, ინჟინერ ბორის გოგიას (რომელსაც კომუნისტური ხელისუფლების დროს სპეციალობით მაღალი თანამდებობა ეკავა და ყველას დამხმარე და ხელშემწყობი იყო) მიაჩნია, რომ **„ეფუთი"** დაწერილია ნოეს მიერ, რომელიც ცხოვრობდა ქრისტეს დაბადებამდე 5 ათასზე მეტი წლის წინ, ე.ი. ეფუთი სიბრძნის წიგნი შექმნილია დაახლოებით 7-8 ათასი წლის წინ. სად დაიკარგა ეს წიგნი თუ წიგნები (ფიქრობენ სამი ნაწილისაგან შედგებოდა) თურმე, 26 საუკუნის განმავლობაში საქართველოსთვის თავშეფარებულმა ჩვენმა მოძმე ებრაელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ წლების განმავლობაში სამეგრელოში და მთელ საქართველოში მოიძიეს და შეკრიბეს აღნიშნული ღვთის წიგნი, რომელიც ისრაელში გაგზავნეს და საგულდაგულოდ გაანადგურეს, დაწვეს. ბორის გოგია ამჟამადაც (2011 წ. ივლისი) დარწმუნებულია, რომ ეფუთი შემორჩა სამეგრელოში, მარტვილის რაიონში. ასევე, აფხაზეთიდან დევნილი, დროებით თბილისში მცხოვრები, ლეგიტიმური ხელისუფლების თანამშრომელი, დიდი მწიგნობარი, ფრიად განათლებული ისტორიკოსი დავით შონია და სხვები ამტკიცებენ რომ **„ეფუთი"** დაკარგული არ არის, არამედ ორი საუკუნის წინ, როცა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, რუსმა შოვინისტებმა ჯერ კიდევ შემორჩენილი **„ეფუთი"** ამოიღეს და გადამალეს. რომელსაც ისინი საქართველოს არასდროს დაუბრუნებენ, დავით შონიას უსათუოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ **„ეფუთი"** ინახება სანკტ-პეტერბურგში (ასევე რუსეთის რომელიმე არქივში და აშშ-ის არქივშიც).

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი,**
**მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფვრა გია კვაშილავას მიერ

*(გამოხმაურებათა შესახებ მსოფლიოს სამეცნიერო ლიტერატურაში)*

როგორც ბიბლიაში წერია, ადამიანი ხშირად უყურებს, მაგრამ ვერ ხედავს... ისმენს, მაგრამ არ ესმის... ჩვენ გარშემო უამრავი რამ არსებობს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და არ გვესმის, რადგან **"ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს..."** რაც ჩვენ ვერ დავინახეთ, ის სხვებმა დაინახეს და გაიგონეს... ვინაიდან, **"რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების".**

ალბათ, განგების ნება იყო, რომ სწორედ ჩვენს დროში ჩვენს ქვეყანაში მოხდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა, რომელიც ჩვენს თანამემამულეს, ახალგაზრდა მათემატიკოსს – გია კვაშილავას ეკუთვნის. ეს აღმოჩენა მდგომარეობს შემდეგში:

ამოკითხულია მსოფლიოს უძველესი **"ბეჭდვითი"** დოკუმენტი **"ფესტოსის დისკოს"** წარწერა და გამოთქმულია სარწმუნო მოსაზრება, რომ იგი შექმნილია პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე (იხ. კვაშილავა 2008, 202-272).

ფესტოსის დისკო ნაპოვნია ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტაზე იტალიელი არქეოლოგის – ლუიჯი პერნიეს მიერ 104 წლის წინ. მიუხედავად მრავალრიცხოვანი მცდელობებისა, ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფვრა ვერაფრით ხერხდებოდა. წარწერას ფონეტიკურად კი **"კითხულობდნენ"**, მაგრამ **"წაკითხული"** ტექსტი არ ეთანადებოდა მეცნიერებისთვის ცნობილ არც ერთ ენას, რის გამოც ტექსტი გაუგებარი რჩებოდა – ვერ გაერკვიათ, თუ რა ტიპის ტექსტი იყო ფესტოსის დისკოზე აღბეჭდილი.

ათასნაირი ინტერპრეტაცია იყო შემოთავაზებული. ვარიაციები იყო მრავალფეროვანი და მოიცავდა ყველა სფეროს – თამაში ეგვიპტური, უცხოპლანეტელების გზავნილი, ლოცვა ვულკანის ამოფრქვევასთან დაკავშირებით, ასტრონომიული დოკუმენტი, კალენდარი, აცტეკებისა და მაიას დისკების კომბინირება ატლანტიდასთან დაკავშირებით და სხვა მრავალი. მაგრამ არც ერთი ეს ჰიპოთეზა არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და პრობლემა დღევანდლამდე გადაუჭრელი რჩებოდა.

ისე, როგორც თითქმის ყველა მსგავსი აღმოჩენა, ფესტოსის დისკოს გაშიფვრა მოხდა **"არასპეციალისტის"**, ჩვენი თანამემამულისა და თანამედროვის, ნიჭიერი მათემატიკოსის გია კვაშილავას მიერ.

გია კვაშილავას გაშიფვრით ფესტოსის დისკოს ტექსტი პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე აღმოჩნდა დაბეჭდილი ორიგინალური კოლხური სილაბურ-ლოგოგრამული ოქროდამწერლობით.

გია კვაშილავა, როგორც აღვნიშნეთ, მათემატიკოსია, მაგრამ 20 წლის მანძილზე მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა ენათმეცნიერება, რამაც შესაძლებლობა მისცა, ფესტოსის დისკოზე დაბეჭდილი ტექსტი ეკვლია ლინგვისტური კუთხით. მიღებულია განსაკუთრებით საინტერესო შედეგები:

დასტურდება თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ჰიპოთეზა პროტო-ქართველური ენობრივი სისტემისა და ელემენტების სტრუქტურის შესახებ, რომლის რეკონსტრუქციაც მათ მოახდინეს თავის ფუნდამენტალურ და რევოლუციურ ნაშრომში **"სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში"** (თბილისი, 1965);

გია კვაშილავას მიერ გაკეთებული ფართო და ღრმა ისტორიული და ტიპოლოგიური ანალიზი ფესტოსის დისკოზე დაბეჭდილი სხვადასხვა ნიშნისა (მაგ., **"ცულის", "ვარდულისა"** და სხვა ნიშნების. იხ. კვაშილავა 2009, 2010) ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა მჭიდრო კონტაქტები პროტო-ქრთველურ (კოლხურ) ენასა და სხვა ენებს შორის, პროტო-ქართველურ (კოლხურ) კულტურასა და სხვა კულტურებს შორის...

გია კვაშილავას მრავალწლიანი, დაუღალავი და მაღალპროფესიული კვლევის შედეგი დღეს სახეზეა და მან უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ამ აღმოჩენის შესახებ იბეჭდება მსოფლიოს ყველაზე გავლენიან სამეცნიერო კრებულებში, ჟურნალებში, ენციკლოპედიებსა და მონოგრაფიებში.

ერთ-ერთი მონოგრაფია **"Stones that Speak"** – **"ქვები, რომლებიც მეტყველებენ"**, რომელიც ინგლისში – კემბრიჯშია გამოცემული 2010 წელს და რომლის ავტორია რობერტ მორიტი, თითქმის მთლიანად ეძღვნება გია კვაშილავას ამ გასაოცარ აღმოჩენას. მონოგრაფიის ავტორი იმდენადაა აღფრთოვანებული გია კვაშილავას ამ ფუნდამენტური კვლევით, რომ მონოგრაფიაში აქვეყნებს ბატონი გიას ბიოგრაფიასა და სამ სურათს, რათა მსოფლიომ დაინახოს კაცი, რომელსაც წილად ხვდა პატივი, შეეცვალა და შეევსო კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების ისტორია ახალი ხედვით.

ამ აღმოჩენამ გია კვაშილავა მსოფლიოს მეცნიერების თვალში ნიკო მარის გვერდით დააყენა და მათ ერთად მოიხსენიებენ, როდესაც ლაპარაკია ქართველთა უძველეს კულტურასა და მის გავლენაზე ხმელთაშუა ზღვის არეალში 7-4 ათასი წლის წინ და შემდგომ პერიოდში (იხ. **Journal of Linguistic Anthropology, Vol. 21, Issue 1, 2011, 78-98. American Anthropological Association.** აშშ).

ამ სტატიაში არის ასეთი პარაგრაფი: **«ნიკო მარი და ლინგვისტურად დადასტურებული ქართული საწყისები» («Niko Marr and Search for Linguistically Proven Georgian Origins»)**, სადაც წერია შემდეგი რამ:

«ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევები არქაული რეფერენციალური ენისა ნიკო მარისა და გია კვაშილავას სტილში, ერთის მხრივ, და მობილიზაცია ლინგვისტურად არადეტერმინირებული ავანგარდისტული ესთეტიკისა, მეორე მხრივ, არის გზა, რომლითაც ქართული ტრადიციული სიმღერების არარეფერენცალური ტექსტები აღიქმება როგორც ინდექსი კულტურული განსხვავებულობისა თანამედროვე ერაში» **(«Historical-philological investigations into archaic referentially ambiguous language in the manner of Niko Marr and Gia Kvashilava on the one hand, and the mobilization of the liguistically indeterminate in pursuit of avantgarde aesthetics on the other, are the ways in which the non-referential texts of Georgian traditional song have been appropriated as an index of cultural distinction throughout the modern era»).**

გია კვაშილავას აღმოჩენამ მსოფლიოს მეცნიერებს სხვაგვარად დაანახა ხმელთაშუა ზღვის არეალის ცივილიზაციების განვითარების ისტორია და ქართველთა როლი ამ განვითარებასა და ისტორიაში.

2010 წელს ირლანდიაში – დუბლინში გამოიცა ენციკლოპედია **"ატლანტიპედია"**, რომლის ავტორია ტონი ო'კონელი (ცნობილი მეცნიერი და გამომცემელი, რომელიც 1943 წელს დაიბადა დუბლინში). ეს არის 504-გვერდიანი ფუნდამენტური ენციკლოპედია, რომელშიც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია ძველი ელინისტური სამყაროსა და ატლანტიდის შესახებ. ენციკლოპედიაში გამოყენებულია უაღრესად ვრცელი და სრული ბიბლიოგრაფია მინოსურ-კრეტულ ცივილიზაციაზე, ეგვიპტესა და საერთოდ ხმელთაშუა ზღვის არეალზე და მის ქვეყნებზე, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებსა და ცივილიზაციებზე, საბერძნეთსა და პონტოზე; ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის კოლონიზაციის ეპოქაზე; ძველი რომის იმპერიასა და ალექსანდრიის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ბიბლიოთეკებში არსებულ ცნობებზე, ფესტოსის დისკოსა და გია კვაშილავას სამეცნიერო მიღწევებზე.

ფესტოსის დისკოსა და მის გაშიფვრას გია კვაშილავას მიერ ამ ენციკლოპედიაში ეძღვნება მთელი თავი (გვ. 331-332). ამ არაჩვეულებრივად საინტერესო ენციკლოპედიურ სტატიაში ვკითხულობთ, რომ **"ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ, რომლის კვლევა მოიცავს განსაკუთრებით ვრცელ და ფართო ბიბლიოგრაფიას, შემოგვთავაზა ყველაზე მეტად მისაღები და რეალური დეშიფრირება ფესტოსის დისკოს ტექსტისა, რომელიც შესრულებულია პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე და რომელიც დაბეჭდილია უნიკალური კოლხურ სილაბურ-ლოგოგრამული ოქროდამწერლობით"**. ენციკლოპედიაში **"ატლანტიპედია"** გია კვაშილავას ნაშრომები რეკომენდირებულია როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მაღალი კურსების სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის და ამ დარგის მეცნიერებისათვის მთელ მსოფლიოში.

ამ საენციკლოპედიო სტატიაში განხილულია ფესტოსის დისკოს შესახებ არსებული თითქმის ყველა ჰიპოთეზა. აღნიშნულია, რომ ფესტოსის დისკო ინახება ირაკლიონის არქეოლოგიურ მუზეუმში, სადაც, აგრეთვე, ინახება კრეტაზე ნაპოვნი არკალოხორის ცული, რომელზეც აღბეჭდილი 15 ნიშანი, იდენტიფიცირებული როგორც – ხაზოვანი დამწერლობის ნიშნებთან, ეთანადება ფესტოსის დისკოს მახასიათებლებს.

აქვე აღნიშნულია, რომ სამწუხაროდ, პროფესიონალი **"wet blanket"**-ის, ანუ პროფესიონალი **"ურწმუნოს"** მიერ, დოქტორი ჯ. აიზენბერგის სახით, შეიტანილ იქნა ეჭვი ფესტოსის დისკოს ნამდვილობაში. ჯ. აიზენბერგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფესტოსის დისკო შესაძლებელია ფალსიფიცირებული იყოს. საბერძნეთის მთავრობამ არ მისცა დისკოს ტესტირების უფლება იმ მიზეზით, რომ ის შეიძლება დაზიანებულიყო (რაც სრულიად შესაძლებელიყო) ან სულაც განადგურებულიყო ტესტირების პროცესში, ვინაიდან თიხის დისკო ძალიან ფაქიზია, სუსტი და მტვრევადი. საბერძნეთის მთავრობის სიბრძნემ გადაარჩინა ფესტოსის დისკო. ხოლო, რაც შეეხება ეჭვს მისი ფალსიფიცირებულობის შესახებ, ის უმალვე კვამლივით გაიფანტა, როგორც ჩვეულებრივ ემართება ყველა მცდარ მოსაზრებას.

ეს საენციკლოპედიო სტატია მთავრდება გია კვაშილავას დეშიფრირების შეფასებით, როგორც მაღალი დონის სამეცნიერო კვლევისა და, როგორც ვთქვით, ამ ნაშრომის რეკომენდაციით სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის.

უნგრეთში გამომავალ ჟურნალ **"არგონავტიკაში"** და იმავე სახელწოდების მონოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნდა 2011 წელს და რომლის ავტორია ცნობილი უნგრელი მეცნიერი ქსიზი სანდორი, ფართოდ და მრავალმხრივ არის გაშუქებული გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა ასპექტი და ნათლადაა ნაჩვენები, რომ არგონავტიკისათვის დისკოს წარწერის გაშიფვრა უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს.

ბოლო დროის სამეცნიერო პუბლიკაციები ამტკიცებს, რომ შეუძლებელია იკვლიო ეს დრო, ეს არეალი, ეს თემა და, საერთოდ, ცივილიზაციის განვითარების ისტორია ისე, რომ მხედველობაში არ მიიღო გია კვაშილავას კვლევის შედეგები, რომლებმაც მსოფლიოს მეცნიერებს სხვაგვარად დაანახა მთელი ხმელთაშუა ზღვის არეალის ცივილიზაციის განვითარება, ისტორია და ქართველთა როლი ამ პროცესებში.

**"კვაშილავამ არა მხოლოდ აჩვენა, რომ ფესტოსის დისკოს ენა იმდროინდელი ქართულ-კოლხურია, არამედ მან კრეტას დაუკავშირა კორიბანტები და მათი კირბები, ერთმანეთთან დააკავშირა კრეტელი, ლემნოსელი, სამოთრაკიელი კორიბანტები და აჩვენა, რომ იმ ენაზე, რომელზეც ისინი ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ, აგრეთვე, მინოსის კოლხი მეუღლე პასიფაე, მისი ძმა კოლხეთის მეფე აიეტი, აიეტის ქალიშვილი – იაზონის მეუღლე მედეა და ოდისევსის მომაჯადოებელი საყვარელი ჯადოქარი კირკე"...**

ამას წერს ცნობილი ბერძენი მეცნიერი ტ. კაფანტარისი (საბერძნეთი, **Bhma Science**, 18.01.2009). მისი აზრით, კრეტელები და ქართველები – კოლხები, მხოლოდ კი არ ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, არამედ იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს ჰეგემონები...

**ნანი ჭანიშვილი**

ენათმეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ს კვლევითი და სასწავლო ცენტრის «ენა, ლოგიკა და მეტყველება» დირექტორი

### პოეზიის კუთხე

## გაჭირება

დაბადებით, ჯიმალეფი,
იბჩიებუთ ჩილათირო.
მითინქ მართალ თქუასინი,
გინვორთიანუანთ ის ვირო.
მუთი ჯვეშო ქოყოფენი,
ვორთინუანთ თისი ირო.
მა ყაზახი, სი – თავადი...
დევეკვირათ თესი ჯგირო.

დევეკვირათ! – ქობძირუნთ
ქიანა მუჭო ირთუუნი:
მუჭო მუშაში ნახანდით
ლალა კათა ირძღუუნი,
ირ სიავე ფალუნცუ დო
სამართალი იჭუუნი,
საცოდალი მუშა ხალხი
ტომბა ლეტას ინწყუუნი.

უსამართლობა ოცადუ
სამართალიშ ყოთამას,
ადამიანქ დეესუსტუ,
ვეშეხვადუქ კოჩანას.
მარა ანწი იმენდირე
ღარიბ ვარდიქ გოფალას.
არძა ქიმიმნდომენდათი,
ქობძირუნთუ გოთანას.

ხემწიფეში უჩა ტახტის
ამარგენა გვერშაპეფი.
გენერლეფი, მინისტრეფი,
ჟინოსქუა, თავადეფი.
კანონიერ მახინჯეფი –
მდიდარეფი, ვაჭარეფი.
ქრისტეშ მცნებაშ მოღალატე
მეტნაწილი ჩქინ პაპეფი.
ხალხიშ მაშქვიდაფალეფი,
თხობერლეფი, ჯალათები,
ქირებული პოლიცია,
ნგერიშ ჯარი – კაზაკეფი.

გობკურცხათი, ჯიმალეფი,
ნტერი მივორთინუათი,
დატანჯულემქ, ჩაგრულემქ
ანწი ჩე დღა ქობძირათი.
თე ცხოვრება უკუღმართი,
მორძგვშერ გამკორთინუათი.
ათე ჩქინი ყაზახალა
ქიანას მუორჩქილუათი.

**დავით აკობია,**
ზუგდიდი,
1904 წელი

## დიდა მარდუალს

დიდას, შურდგიმილ მიდგა ორდასი,
თოლ-ბჟალარას მი დამარდუანს.
ხატო აწგორე ინა ირდღასი,
მითინ ვათირანს დიდა მარდუალს.
ხე გემუანი – ნინა ნანაშით
დო მოტოლუა გურ ინარუნი,
სქან ჭყოლოფუა რე ქიანაში,
თაშ საღორონთო ვარა ვარ უნი.
მიჩქ სკანი ხანდა ვარდუ ეფინი...
ჟი ცას მუ რენი მუ მორჩქინუანს,
ნანა, ონდარო სი ქორექინი,
ბაღანა ვორექ, მუ მორჩინუანს.
მითინს ვაუჩქუ მუ დღა მელუნი...
სკუას რდუნსუ დო რინა დალუას
დო ნორდუელი გამას ველუნი,
თიცალი დიდას იფრელქ გალუას.
ა თე ქიანა მიქ დამარგუნი
დო პლანეტეფი უმარგ ართიანს...
გობრჩქინდი მარა მიდგაქ მა ბრდუნი,
ე თი დიდასი მითინ ვათირანს.
დიდას სახელი, გვარი მუმაში,
ბჟა ჩხორიათ დინმობარჩხალანს;
თეში უმოსი რინას მუ მაში,
თქვანი თოლეფით ვორწყექ მა ჩხანას!
მა თე ზოკული ირო მოპუნსუ,
მუჭოთ ნოქური ახალ ნათირას;
მაჟია დიდა ვარა სო პუნსუ,
დიდა მარდუალს მითინ ვათირანს!
სკუა ქიგერდას შარას სახეროს
დიდა რინასი ვადამარდუანს...
ოდო ათეშენ ჯოხო სახელო:
დიდა ღორონთი, დიდა მარდუალს!
დიდა ჟინიში ართი მანგი რე,
მეტის ვაძირუ ქიანა დილენი;
სკუას დიდაში ვალი ვაგინე,
ცაშე მურიცხი გამკუწილენი.
სკუა დიდაშო რინა რე ულუ,
ონდო ბჟალარაქ თოლშე ვალერტას.
დიდა სკუაშო სანთელო ნდღულუ,
მარა ღორონთო სკიდუ პლანეტას!

**გურამ ჯიქია**

# მრგვალი მაგიდა: „ვის აძლევს ხელს სეპარატიზმი სამეგრელოში?“ („რია ნოვოსტი“)

5 ივლისს **„რია ნოვოსტის“** თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში მრგვალი მაგიდა გაიმართა თემაზე **„ვის აძლევს ხელს სეპარატიზმი სამეგრელოში?“.** დისკუსიაში ქართველი ჟურნალისტები, ექსპერტები და ისტორიკოსები მონაწილეობდნენ.

განსახილველად წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები: არსებობს თუ არა სეპარატიზმის პრობლემა სამეგრელოში, ვის აძლევს ხელს მეგრელ საზოგადოებაში სეპარატისტული განწყობის გაძლიერება, გამართლებულია თუ არა წუხილი მეგრული ენის მომავალზე, როგორია ისტორიკოსთა შეხედულებები ამ პრობლემაზე?

მრგვალი მაგიდის მონაწილეები საერთო დასკვნამდე მივიდნენ, რომ მეგრული სეპარატიზმი, როგორც ასეთი, არ არსებობს, მაგრამ მასმედიასა და ინტერნეტში მისი გაღვივება მიზნად ისახავს, დაასუსტოს საქართველო და მეზობლებისათვის მოწყვლადი გახადოს იგი.

**„საქართველო მთლიანად და მისი რეგიონები, კერძოდ, სამეგრელო, დიდი პოლიტიკის გზაგასაყარზე მდებარეობენ. ყველა აქ მცხოვრებს მკაფიოდ უნდა ესმოდეს ის რისკები, რომლებიც არსებობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე გარედან. ბოლო ხანებში ინტერნეტში ძალიან გააქტიურდა ე.წ. მეგრული თემა, რომ არსებობს ენის პრობლემა, თვითგამორკვევის პრობლემა, ავტონომიის პრობლემები“,** – განაცხადა პოლიტოლოგმა და პუბლიცისტმა გელა ვასაძემ.

მას დაეთანხმა მეორე ექსპერტი, ინტერნეტპორტალ **„Грузия Online“**-ის მთავარი რედაქტორი გოჩა გვარამია, რომელმაც აღნიშნა, რომ **„ცოცხალი ჟურნალის რუსულენოვან სეგმენტში არის რამდენიმე მომხმარებელი, რომლებიც გამუდმებით ავითარებენ სამეგრელოს რეგიონის ტერიტორიული ავტონომიის შექმნის იდეას“.** მისი აზრით სამეგრელო ქვეყნის საკვანძო რეგიონია: **„სამეგრელოს მოწყვეტის შემდეგ ადვილად შეიძლება დანარჩენი საქართველოს გაკონტროლება, ყველა გზა შავი ზღვის სანაპიროდან აღმოსავლეთ საქართველომდე ამ რეგიონზე გადის“.**

**„მეგრული სეპარატიზმის განვითარების საფრთხის პრობლემა არ არსებობს, იმიტომ, რომ ამას თავად მეგრელები არ დაუშვებენ. მათ კარგად ესმით, რომ როგორც გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბირთვს შეადგენენ. მეგრული სეპარატიზმი ხელს აძლევს იმას, ვისაც საქართველოს დაშლა და მთლიანად დაპყრობა სურს“,** – დასძინა გვარამიამ.

ამასთან დაკავშირებით გელა ვასაძემ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, პრესასა და ინტერნეტში პუბლიკაციების მიზანია **„არა მეგრული სეპარატიზმის გააქტიურება, არამედ სურვილი, ინფორმაციულ ველზე აჩვენონ, რომ ამგვარი სეპარატიზმი არსებობს“.**

„რია ნოვოსტის“ თბილისის საერთაშორისო ცენტრი

რედაქციისაგან – “მრგვალი მაგიდის” მუშაობის მსვლელობისას ვიღაც გოჩა გვარამიამ აუგად მოიხსენია იმ ალექსანდრე ჭაჭიას სახელი, რომელმაც დიდი შრომა შეალია სამეგრელოსა და მეგრული ენის დაცვას. ბატონი ალექსანდრე სიცოცხლეს იგდებდა საფრთხეში, როცა ხმამაღლა აცხადებდა პროტესტს “მხედრიონის” მიერ სამეგრელოს სასტიკად დარბევის გამო, მაშინ, როცა აფხაზეთიდან გადმორეკილ გოჩა გვარამიასა და მისნაირებს მშვიდად ეძინათ ყურზე. შეიძლება გააკრიტიკო პიროვნების ნაშრომი მაშინ, როცა იგი იქ არ იმყოფება, მაგრამ როცა ეხები პიროვნების ღირსებას, მის დაუსწრებლად, როდესაც ლანძღვის ადრესატს თავის დაცვის საშუალება არა აქვს, რბილად რომ ვთქვათ, ეს ნაძირალური საქციელია და მას მკაცრად უნდა მოეთხოვოს პასუხი.

ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ამ საკითხს, ახლა კი გთავაზობთ ჟურნალისტ გიორგი მეძმარიაშვილის წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში “საქართველო და მსოფლიო”:

# უკუღმა, გვარამია, უკუღმა, ანუ ჰა, კიკუ, შენ თუმანი...

**როგორც უკვე ითქვა, 5 ივლისს «რია ნოვოსტის» თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე «ვის აძლევს ხელს სეპარატიზმი სამეგრელოში». დისკუსიაში ქართველი ჟურნალისტები, ექსპერტები და ისტორიკოსები მონაწილეობდნენ.**

**«მეგიოხვენჯე» – ეს მეგრული სიტყვა ზედმიწევნით ერგება ყველა იმ პერსონას, რომლებიც არარსებული მეგრული სეპარატიზმის თემის ექსპლუატაციას ეწევიან. ვინაიდან ამ სიტყვის ადრესატს აქვს პრეტენზია, თავი «მეგრული საკითხის» სპეციალისტად წარმოადგინოს, დარწმუნებული ვარ ამ არასაპარლამენტო მეგრული ტერმინის მნიშვნელობაც ეცოდინება და მისი განმარტებით თავს არ მოგაწყენთ. არც ზემოაღნიშნული მრგვალი მაგიდის წევრთაგან ამ სიტყვის ადრესატთა დახასიათებით დაგღლით, რადგან ამის მცდელობა აუცილებლად მიგვიყვანს სპეცსამსახურების სხვადასხვა რანგის პროვოკატორებისა თუ ხელის ბიჭების საქმიანობის დეტალების განხილვამდე. ეს კი მოსაწყენია, ვინაიდან მათი ნამდვილი სახე და «ეპოლეტების» რაობა საზოგადოებისთვის, დიდი ხანია, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს.**

**რაც შეეხება მეგრულ სეპარატიზმს, რასაც მრგვალი მაგიდა შეეხო, ნებისმიერი არა «მეგიოხვენჯე», საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადია, რომ მეგრული სეპარატიზმი, როგორც ასეთი, არ არსებობს.**

**სინამდვილეში საქმე გვაქვს ერთგვარ ფანტომთან, ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, მისივე პროპაგანდისტებისა და გაიძვერა მედროვეების მიერ შექმნილ ქიმერასთან, რომელსაც ყოველი არჩევნების წინ და სხვა «საჭირო შემთხვევებში» იყენებდნენ ხოლმე, რათა სამეგრელოს მოსახლეობის სამართლიანი პროტესტი ანტიეროვნული ხელისუფლებისადმი უნივერსალური კონტრარგუმენტით – სეპარატიზმით – გაებათილებიათ.**

რაც შეეხება შეკითხვას – **«ვის აძლევს ხელს სეპარატიზმი სამეგრელოში?»,** იგი რიტორიკულია და მასზე პასუხი ნათელია – მეგრული სეპარატიზმის თემით აპელირება ხელს აძლევს პოლიტიკურ კურტიზანთა იმ ჯგუფს, რომელიც წინასაარჩევნოდ, გამომდინარე პრინციპიდან **«ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია»**, ცდილობს, სეპარატისტის იარლიყი მიაკეროს, ყოველგვარი პროტესტის გამოხატვისადმი კომპლექსი გაუჩინოს და სტიგმის წნეხის ქვეშ მოაქციოს სამეგრელოს საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც მიუღებელია მარიონეტი პოლიტიკოსების მიერ მთელ ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, სამეგრელოშიც, გატარებული დამღუპველი პოლიტიკა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მრგვალი მაგიდის მსვლელობისას დამოუკიდებელმა ექსპერტმა, ინტერნეტპორტალ **«გრუზია ონლაინის»** რედაქტორმა გოჩა გვარამიამ სამეგრელოში სეპარატიზმის აღმოცენების შესაძლებლობის საკითხის განხილვისას აღნიშნა:

**«ალექსანდრე ჭაჭია, რომელმაც 1991 წელს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა პოსტი, მომხრეა, რომ მეგრულ წიაღში საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი იდეების ჩანერგვამდე, აუცილებელია შეიქმნას «მეგრული ნაცია», რომელმაც (თითქოს) საბჭოთა პერიოდში ბევრი ეთნიკური ნიშანი დაკარგა».**

ბატონი გვარამია იქვე უთითებს, რომ ჭაჭიამ თურმე მეგრული ენის შემსწავლელი ორი საკვირაო სკოლაც კი გახსნა.

ბატონი გვარამია უტიფრად ტყუის. ის არ აკონკრეტებს, სად, როდის, რა მიზნით გაიხსნა ასეთი სკოლები, უბრალოდ, საკუთარი (ან უნიჭო ზემდგომის) ფანტაზიის ნაყოფს მომხდარ ფაქტად წარმოგვიდგენს. თუმცა რა უნდა დააკონკრეტოს, როდესაც ეს **«მარგალიტიც»** ისეთივე მონაჩმახია, როგორც დანარჩენი გვარამიას **«რიანოვოსტული თეზისებიდან».** არადა, ბატონი გვარამია არ ტოვებს იმდენად გაუნათლებელი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომ არ იცოდეს საკვირაო სკოლის მნიშვნელობა, არ ესმოდეს, რომ საუბრობს არა პორტუგალიაზე (სადაც შეიძლება ვინმეს კიდეც გაეხსნა სუაჰილის, არამეულის, ყალმუხურის ან სულაც მეგრულის შემსწავლელი საკვირაო სკოლა), არამედ სამეგრელოზე, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მეგრული ისედაც იცის და სკოლის გახსნა ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია... იცის ეს ყველაფერი ბატონმა გვარამიამ, მაგრამ რა ქნას? – ბრძანება აქვს და უნდა შეასრულოს, თორემ მასაც ისევე მიავლენენ სადმე ევროპაში განათლების და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, როგორც მისი მოგვარე გაამწესეს განათლების მინისტრის სავარძლიდან რიგით სტუდენტად ინგლისში.

ტყუილისადმი მიდრეკილება, პათოლოგიური ცრუპენტელობა, პიროვნების ისტერიული აშლილობით დაავადებულ ადამიანებს ახასიათებთ. ბატონი გვარამია ასეთის შთაბეჭდილებას, ერთი შეხედვით, არ ტოვებს, მაგრამ ულმერთოდ ტყუის.

როგორც ჩანს, მას მნიშვნელოვანი მოტივაცია გააჩნია იმისათვის, რომ საჯაროდ იკადროს სიცრუე და თეთრზე თქვას შავიაო. ასე ან ზნეობრივი კოორდინატებიდან სრულად ამოვარდნილი ადამიანები იქცევიან, ან ის ხელქვეითები, რომლებიც ერთი ნატეხი შაქრის დაკარგვის ან მათრახის შიშით ზემდგომის ბრძანებას არ არღვევენ.

როდესაც გვარამიას ამ განცხადებას გავეცანი, ძალიან გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მრგვალ მაგიდას, რომელიც ანტიმეგრული და რატომღაც ანტირუსული ისტერიის ტონში წარიმართა, მასპინძლობდა **«რია ნოვოსტის»** თბილისის საერთაშორისო პრესცენტრი. **«რია ნოვოსტი»**, მოგეხსენებათ, რუსული სააგენტოა და მის საერთაშორისო პრესცენტრში ამგვარი თემატიკის, შინაარსის და შემადგენლობის მრგვალი მაგიდის გამართვა, თანაც სტანდარტების უხეში დარღვევითა და პოზიციის ცალმხრივი წარმოჩენით, კონსპიროლოგიისგან ძალიან შორს მყოფ ადამიანსაც კი გარკვეულ საფუძვლიან ეჭვებს აღუძრავს.

გვარამიას **«რიანოვოსტული თეზისების»** გადასამოწმებლად ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ, მან ჩემგან გაიგო გვარამიასეული **«ბრალდებების»** თაობაზე:

**«რა უნდა გითხრათ, ქართველ ეგრეთ წოდებულ ექსპერტთა შორის, არის საკმაოდ ბევრი აბსოლუტურად უვიცი, გაუნათლებელი ადამიანი, რომლებისთვის საარსებო წყაროა არა ცოდნა და ინტელექტი, არამედ სპეცსამსახურების დავალებით ბინძური ჭორებისა და ცილისწამების გავრცელება. მათი საქმიანობის კომენტირება ზედმეტად მიმაჩნია, არც თქვენ გირჩევთ. თქვენ სერიოზულ ავტორიტეტულ გაზეთს უშვებთ და, თუ ყველა მაიმუნის გამოხდომას ყურადღებას მიაქცევთ, გაზეთის ფურცლები არ გეყოფათ.**

**ახლოვდება არჩევნები. არსებობენ ძალები, რომლებსაც უნდათ ეგრეთ წოდებული მეგრული სეპარატიზმის თემის გათამაშება. ეს პერიოდულად ხდება ქართულ პოლიტიკაში, ამას უნდა შევეგუოთ. ეჭვი მაქვს, უახლოეს პერიოდში სხვა ვიგინდარებიც გამოჩნდებიან ამ ყბადაღებულ თემასთან დაკავშირებით. ცილისწამების არაერთი ტალღა გადაგვიტანია და ამასაც გადავიტანთ».**

პათოლოგიური ცრუპენტელობა შემთხვევით არ მიხსენებია, ბატონი გვარამია აცხადებს, რომ თურმე ჭაჭიამ 1991 წელს ლეგიტიმური, ანუ გამსახურდიას მთავრობის მიმართ პროტესტის გამო დატოვა პოსტი.

აქ კომენტარი მართლა ზედმეტია. ბატონმა გვარამიამ, რა თქმა უნდა, იცის რომ ალექსანდრე ჭაჭიამ ზვიად გამსახურდიას, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლის იდეას, ზუგდიდში პირველი და ერთადერთი ძეგლი დაუდგა, მიუხედავად ამისა, უტიფრად ტყუის – ჭაჭიამ გამსახურდიასადმი პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვაო.

იცის გვარამიამ და ჰებელსმაც იცოდა, რომ, რაც უფრო დაუჯერებელია ტყუილი, მით უფრო ადვილია იაფფასიანი პროპაგანდისტული მიზნებისათვის მისი გამოყენება.

იცის და ვირეშმაკულად, თეთრი ძაფით კერავს დავალებას, მაგრამ ეგ არაფერი, ერთი ნატეხი შაქრისთვის ან მათრახის შიშით ადამიანები უარესსაც კადრულობენ... გვარამიაც უფრო შორს მიდის და ღიად სდებს ბრალს სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»** ლიდერს სეპარატიზმში. სიტუაციის კომიკურობა რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიყვან ციტატას 2001 წლის 12 ოქტომბერს სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»** ყრილობაზე ალექსანდრე ჭაჭიას მიერ წარმოთქმული სიტყვიდან:

**«ჩვენ ნათლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღევანდელ დაშლილ, დანგრეულ, დაქუცმაცებულ, ეკონომიკურად და ზნეობრივად დაცემულ, შეურაცხყოფილ საქართველოში ჩვენ ისევ და ისევ, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ისტორიაში, გამაერთიანებელი როლი უნდა შევასრულოთ. მეგრელებისთვის, ისევე, როგორც სხვა ქართველებისთვის, ცხოვრების არეალს მთელი საქართველო წარმოადგენს. თუ ახლანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთი კუთხე – აფხაზეთი მეგრელებისგან გაათავისუფლა, ნუ ექნება იმის იმედი, რომ სხვა კუთხეებიდანაც გაგვდევნის და რომელიღაც გამოყოფილ «სამეგრელოს რესპუბლიკაში» ერთად მოგვიყრის თავს».**

ვინც ამ სიტყვებში სეპარატიზმს ხედავს, ის ან ბრმაა, ან მოგზავნილი, ან სულაც ბადრიჯანი. ბატონი გვარამია კი ისევ პათოლოგიურად ცრუპენტელობს და გვარწმუნებს: თურმე ჭაჭია **«მომხრეა, რომ მეგრულ წიაღში საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი იდეების ჩანერგვამდე აუცილებელია შეიქმნას «მეგრული ნაცია», რომელმაც** (თითქოს) **საბჭოთა პერიოდში ბევრი ეთნიკური ნიშანი დაკარგა».**

**ლოგიკა მართლაც რომ ბადრიჯანისებურია, ამაზე, უფრო სწორად გვარამიაზე, შეიძლება ითქვას: «უკუღმა, ასინეთა, უკუღმა»...**

არქიფო სეთურისა და ასინეთას პარალელი მართლაც ზედგამოჭრილია, გვარამია უკუღმა ატრიალებს ორღანს და ოპონენტს, რომელიც ქართველთა ერთობაზე, როგორც გადარჩენის ერთადერთ სწორ გზაზე, საუბრობს, **«სეპარატიზმში ამხელს»**. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავისი არქიფო სეთური ბატონ გვარამიასაც ჰყავს და **«უკუღმართ»** დირექტივებსაც ის ჩასჩიჩინებს. თუმცა გვარამიას რომ არ დავემსგავსო, ნათქვამის დასტურად კიდევ ერთ ციტატას მოგიყვანთ სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»** ყრილობაზე ამ მოძრაობის ხელმძღვანელის გამოსვლიდან, **«მეგრულ წიაღში საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი იდეების ჩანერგვის»** თემაზე:

**«იმისათვის, რომ ერს მომავალი ჰქონდეს, პირველ რიგში, აუცილებელია ქართველთა ერთობა – ან ჩვენ გავერთიანდებით და ერთად დავდგებით იმ კატასტროფული საფრთხის წინაშე, რომელიც ჩვენს არსებობას ემუქრება, ანდა ფიზიკურად გადარჩენილი ჩვენი შვილები და შვილიშვილები მათხოვართა, მაწანწალათა ბრბოდ გადაიქცევიან და ხანდახან გაიხსენებენ, რომ ოდესღაც ღირსეულ ერს წარმოადგენდნენ და საკუთარ მიწაზეც ცხოვრობდნენ».**

რადგან ზემომოყვანილ ციტატებში ბატონი გვარამია ჯიუტად (ანუ არქიფო სეთურის ბრძანებისამებრ) ხედავს სეპარატიზმის და **«საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი იდეების»** კვალს, ნება მისია, მას ისევე ვერ მოაშლევინებ ნაბრძანების გამეორებას და ორღანის უკუღმა ტრიალს, როგორც კოპროფილს ვერ მოსთხოვ გურმანობას. როდესაც ადამიანი მიზანმიმართულად ტყუის და ამას ანგარებით აკეთებს, მასთან პოლემიკა წყლის ნაყვაა.

წყლის ნაყვას კი ის აჯობებს, მკითხველმა თავად განსაჯოს, უბრძანეს გვარამიას ეს უკუღმართობა და ცილისწამების გავრცელება თუ გადაუხადეს, ანუ ვინ არის გვარამია, კიკუ თუ ასინეთა?

განსჯის ობიექტურობისათვის კი მკითხველს 2001 წლის 12 ოქტომბერს სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»** ყრილობაზე ალექსანდრე ჭაჭიას მიერ წარმოთქმული სიტყვიდან კიდევ ერთ ციტატას შევთავაზებ:

**«ჩვენ, როგორც იცით, დაგვაბრალეს «სეპარატიზმი», ქვეყნის გახლეჩის სურვილი, ქართველი ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, უარყოფა და ბევრი სხვა სისულელე. დაგვაბრალეს სწორედ იმ ძალებმა, იმ პიროვნებებმა, იმ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, იმ ე. წ. ოპოზიციის თავკაცებმა, ვინც თითქმის ათი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ანგრევენ ჩვენს სამშობლოს, შლიან ქვეყანას, ყიდიან ისტორიულ ტერიტორიებს, მათხოვართა ბრბოდ აქცევენ ქართველ ხალხს, კლასიკური ფორმის გენოციდს უწყობენ საკუთარ მოსახლეობას...**

**ამ უვიც, გაუნათლებელ, ანტიეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკანებსა თუ ფსევდოინტელიგენტებს შევახსენებ, რომ სამეგრელოს მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი ფუნქციის შესრულება ეკისრა. მეტიც, ისტორიაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში (არადა, ეს პერიოდი თითქმის მთელ ისტორიას მოიცავს, 200-250 წლის გამოკლებით) არსებობდა კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები, მაგრამ, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, დადიანებს არასოდეს უცდიათ სამეგრელოს სამეფოდ გამოცხადება. იმდენად ძლიერი იყო ყოველთვის მეგრულ საზოგადოებაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისკენ ლტოლვა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთვის მეტი გაეკეთებინოს, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა...»**

გიორგი მეძმარიაშვილი

# ივანიშვილი: „მიხეილ სააკაშვილი უკვე ოპოზიციაშია“

სააკაშვილი ატყუებს როგორც ევროპას, ისე ამერიკას, ის პროფესიონალი მატყუარაა. ამის შესახებ კოალიცია **„ქართული ოცნების“** ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო **„თბილისი მარიოტში“** კოალიციის ახალგაზრდული ფრთის კონფერენციაზე გააკეთა.

მისი თქმით, ამ ტყუილის შედეგია, რომ გარკვეულ საერთაშორისო კვლევებში საქართველოს პირველი ადგილი აქვს აღებული.

ივანიშვილის განცხადებით, დაუჯერებელია კვლევებში ასახული ფაქტები, თითქოს საქართველოში კორუფცია აღარ არსებობს. მისი თქმით, კორუფცია დღეს აღარ არის საშუალო რგოლში. **„ყველა ფული დღეს ხელისუფლების ვიწრო წრეში მიდის და თუ ვინმე საშუალო რგოლიდან კორუფციაში ჩაება, მას აუცილებლად იჭერენ“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

კოალიციის ლიდერის თქმით, სააკაშვილი უკვე ოპოზიციაშია, რადგან ის სწორედ ოპოზიციურ განცხადებებს აკეთებს მოსახლეობასთან შეხვედრებისას.

ბიძინა ივანიშვილი ვანო მერაბიშვილის სამთავრობო პროგრამასაც შეეხო და განაცხადა, რომ მთავრობამ **„ქართული ოცნების“** პროგრამა თვალდახუჭულად გადაიღო და უხეშად გადაამრავლა.

კოალიციის ლიდერმა ახალგაზრდებს მხარდაჭერა აღუთქვა და განაცხადა, რომ ცალკე ახალგაზრდობის პრობლემები არ არსებობს. მისი თქმით, მთავარია, სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყოს კონსტიტუციის უზენაესობის აღდგენით.

# გაზეთ "ილორის" რედაქციას

***ბატონო მთავარო რედაქტორო!***

დიდი ხანია ვკითხულობ ცნობილი ქართვე;ლი პოლიტიკოსის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პუბლიკაციებს, რომლებსაც წითელ ხაზად გასდევს დღევანდელობის და მერმისის მკაფიოდ განჭვრეტის უნარი და ჭეშმარიტად უზადო პროგნოზირება. მე, როგორც რიგითი ქართველი და, უპირველესად – კოლხი, ხანდახან შოკურ მდგომარეობაშიც კი ვვარდები იმ სწორი და ნათელმხილველის დახვეწილი პროგნოზებით, რომელთაც ვეცნობი და რომელთა უმრავლესობა სრულიად მართლდება.

პირადად მე არცერთი პარტიის შენადგენლობაში არ ვიმყოფები, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ ღრმად ჩავწვდე იმ საკითხებს, რომლებიც ჩემი სამშობლოს ყოფნა-არყოფნას ეხება. სწორედ ამის თაობაზე მინდა მოვახსენო გაზეთის მკითხველებს ჩემი მოსაზრება. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ავტორიტეტშელახულ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში თავიდან დიდი ეიფორია გამოიწვია, მაგრამ შემდეგ დადებითი მუხტი თანდათან განელდა, მისი პოლიტიკური გარემოცვის გამო. სწორედ ეს, და სხვა გარემოებები ჰქონდა ბატონ ალექსანდრეს მხედველობაში, როცა **"ქართული ოცნების"** ხელმძღვანელებს ურჩია შეექმნათ სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე ორიენტირებული სამოქმედო პროგრამა. ბატონ ალექსანდრეს, რომელმაც შექმნა უნიკალური დოკუმენტი **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა",** აქვს ამგვარი რჩევის მიცემის მორალური უფლება. მათაც მიიღეს მხედველობაში ეს რჩევა და, უეჭველია, სწორედ ამის მიზეზით კვლავ ამაღლდა **"ქართული ოცნების"** პოლიტიკური რეიტინგი. აი, ხელისუფლებასაც რომ გაეთვალისწინებინა ბატონი ალექსანდრეს ამ ნაშრომის პოლიტიკური და ეკონომიკური ორიენტირები, ხალხიც კარგად იცხოვრებდა და ხელისუფლებასაც მაღალი ავტორიტეტი ექნებოდა, მაგრამ, ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ამ არაქართულ ხელისუფლებას დიდად არ აწუხებს ქართველი ხალხის ბედი და ამიტომაც ამოსდეს მაუდის ქვეშ ბატონი ალექსანდრეს მიერ შექმნილი ეს უნიკალური პროგრამა.

ასევე ყურადსაღებია ბატონი ალექსანდრეს მოწოდება რუსეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების აღდგენის თაობაზე, რადგან სხვა შემთხვევაში შეიძლება კვლავაც გაგრძელდეს საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების პროცესი. მხედველობაშია მისაღები თუნდაც ის გარემოება, რომ რუსეთის მიერ ჩვენსკენ ზურგით დგომის გამო აჭარას უკვე თანდათან იპყრობენ თურქები და რამდენიმე წელიწადში მათი იქიდან გაძევება ძალზე ძნელი საქმე გახდება. ნუთუ ეჭვი ეპარება ვინმეს იმაში, რომ რუსეთის კეთილი ნების გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არასოდეს არ აღსდგება! არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სომეხი სააკაშვილის ხელისუფლებას სრულიადაც არ აძლევდეს ხელს აფხაზეთის საკითხის დარეგულირება, რასაც დევნილების დაბრუნება მოჰყვება საკუთარ სახლებში, სადაც ამჟამად იქ ჩათესილი სომხები ცხოვრობენ. ქართველების დაბრუნების შემთხვევაში იმ სომხებს ხომ პრობლემები შეექმნებათ?!. გასათვალისწინებელია ბატონი ალექსანდრეს რჩევები **ნატო-**ს საკითხებში, რომლის შემადგენლობაში საქართველოს შესვლას შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს ჩვენთვის.

ამიტომ იწვევს ჩვენს გაოცებას ის ამბავი, რომ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, ეს გამჭრიახი პოლიტიკოსი და თავად აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს დიდი პატრიოტი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეს ხომ დიდი დანაკლისია საქართველოსათვის!

თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ვთხოვო ბატონ ალექსანდრეს, ახალი ძალა შესძინოს სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს",** ან შექმნას ახალი პოლიტიკური პარტია, რომელიც თავის ომახიან სიტყვას იტყვის ქართულ პოლიტიკაში.

ღრმა პატივისცემით,

**როზმირ გოგენია,**
**გადამდგარი ოფიცერი**

# კუჭით დანახული ლელთ ღუნია

## (ქრისტე და უმადური ამირანი)

ბატონი ელიზბარ ჯაველიძე თავის წიგნში "**ავაჰმე, ჩემო მამულო!...**" ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ **"ობიექტურად"** მოაზროვნეთა მთავარი სამიზნეები ასეთია:

**"პირველი – ეროვნული, ქართული ხასიათის უარყოფითი შტრიხებით წარმოჩენა...**

**მეორე – ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, ეროვნული იდეის გაბიაბრუება...**

**მესამე – დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს თავისთავად, დამოუკიდებლად არსებობის შეუძლებლობის დამტკიცება...**" და სხვა.

**"ობიექტურად" მოაზროვნეთაგან ერთ-ერთი ბატონი ზურაბ ცუცქირიძე, თავის წერილში "უმადურობა"** დასახელებულ სამ სამიზნეს თავგანწირვით უტევს (გაზეთი **"საქართველოს რესპუბლიკა"** №116, 20.VI.2012).

ბატონი ზურაბი გვიმტკიცებს იმას, რომ ქართველი ერი უმადურია და ამიტომ ვისჯებით! ვიდრე უმადურობას არ მოვიინანიებთ, ღმერთი არ შეგვიწყალებს!

ასეთია ამ წერილის პათოსი.

ქართველი ერი უმადური რომ არის და საუკუნო სატანჯველისათვის განწირული, ამის დასაბუთებისათვის თურმე **"ამირანის მითის გახსენებაც კმარა საამისოდ".**

მითის მიხედვით,– წერს ბატონი ზურაბი, – **"ქრისტე ღმერთი ამირანის ნათლია იყო და მან თავის ნათლულს საოცარი ძალა და ენერგია დაანათლა. ამირანმა ყველა დაამარცხა, დედამიწაზე მეტოქე აღარავინ ჰყავდა და ბოლოს ნათლია ღმერთს აუხირდა – გინდა თუ არა, უნდა მეჭიდავოო...**"

ღმერთმა უმადური და გათავხედებული ამირანი **"კავკასიის ქედის ერთ სალ კლდეზე მიაბა და საუკუნო სატანჯველში ჩააგდო". "ასე დასაჯა უმადურობა და მასზე დამყნილი სიბრიყვე".**

ამ მითით ბატონი ზურაბ ცუცქირიძე გვამცნობს, რომ უმადური და ბრიყვი ქართველები ამირანივით საუკუნო სატანჯველისათვის ვართ განწირულნი!

ბატონ ზურაბს ალბათ მხედველობაში აქვს ფაბლიო-ნოველა ამირანზე, რომელიც **მითთან შედარებით ძალიან გვიან შეიქმნა.** მართლაც, ამ ფაბლიო – ნოველაში ქრისტე ამირანის ნათლიაა, მაგრამ სამწუხაროდ მასში უძველესი მითოსის, პრომეთე-ამირანის მითის სიბრძნის და ტრაგიზმის ნასახიც აღარ დარჩა. ამის თქმის უფლებას მაძლევს ამავე პერიოდში შექმნილი ფაბლიო-ნოველა **"ქრისტე და ღმერთი".**

ქრისტე (ღმერთო მაპატიე) უარყოფითად არის დახასიათებული. ღმერთის დავალებით ქრისტე დედამიწაზე დაეშვა და მეცხვარეს შეხვდა. ჰკითხა წვიმის და ქარიშხლის არ გეშინიაო? მეცხვარემ უპასუხა **"ამ მთვარეზე წვიმა არ მოვაო".** ქრისტემ დახმარება ღმერთს სთხოვა და მანაც ქარიშხალი და წვიმა მოიყვანა. ჭკვიანმა მეცხვარემ დროზე შეიტყო ამინდის ცვლილება. ცხვარი სხვა ადგილზე გადარეკა და გადაარჩინა. მეორე დღეს ქრისტე კვლავ შეხვდა მეცხვარეს. მეცხვარე ქრისტეს ჯაშუშს უწოდებს (ალ. ღლონტი **"ქართული ხალხური ნოველა"** თბ, 1966. გვ 118).

როგორც ვხედავთ გვიან შექმნილი ფაბლიო-ნოველები ქრისტეს უარყოფითად ახასიათებენ და გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს თუ ამირანს უმადურობას დასწამებენ.

ნებისმიერი ცივილიზებული ერი ამირანის მითით იამაყებს, მაგრამ ზოგიერთ ქართველის ხელში ეს მითი ცილისწამებისათვის, მოგონილი უარყოფითი თვისებების წარმოსაჩენად გამოიყენება. მაგალითად, ემზარ ჯგერენაიას აზრით **"კავკასიაზე მიჯაჭვული პრომეთე – ამირანის კონცეფციაა... ყოველ ჩვენგანს სოციალური და გნებავთ, მორალური პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს".** ბატონი ზურაბი ამ მითს კი იმისათვის იყენებს რათა გვიჩვენოს, რომ ქართველთა ეთნო-ნაციონალური თვისების **უმადურობის** გამო ღმერთი ამირანივით გვსჯის.

რატომ ვართ უმადურები? ნუთუ იმის გამო, რომ ქართველმა ერმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღადგინა?

**დიახ, სწორედ ამისათვის!** – გვიპასუხებს ბატონი ზურაბ ცუცქირიძე.

### სულსწრაფი ქართველები

ბატონი ზურაბი ღმერთებს და მითოსის გმირებს თავს ანებებს და ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანის შესახებ წერს: **"ერთმა უმადურმა და ბრიყვმა კაცმაც კი შეიძლება უსიამოვნება მოუტანოს საზოგადოებას და თუ ბევრი გაბრიყვდა, მტრისას".**

გამოჩნდა კაცი და მისმა **"უმადურობამ და სიბრიყვემ დაგვრია ხელი ქართველობას და ვისჯებით განგებისაგან".**

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნამ, რომელიც **"აგორდა 80-იანი წლების საქართველოში ხალხის მასები ისე აიყოლია და გაიტაცა, მოვარდნილი ნიაღვარი რომ გაიტაცებს ხოლმე ფოთლებსა და ჩალაბულას".**

აფერუმ, ქართველო!

ზურაბ ცუცქირიძის ღრმა რწმენით დამოუკიდებლობის მოთხოვნის **მამოძრავებელი ძალა "მუქთა სმა-ჭამა" ყოფილა, რომელსაც ხალხს შეპირდნენ. "ხალხის გაბრიყვებას კი ბევრი არაფერი უნდა: დაჰპირდები მუქთა სმა-ჭამას და იმწამსვე გადაეკეტება აზროვნების უნარი. აბა, სხვა რა იყო 80-იან წლებში ჩვენი ხალხის უკიდურესი აღტკინების მიზეზი".**

შენი მუცლის ხეთქვამ!

თავის წერილში ბატონი ზურაბი იყენებს ენერგიულ გამოთქმას **"თქვენი თავის ხეთქვამ!"** ისე მომეწონა, ერთი სიტყვა შევცვალე. პლაგიატობას ნუ დამაბრალებთ.

**"ქართველი ბუნებით სულსწრაფია... ამისთანა "კეთილდღეობის პერსპექტივას" რომ დაანახვებთ, არიქა, ჩქარა მოვიპოვოთ დამოუკიდებლობაო, იხუვლეს და "დამპყრობელი" და "კოლონიზატორი" რუსეთის ძირფესვიანად ამოთხრა მოინდომეს ქართველთა შეგნებიდან" – გვმოძღვრავს ბატონი ზურაბი და ვერ ხვდება, რომ მთელ ქართველ ერს შეურაცხყოფას აყენებს.**

**თურმე "მუქთა ჭამა-სმისთვის" დაღუპულან 9 აპრილის გმირები! თურმე "მუქთა ჭამა-სმამ" გადაუკეტა აზროვნების უნარი ქართველ ერს და რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა!**

მე, გალელი კაცი, მონაწილე ვარ 80-იან წლებში აგორებული ეროვნული მოძრაობის. არსად არავისგან არ მსმენია **"მუქთა სმა-ჭამის"** შესახებ. ეს ბატონი ზურაბის გამრუდებული ფანტაზიის ნაყოფია.

ქართველებს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებს, სურდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება.

**"უმადურმა"** ქართველებმა და მოკავშირე რესპუბლიკების **"უმადურმა"** ხალხებმა მიზანს მიაღწიეს – მოიპოვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ქართველთა შეგნებიდან არავინ ცდილობდა რუსეთის ძირფესვიანად ამოთხრას. ჩვენი პირველი პრეზიდენტი ბატონი ზვიადი უდიდეს პატივს სცემდა და აფასებდა რუს ხალხს და რუსულ კულტურას...

რუსეთს მტრის ხატად გვიხატავენ სწორედ ის პუტჩისტები, რომლებმაც დაამხეს ეროვნული ხელისუფლება და დღეს დიდი პოსტები უკავიათ.

ვინა ხართ თქვენ, ბატონო ცუცქირიძევ?

სკოლაში ილია ჭავჭავაძის **"მგზავრის წერილები"** არ გისწავლია? ნუთუ არა გსმენია მოხევე ლელთ ღუნიას გულიდან ამოსული სიტყვები: **"ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენვე გვეყუდნეს, მით იტყვის უკედ".**

რამ ჩაკლა თქვენში თავისუფლებისმოყვარეობის ღვთიური ნიჭი? რამ გადაგაქციათ კუჭით მოაზროვნედ?

რატომ აბიაბრუებთ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას?

რატომ ფიქრობთ, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა ქართველი ერის უმადურობაა და ამ უმადურობისთვის ღმერთი გვსჯის?

ზურაბ ცუცქირიძე ჩამოთვლის იმ სიკეთეს რაც რუსეთმა საქართველოს, ქართველ ერს მოუტანა. ეს საკამათო არ არის. **ქართველი ერი ამ სიკეთეს ხედავდა და რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებისათვის სისხლსა ღვრიდა რუსებთან ერთად თურქეთთან ომში, ნაპოლეონის წინააღმდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში, პირველ და მეორე მსოფლიო ომებში...** სად არის აქ ქართველი ერის უმადურობა?

**"უმადურობამ საყოველთაო ქართული ცნობიერება მოიცვა ე.წ. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში"** – წერს ბატონი ცუცქირიძე.

მაშ, ეროვნული მოძრაობა **"ე.წ."** ყოფილა?!

მარტო ეს ფრაზა საკმარისია იმისათვის რათა ეჭვი შეგეპაროს **"უმადურობის"** ავტორის გაუკუღმართებულ ცნობიერებაზე.

**ვახტანგ ჯეჯელია,**
**გალი, აფხაზეთი**

# „დაუკარით, უპატარძლო ქორწილია!.."

ჩემი ძვირფასი მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ ამ წერილში არავითარ რეალურ ქორწილზე არ ვაპირებ საუბარს, მაგრამ **"პატარძალი"** მაინც გვაკლია ყბადაღებული, ჯერ არ არსებული ქალაქ **"ლაზიკის"** სახით. მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ჩემს თანამოქალაქეებთან ერთად, რომლებიც, ჩემის ჩათვლით, არ მიეკუთვნებიან არც-ერთ პოლიტიკურ პარტიას, დიდი გულისყურით ვადევნებთ თვალს ბეჭდური პრესისა და ტელეარხების საშუალებით ამ **"ქალაქის"** გარშემო შექმნილ ბაკქანალიას და მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მართლაც ილუზიებით შეპყრობილი და ჭკუაზე ცოტა მწყრალად მყოფი პიროვნება თუ პირთა ჯგუფი ჰყავს ჩვენს პატარა სამშობლოს და იძულებული ვართ ეს მოურჩენელ დაავადებად ქცეული ავანტურისტები ვიგუოთ. ამ ბოლო დროს, როგორც ყველასათვის ცნობილია, საქართველოს რეგიონებში აქტიურად მიმდინარეობს ამ ქალაქის მშენებლობის საკითხის განხილვა და დიდი აჟიოტაჟით შუქდება მასმედიის ყველა შესაძლო საშუალებით. ამჯერად თქვენი ყურადღება შევაჩერო ზუგდიდში შემდგარ განხილვაზე, სადაც უპირატეს უმრავლესობას შეადგენდა შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობა და მიუხედავად იმისა, რომ იგრძნობოდა წინასწარ გავლილი რეპეტიცია, მათმა მსჯელობამ აღნიშნულ საკითხზე კიდევ უფრო გააბუნდოვანა ეს ისედაც ბუნდოვანი საკითხი. ღონისძიების მონაწილეთა აშკარა სურვილი იყო ცისარტყელას ფერებში გადმოეცათ ამ პროექტის აუცილებლობა, რაც მათ აშკარად არ გამოუვიდათ. არცერთ მათგანს არ უსაუბრია ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიცაა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ეკონომიკური სიდუხჭირე, იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება, უსაშველოდ გაბერილი და ყოველდღიურად მზარდი კომუნალური და სხვა სახის გადასახადები, საწვავისა და სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების სიძვირე და ა.შ. მათ შემეცნებაში დაჟანგული ლურსმანივითაა ჩაჭედილი ის მითი, რომ თუ **"ლაზიკა"** აშენდება, ყველა პრობლემა უსწრაფესად მოგვარდება, შეიქმნება მსოფლიოს **"მერვე საოცრება"...**

მართლაც **"ნეტარ არიან მორწმუნენი..."**

ახალი ქალაქის **"ლაზიკის"** ასაშენებლად, რასაც უეჭველია ასეულობით მილიონი დასჭირდება, ჯერჯერობით არც პროექტია შედგენილი და არც ხარჯთაღრიცხვა, არ არსებობს ექსპერტთა, ეკოლოგთა შესაბამისი დასკვნები, მაშ რა საჭიროა ასეთი დაჩქარებული ტემპით ჩვენს მრავალჭირგამოვლილ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა? ხომ იტყვის მავანი: **"ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქნევდნენო!"** ან იქნებ სჯობდა შეგვექმნა რამდენიმე სათადარიგო კონსტიტუცია, რომლებსაც საჭიროების მიხედვით მოვარგებდით ამა თუ იმ სიტუაციას?

კაცი ბრიყვი უნდა იყოს, რომ არ უხაროდეს ახალი ქალაქების თუ სოფლების, გზების, პორტების, ელექტროსადგურებისა თუ სხვა კომუნიკაციათა მშენებლობა, მაგრამ ისეთი ბრიყვიც არ უნდა იყოს, რომ არ გაითვალისწინოს მოსალოდნელი შედეგები.

მაინც, ვინ უნდა ჩავასახლოთ ამ ნახევარმილიონიან ქალაქში?

თუ უცხოელი ინვესტორები გაბრიყვდებიან და მოინდომებენ ამ **"საოცნებო"** ქალაქის აშენებას, ეს ქალაქი, მთლიანად თუ არა, ნახევარზე ბევრად მეტად მაინც უცხოეთიდან ჩამოყვანილი ხალხით შეივსება(კვალიფიციური მუშახელი, მომსახურე პერსონალი და ა.შ.), ადგილობრივები კი იქ დასაქმდებიან მხოლოდ ტექნიკურ პერსონალად, ასენიზატორებად, მენაგვეებად...

რაც არ უნდა **"მეგობრებად"** მოჰქონდეთ თავი მავანთ, ისინი მაინც საკუთარი ჯიბის ერთგულებად დარჩებიან, და მათ მიერ ჩამოყვანილი იაფი მუშახელი იმდენად გამრავლდება, რომ კოლხი მოსახლეობა გადაშენების პრობლემის წინ დადგება. ხელისუფლება ამტკიცებს – ჩვენს თანამემამულეებს ჩავასახლებთო, რომლებიც უცხოეთში არიან გადახვეწილები ლუკმა-პურის საძებრად, მაგრამ ეს სრული ნონსენსია, რამეთუ მათ უკან დგანან სარჩენი ოჯახები და ისინი ასე ხელაღებით ვერ დაბრუნდებიან და ხელისუფლების მიერ **"დასაქმებამდე"** შემოსავლის გარეშე ვერ დარჩებიან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოლხეთის დაბლობი, სადაც **"ლაზიკის"** მშენებლობა იგეგმება, წარმოადგენს ერთგვარ ბუნებრივ ნაკრძალს, რომლის ტყეებში ბუდობდა და ბუდობს უმშვენიერესი კოლხური ხოხობი, ჭურიის ბუნებრივ წყალსაცავში დაცურავს სხვადასხვა უნიკალური ჯიშის თევზი, ძვირფასბეწვიანი ნუტრია, რომ არაფერი ვთქვათ უამრავ გადამფრენ ფრინველთა ნაირფეროვნებაზე. ამდენად, ხომ არ აჯობებდა, რომ გაგვეკეთილშობილებინა, გაგვეფართოვებინა ეს ნაკრძალი, გაგვემრავლებინა სხვადასხვა სახის ფრინველი, რაც უდავოდ მოიზიდავდა უამრავ ტურისტს, რომელიც დღედაღამ ესიზმრება ჩვენს ხელისუფლებას. ამის მაგლითები უამრავია: ავიღოთ თუნდაც ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, აფრიკის სახელმწიფოები, ავსტრალიის კონტინენტი და ა.შ. ის, რაც ბუნებამ გვიწყალობა, მისი ხელყოფა არ ეგების...

იბადება ასეთი შეკითხვაც: ხომ არ ჯობდა, რომ **"ლაზიკის"** აშენების ნაცვლად გაგვეფართოვებინა წარმოება, აგვეშენებინა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები ზუგდიდში, დავუბრუნოთ მას ქალაქის სტატუსი, უფრო განგვევითარებინა ქალაქი ფოთი...

საზრუნავი და გასაკეთებელი ხომ მართლაც ძალიან ბევრია!

არა მგონია **"ლაზიკა"** ხელსაყრელი იყოს საქართველოსა და ქართველებისათვის, მით უმეტეს, რომ მას კონსტიუტუციურად განსაზღვრული ექნება განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსი. მით უმეტეს, დასაფიქრებელია, რომ სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილი **"ლაზიკაში"** გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პანაცეას ხედავს.

მოკლედ, საქართველოში **"ათას ერთი ღამის ზღაპარი"** გრძელდება!

სწორედ ამაზე იტყვიან: **"დაუკარით, უპატარძლო ქორწილია"!**

**როზმირ გოგენია,**
**ზუგდიდი**

# ჩრდილოეთ კავკასიის სტრატეგია — „ცეცხლთან თამაში"?

ამას წინათ საქართველოს პარლამენტმა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობების შესახებ საქართველოს სტრატეგია მიიღო, რომელიც იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს, რომელთა მეშვეობითაც თბილისი რეგიონთან ურთიერთობების გაღრმავებას გეგმავს, დაწყებული ვაჭრობისა და ეკონომიკის საკითხებით და დამთავრებული ხალხთა შორის კონტაქტებით, განათლებით, ჯანდაცვითა და ადამიანის უფლებებით.

მმართველი პარტიის დეპუტატებმა განაცხადეს, რომ სტრატეგიის მიზანია თბილისის მიერ **„რბილი ძალის"** მიდგომისა და პოლიტიკის გამყარება. ამგვარი მიდგომა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2010 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გააჟღერა, როდესაც მან **„გაერთიანებული კავკასიისკენ" მოუწოდა.**

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობების გაღრმავების საჭიროებაზეა საუბარი 2011 წლისდეკემბერში მიღებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის იმ მონაკვეთშიც, სადაც რუსეთთან ურთიერთობებია განხილული.

სტრატეგიაში ცალკე არის გამოყოფილი თავი სახელწოდებით **„ისტორიული სიმართლის დადგენის ხელშეწყობა",** რომელშიც ნათქვამია, რომ **"რუსეთის იმპერიის"** და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში კავკასიელი ხალხები არაერთხელ ხდებოდნენ ეთნიკური წმენდების, დეპორტაციებისა და გენოციდის მსხვერპლი, რაც უნდა გახდეს ისტორიული და იურიდიული კვლევის საგანი და მიეცეს მკაფიო და მყარად დასაბუთებული ისტორიული შეფასება.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საქართველო მხარს დაუჭერს ასეთი ფაქტების დეტალურ შესწავლას, მათ შორის, ამ დანაშაულების შესახებ არსებული ინფორმაციებისა და აღმოჩენილი ფაქტების საერთაშორისო საზოგადოებისათვის დაწვრილებითი გაცნობის გზით.

დიასპორისა და კავკასიის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, რომ სტრატეგია, ძირითადად, გულისხმობს ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხებისთვის დახმარებას სამეცნიერო და კვლევით საკითხებში.

გასულ წელს საქართველო გახდა პირველი და ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც რუსეთის იმპერიაში მე-19 საუკუნეში ჩერქეზი ხალხის მასობრივი დეპორტაცია და მკვლელობები **„გენოციდად"** აღიარა. მაისში ამ მოვლენების მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ანაკლიაში მემორიალი დაიდგა.

სტრატეგიაში, ასევე, ნათქვამია, რომ საქართველო მზადაა, დაეხმაროს ჩრდილოკავკასიელ ხალხებს საკუთარი უფლებების დაცვაში მათი რეალური მდგომარეობის შესახებ მსოფლიო საზოგადოების ინფორმირების გზით.

წიკლაურის თქმით, სტრატეგიას საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობა სრულიად ახალ ეტაპზე გადაჰყავს და თბილისის პოლიტიკას უფრო გამჭვირვალეს და პროგნოზირებადს ხდის.

კიდევ ერთმა დეპუტატმა მმართველი პარტიიდან აკაკი მინაშვილმა განაცხადა, რომ სტრატეგია არის ხორცშესხმა იმ იდეის, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააჟღერა გაეროს გენერალურ ასამბლეაში, როდესაც ის გაერთიანებულ კავკასიაზე საუბრობდა.

**„საქართველო ბუნებრივად ჩამოყალიბდა, როგორც რეგიონის ლიდერი და ის ლიდერია არა იმიტომ, რომ მას გააჩნია შეიარაღებული ძალები... არამედ იმიტომ, რომ მან გაატარა რეფორმები და მიდის ძალიან მტკიცედ განვითარების გზაზე; საქართველომ შეიძინა ე.წ. soft power, ანუ „რბილი ძალა" და გახდა მიმზიდველი სხვებისთვის",** – განაცხადა მან.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კანდელაკმა განაცხადა, რომ ეს სტრატეგია კარგი კონტრარგუმენტია იმ ოპონენტებისთვის, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში გადადგმულ ნაბიჯებს აკრიტიკებდნენ, მათ შორის, უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილებას.

**„ძალიან ძნელია იმის თქმა, რომ საქართველოს მიმზიდველობის წახალისება, როგორც განათლების მიღების ადგილი, არის ცეცხლთან თამაში,** – განაცხადა კანდელაკმა. – **ეს პოლიტიკა ძალიან დადებით გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენს ევროპელ პარტნიორებში, რომლებიც თავიდან ცოტა ეჭვის თვალით უყურებდნენ ხოლმე ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს ინიციატივებს ამ რეგიონთან მიმართებაში და ისინი, ასევე, მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო ცეცხლთან თამაში".**

საქინფორმი

*გაზეთ "ილორის" რედაქციისაგან – მოკლედ, რომ ამბობენ: "ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო" – სწორედ ასეა ჩვენი სააკაშვილისა და მისი ფანატიკურად მხარდამჭერი ნაციონალების საქმე. ამ დალოცვილებს, თითქოს საკუთარ ოჯახში ჰქონდეთ ყველაფერი დალაგებული, ახლა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში არსებული პრობლემების "გადაჭრით" არიან დაკავებულები.*

*არც ის გახლავთ სიმართლე, რომ თითქოს საქართველო კავკასიის ლიდერი ქვეყანაა. ადრე, XIX-XX საუკუნეებში, შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ნაციონალთა დიქტატის შემდეგ საქართველო არამც თუ კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში გადაიქცა მაჩანჩალა ქვეყანად და მის ყოველ ამგვარ ინიციატივას საერთაშორისო ორგანიზაციები საკმაო ირონიითა და სარკაზმით ხვდებიან.*

*უკვე ლამის მეოცე წელი გაილია-შევარდნაძის ბანდების მიერ წინიცირებული აფხაზეთის ავადსახსენებელი, ძმათამკვლელი ომის დაწყებიდან, მაგრამ ქვეყნის გამთლიანების შეპირებით მოსულ საქართველოს სომეხ ხელისუფალთ საერთო ენა ვერ გამოუნახავთ აფხაზეთთან და ოსეთთან, და ეს დალოცვილები ჩრდილოეთ კავკასიაში რატომ გარბიან "პრობლემების მოსაგვარებლად", ნამდვილად გაუგებარია. როგორც ჩანს, იქაც მოიძებნებიან მათნაირი ტვინმოგრეხილები და ამიტომაც წკავწკავებენ კრილოვის ცნობილი იგავის იმ ფინიას მონდომებით, რომელიც სპილოს ყეფით "უჩმახებდა" თუმცა, სპილოს ეს დიდად არ ადარდებდა. მაგრამ, ვაი, თუ, ეს სპილო ერთხელაც დასასვენებლად წამოწვა და ფინია ქვეშ მოიყოლა.*

*ერთხელ უკვე შეექმნათ სააკაშვილს და მის ავანტიურისტებს ამგვარი საფრთხე – 2008 წლის აგვისტოში, მაგრამ მაშინ იოლად გადარჩნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს!*

*მგონი, საქართველოს არაქართველი ნაციონალები, თუ ჭკუით არ იქნებიან, სწორედ ამგვარ პერსპექტივას გამოჰკრავენ ხელს.*

# ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, NDI ›ის წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პოლიტმოწინააღმდეგეებისგან მტრის ხატის შექმნა ჩვეულ მოვლენად იქცა.

**"სიძულვილის ენა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ ჯერ კიდევ გვხვდება საარჩევნო კამპანიის დროს. ინფორმაცია პოლიტიკურად მოტივირებული ზეწოლისა და კამპანიის თანხების არასწორი ხარჯვის შესახებ, ასევე ბრალდებები საჯარო მოხელეების მოქრთამვის მცდელობისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ გრძელდება. დელეგაციის ვიზიტისას გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში განსხვავებული შეხედულებების მქონე ჯგუფებს შორის ძალადობრივი ინციდენტი მოხდა, რასაც უნდა მოჰყვეს საფუძვლიანი და მიუკერძოებელი გამოძიება და დამნაშავეები კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯონ",** – ნათქვამია **NDI**-ის წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშში.

**"პარტიებმა აქტივისტებს უნდა გააცნონ რეგულაციები, რომელიც ზემოაღნიშნულ ქმედებებს კრძალავს. პარტიებმა საარჩევნო კამპანიის ყველა მონაწილისთვის უნდა შეიმუშაონ, გამოაქვეყნონ და დაიცვან პარტიის ქცევის კოდექსი. კამპანიის ყველა მონაწილე პასუხს აგებს საკუთარ ქმედებებზე და ვალდებულია ნებისმიერი დარღვევის დოკუმენტირება მოახდინოს. პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა უნდა დაგმონ საკუთარი მომხრეების მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები და მათ ინციდენტების გამოძიების მიზნით თანამშრომლობისკენ მოუწოდონ. პარტიებმა ამომრჩევლებს საკითხებზე ორიენტირებული კამპანია უნდა შესთავაზონ და ხშირად მიიღონ მონაწილეობა კანდიდატთა შორის დებატებში. საარჩევნო კამპანიის დროს დაპირისპირებისას პოლიტიკურმა ლიდერებმა და კანდიდატებმა ამორჩევლებს მკაფიოდ უნდა განუმარტონ ამ დაპირებების შესრულების ფინანსური წყაროები",** – ნათქვამია ანგარიშში.

**NDI**-ის წინასაარჩევნო დელეგაციის წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტს **Must carry**-ს პრინციპის ვადების გახანგრძლივების რეკომენდაციით მიმართავს. ანგარიშში ნათქვამია, რომ **Must carry**-ის გაგრძელება არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე მაინც უნდა უზრუნველყოს. დელეგაცია აღნიშნული საკითხის განხილვის შესახებ ხელსუფლებას რეკომენდაციით მიმართავს.

ანგარიშში **NDI** საქართველოს კონტროლის პალატას სამართლიანი პროცედურების გატარებისა და მიუკერძოებელი გამოძიებისკენ მოუწოდებს.

დღევანდელ პრესკონფერენციაზე **NDI**-ის სადამკვირვებლო მისიის დელეგაციის წევრმა, პერ ეკლუნდმა საპარლამენტო არჩევნებისთვის საზოგადოების ნდობის გაზრდის მიზნით, ხელისუფლებას არჩევნების სამართლიანად ჩატარებისკენ მოუწოდა.

მისი განცახდებით, მთავრობამ და პარლამენტმა უნდა უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ პოლიტიკური სუბიექტების თანაბარ პირობებში ჩაყენებას და საარჩევნო კანონმდებლობის თანაბარ გამოყენებას.

– **"კანონის აღმსრულებლებმა, პროკურორებმა და სასამართლოებმა, ისევე როგორც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ზედმიწევნით უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, პასუხი აგებინონ საარჩევნო კანონმდებლობით ამომრჩევლის და კანდიდატების უფლებების დამრღვევ პირებს, არჩევნებში მონაწილეებმა პატივი უნდა სცენ კანონს და სადავო საკითხები გაასაჩივრონ სასამართლოებში",** – განაცხადა პერ ეკლუნდმა.

# მერაბ კოსტავას პოეზია

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მერაბ კოსტავა უპირველესი და უდიდესი შემფასებელი გახლდათ ზვიად გამსახურდიას პიროვნებისა. თავის განუმეორებელ მეგობარს ისეთ რანგში გვიხატავს, რომლის მიახლება ტაძრებსაც კი იერს უცვლის. თავის ოდაში ღვთისგან ცხებულ გრაალის მცველად იხსენიებს. ეს კი მოგეხსენებათ ხელდასხმულთა ხვედრია ოდენ!

აი, როგორ მიმართავს მერაბი თავის სულიერ ძმას:

**„თვით ზეციერმა შეგარტყა ძალი,**
**გიპყრა მახვილი, რვალთა მლეწავი**
**და აგიტაცა როგორც ბოძალი,**
**დუშმანის ძვლებში დასახვეწარი“.**

ძალზე ლამაზი პოეტური ოსტატობით გვიხატავს იგი ზვიად გამსახურდიას, როგორც ერის ლიდერს.

**„ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე,**
**აზრთა განწყობას უცვალე ფერი,**
**ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,**
**ახალ ხარისხზე ასწიე ერი“.**

ასეთივე უმშვენიერესი შედარებებით გადმოგვცემს მერაბ კოსტავა მეგობრის პიროვნულ ღირსებებს, თანაც მისტიურ საბურველში გვხვევს და უხილავის დანახვის სურვილით აღგვავსებს:

**„დაუცხრომელო სულიერ ცდაში,**
**დაუსაბამო სიტყვის მხმობელო,**
**უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში**
**დემონთა ხროვის დამამხობელო“.**

ეს ქვემოთ მოყვანილი სტროფი კი ბედისწერის თუ წინასწარმეტყველის ნათქვამს ჩამოჰგავს თითქოს:

**„ხომ ხედავ როგორ გართულდა ომი,**
**ვაჰ, თუ ძალები შემომელია,**
**თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,**
**ავთანდილობა ერთობ ძნელია“.**

ერთგული თანამებრძოლი გულისტკივილით ამცნობს მეგობარს, რომ:

**„კვლავაც ზვაობენ მტერთა დასტანი,**
**უტიფრობს შხამი მათგან ნთხეული“.**

და ამის გამცნობიერებელი დიდად გაოცებული მიმართავს ქრისტესმიერ ძმას, ზვიადს:

**„ერთი ამბავი ვერ გამიგია:**
**სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე**
**როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,**
**მოყვასისაგან რად განისაჯე**
**ღირსო უკვდავთა დიადემისა“.**

და კიდევ:

**„ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს**
**ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა,**
**და როს აღგივსეს ძმარით ფიალა**
**არ აიცდინე სასმელი ესე.**
**რადგან იცოდი, როგორ მავნებლობს**
**როცა მაცდური გიდგას საჭესთან.**
**რომ სიამაყე, აქ რომ მბრძანებლობს,**
**მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან“.**

უბადლო თავმაბლობის ნიმუში გახლდათ თავად მერაბ ბატონი და ასეთივედ აღიქვამდა თავის ძმადნაფიცს. ავის მჩხრეკელთა გასაგონად კი ხმამაღლა გვინდა განვაცხადოთ, არა მგონია, მოკვდავთა შორის, რომელიმე უფრო კარგად იცნობდა ზვიად გამსახურდიას და უფრო ობიექტური იყო მის შეფასებაში, ვიდრე საქართველოს სინდისი – მერაბ კოსტავა.

მათი მეგობრობის ამბავი ძალზედ ვრცელი თემაა და, რაღა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება, ჩვენ მხოლოდ ვცადეთ ერთი ლექსის ფონზე მცირეოდენი მასშტაბით წარმოგვეჩინა.

თითქოსდა ჩვენი ქვეყნის მოძალადე მმართველი უკივის ხმა მერაბისა, შეიგნეთო:

**„ძმის აღსარება რომელმან გასთქვა,**
**ვინც ვერ დაიცხრო ღელვა გულისა,**
**ზიარებამდე ვინაც ვერ წარსთქვა**
**საგალობელი სინანულისა“.**

რომ ამგვარ ადამიანებს **„ზეცაში არ აქვთ თავშესაფარი“.**

და ეს ხმა პოეტისა სამარადისო შეძახილი იქნება მოყვასისადმი, არა მარტო კონკრეტულად მისი მეგობრის გამო, არამედ ზოგადად მათ მიმართ, რომელნიც სინანულის საგალობელს ზიარებამდე ვერ იტყვიან.

ციხეში, მერაბთან სხვადასხვა ბრალდებით იხდიდნენ სასჯელს პატიმრები. აქედან გამომდინარე, იგი ბევრი რამის მხილველი და მოწმე გახდა. უდიდესი ჰუმანიზმით ეკიდებოდა თითოეული ადამიანის უფლებებს, მათ ბედს და ციხიდან გამოსვლის შემდგომაც მან ეს არაერთგზის დაამტკიცა თავისი საქმეებით. მათი განხილვა ცალკე მსჯელობის საგანია და ამჯერად მას არ შევუდგებით. ციხეში განცდილის შესახებ კი ერთი ლექსიდან კიდევ შემოგთავაზებთ ნაწყვეტს. ლექსი ეძღვნება სიკვდილმისჯილს. ამ ლექსით აღმატებულ ხარისხში გვევლინება ქრისტიანი პოეტი.

**„თავი ჭაღარით გადიღება,**
**საკანის ბედკრულო მეინახევ,**
**შენს სასჯელს თავზე ავიღებდი**
**ოღონდ ამ ტანჯვაში არ მენახე“.**

მერაბ კოსტავას პოეზია გასხივოსნებულია დიდი ერუდიციით. უფალი როს გიძღვნის მუზას და პოეზიის მადლს გაზიარებს, თუ მას დიდი ინტელექტი და ერუდიცია არ ახლავს, შესაძლებელია თითოოროლა შედევრიც შეჰქმნა, თორემ უმეტეს უფერული ლექსები გამოდის. სულ სხვაა როცა მუზათა სამყაროში იჭრება კაცი ნათელი სულითა და გონებით, განსწავლულობით. ასე იშვნენ დიდნი პოეტნი. მერაბ კოსტავა მათ რიგს განეკუთვნება.

პოეტი მერაბი ჩინებულად გადმოგვცემს, თუ როგორ იშვება ლექსი მისი, როგორ ანგრევს სისხლძარღვებს მისას, როგორ მოითხოვს სულის გაღებას ეს უკმარისობის ხანძარი,

**„ლექსი, სიკვდილის ზიარი,**
**შავეთში გადანახედი“.**
**და იქვე დასძენს:**
**„ლექსი ვულკანის სიმძაფრე,**
**ეთერის ჰაეროვნება“.**
**„წარღვნად მოსვლა თუ ინება**
**არიქა განერიდენით“**-ო.

პოეზიის ექსტაზში შესული, აკაკისა არ იყოს, ხან მიწისაა და ხან ცის:

**„ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვდი**
**და ეამბორე მიწას“.**

მერაბ კოსტავას გრძნობა და განსჯა ერთმანეთისათვის არასოდეს დაუშორებია. აი, რას ბრძანებს იგი ლექსში **„სფინქსი“:**

**„და ოდეს ნებას ოკეანეთა**
**გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა,**
**სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა,**
**სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა“.**

ზემოთ ნათქვამი ასევე კარგად იკვეთება ლექსში – **„ეტიუდი c-moll (24)“.** მერაბ კოსტავა თვით უძლიერესი ნების მქონე გახლდათ, მაგრამ მისთვის კარგად იყო ცნობილი ადამიანური სისუსტეები, მიწიერი ცთუნებები, ამადაც აფრთხილებს ნებათა ლაგამწართმეულთ:

**„მე, ოკეანე, არა თუ გარეთ,**
**ადამიანო, შენს სულში ვმძვინვარებ,**
**ნების მოჩლუნგებას განანებ მწარედ,**
**ვერ დამაოკებ და სასტიკად განანებ“.**

მუზა ხომ მთლად ზენაარის მადლია, უფლის დიდი მადლია გადმოსული პოეტზე და თვითონაც თუ მივიდა უფალთან, უდიდესი იმპულსები გადმოდის მასზე და მისი პირით უფალი გვამცნობს აზრს თვისას. **„პოეტის გული გულია მისნის“** – აღნიშნულ აზრს ავითარებს სწორედ ამ სტრიქონში მერაბ კოსტავა. ალბათ ასეცაა, რადგან ხშირ შემთხვევაში ჭეშმარიტი პოეტური ბწკარედები მთელ რიგ წინასწარმეტყველებად იქცევა ხოლმე. განა არ ახდა მისი ნათქვამი ზემოთ განხილულ ლექს-ოდაში **„ძმას ქრისტესმიერს“**, რომელიც უძღვნა სულიერ ძმას, განუმეორებელ მეგობარსა და თანამებრძოლს ზვიად გამსახურდიას:

**„გადაიჭრები გზნებით მყოფადში,**
**დაემკვიდრები ხალხში მითივით,**
**ზეაღმართულო ჩვენს ეპოქაში**
**მიქელანჯელოს კუშტ დავითივით“.**

პოეტ მერაბ კოსტავასთვის ძალზე მახლობელნი არიან პროზისა და პოეზიის მწვერვალთა მპყრობელი ქართველი ქურუმები.

როდესაც მის პოეზიას განვიხილავთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საკმაოდ გრძელი ლექსი მიძღვნილი გალაკტიონ ტაბიძისადმი. პოეტს ერთი ამოსუნთქვითა აქვს გალაკტიონის თითქმის მთელი პოეზია მიმოხილული. უმშვენიერეს ხოტბას ასხამს პოეტთა მეფეს:

**„შენს ხელში ფუნჯი და საჭრეთელი**
**ლექსს ანიჭებდა საოცარ ფერებს,**
**მხატვარიც იყავ, ქვათა მკვეთელიც**
**და როგორც ლითონს ოქრომჭედელი**
**სიტყვებს აზრებად ისე ასხამდი“.**
**„აწყვეტილ რითმებს როს უზავებდი**
**წარმტაც მელოსს და ალიტერაციებს“.**

უსაზღვრო სიყვარული და მადლიერება გამოსჭვივის დიდი პოეტისადმი ყოველ მის რითმაში, ყოველ მის ბწკარში:

**„მამულის გრძნობით შენგან აღვივსეთ,**
**ვცანით ვით მადლის სულში ჩადგომა,**
**მისი აპრილი, მისი მაისი,**
**მისი მკათათვე და შემოდგომა.**
**სილაჟვარდე და სიწმინდე ყოვლის,**
**ივლისის ფერი ყინვის თასები,**
**მშვენიერება ვარდისფერ თოვლის,**
**პორფირის, ძოწის და ატლასების“.**

გალაქტიონის მარგალიტების წნულის სულ ასეთ მუსიკად აუჟღერებია მერაბს მთელი ეს ოდა. ლოგოსის გზნების ძალა ვიგრძენიო – ეუბნება პოეტი მ. კოსტავა ქართველ მგოსანს –

**„ენის ხარისხი, განცდა მშვენების**
**ოდეს მეშვიდე ცამდე ასწიე.**
**რუსთველის მიერ ნაანდერძალი,**
**კვლავ აღგვიდგინე ღმერთების ენა“.**

საოცრად ულამაზესი პოეტური ეპითეტებით ამკობს მერაბი პოეზიის კორიფეს:

**„ხან ავდარივით ქუფრო და ლეგავ,**
**ყველა ქართველზე მეტად ქართველო**
**ჯადოსნურ სიტყვის ალფავ, ომეგავ,**
**საჭეთმპყრობელო და წარმმართველო“.**
**„რუსთველის ჯუფთო, დიდო მგოსანო**
**ვარდისფერ ლილის რომ დაგჭრა ფერმა,**
**დაფნათა ქარში გვირგვინოსანგყო,**
**მეფედ გაკურთხა ქართველმა ერმა“.**

უზომო პატივისცემით შესთხოვს მერაბ კოსტავა მგოსანთა მეფეს, აუწყოს გრაალის **„შობის“** მთელი მისტერია. საინტერესოდ ბჭობს იგი პოეზიის ქართველ ქურუმთა მიერ აღქმულ ზეციურ და მიწიერ სამყაროთა ურთიერთ კავშირზე, მიწაზე ბოროტის ცნობის აუცილებლობაზე, სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე, მიწიერ და ზეციურ ცხოვრებაზე, მესამე გზაზე.

**„მაგრამ გზა იგი, სხვისგან ფარულად,**
**დაუდეგრობით, არდამონებით,**
**შენ გეპყრა მხოლოდ აქ სიყვარულით,**
**იქ სივრცეების დაპატრონებით“.**

აზრს, პოეტთა მეფის ერთადერთობაზე, რომლის შესახებ თავად გალაკტიონიც ბრძანებდა, მერაბი შემდეგი სიტყვებით დასტურჰყოფს:

**„შენ არასოდეს არ მეორდები**
**რჩეულად ჩვენში შენ იწოდები...**
**რადგან არნახულ, არსმენილ დონით,**
**ყველას ერთბაშად გადაიწონი.**
**აუწონადის წონა ხარ კუთრი,**
**რუსთველის ხიბლით განცვიფრებული.**
**პოეტთა მეფევ, რამეთუ უდრი**
**ქართველ მგოსანთა მთელ საკრებულოს“.**

გ. ტაბიძისადმი უფრო დიდი ხოტბა, ვიდრე ამ ლექსში გადმოცემული, ვფიქრობთ, არავის მიუძღვნია. მთელი ოდის ციტირება და გარჩევა ამჯერად შეუძლებელია. იგი, ალბათ ცალკე განხილვის თემა გახდება.

მარადისობასთან თვით გაერთარსებული მერაბი მეფე-პოეტის ცხოვრების დასასრულზე ასე ჩაეკითხება გალაკტიონს:

**„მარადისობამ თავისთან გიხმო...**
**თუ თავად შენ ხარ მარადისობა,**
**წარსული, აწმყო და მერმისობა?“**

ფილოსოფოსი პოეტი მ. კოსტავა ზეციურ საუფლოში ჩინებულად ხედავდა გარდაცვლილის სულის მყოფადობას. სწორედ ამას აღნიშნავს შემდეგი რითმები დიდი მგოსნის გარდაცვალებით ნაკარნახები:

**„მაკროკოსმიურ გადიქეც კაცად...**
**ზოდიაქალურს მოედე ველებს,**
**სად წუთისოფლის დასასრულია,**
**სიცარიელე ჰქრება სრულიად,**
**იწყება რიგი საოცრებების...**
**მხოლოდ სულია თვისი არსებით**
**ყველგან მყოფი და ყოვლის აღმვსები“.**

უდიდესი სულიერი სინატიფის მქონე მერაბი მგოსნის გამოგლოვებასაც კი ულამაზესი პოეტური შედარებებით აღწერს.

**„მახსოვს აპრილმა ყვავილთა ძაძა,**
**ქარის თითებით რომ ჩაისწორა,**
**რტოებს მოსწყვიტა, ზღვასავით დასძრა,**
**მაღლა ასწია, გააცისწორა“.**

როგორი სიყვარულით ეფერება მგოსნის სულს თავადაც ბუმბერაზი პიროვნება და პოეტი.

**„მითხარ, ძვირფასო, რა შეედრება**
**მაკროკოსმოსად თვითგამკვიდრებას.**
**რაც ჭეშმარიტად გზაა ვარგისი,**
**ჩვენი განწმენდის და კათარზისის.**
**შენ საქართველოს თვალის სინათლევ,**
**ხომ მოიპოვე, რაიც ინატრე,**
**დაუსაბამო სახლი სიმართლის,**
**მიუსაფართა თავშესაფარი“.**

ბრძნული და ხატოვანი გამოთქმებითაა სავსე მთელი ეს ოდა. თუ გნებავთ, რად ღირს მარტო ეს ორი ბწკარი:

**„სიკვდილს თვალები იქ შეხვედრია**
**სად უკვდავებას სჭედს შემოქმედი“.**

მერაბისათვის, როგორც ყველა პოეტისათვის, დამახასიათებელია ლირიული გადახვევები. თავისი სათნო და სათუთი ლირიკით კარგად გვახედებს მისი რომანტიული ბუნების უცნობ ლაბირინთებში. ამ ბუნებისა გამო იგი არა ერთხელ აღმოჩენილა ამურის ტყვეობაში. ამან, ბუნებრივია, მის პოეზიაშიც ჰპოვა ასახვა. უსათაურო ერთ-ერთ ლექსში, მშვენიერი სქესის წარმომადგენლისადმი ტრფობით ანთებულ მერაბს აღმოხდება:

**„ვეღარ ვიოკებ შეშლილ სუნთქვის დაწყევლილ ალებს,**
**მივდივარ შენგან, ბალდახინით შევიბურები,**
**საბუდრებიდან ამოვითხრი ყაჩაღის თვალებს,**
**შენ შემოგწირავ, რათა დასძღენ შენი ყურებით.**
**ქარონის ნავით გადავირბენ პირველ ქაოსებს,**
**ეთერის ჭავლებს ავაკვნესებ ცეცხლის ხოფებით,**
**საიქიოშიც მე ვიგლოვებ სააქაოზე,**
**რადგან ძვირფასო, აქ, მიწაზე შენ იმყოფები“.**

პოეტი მ. კოსტავა რომანტიკული ლირიკის ნიმუშებს კიდევ რამდენიმე ლექსით წარმოგვიდგენს. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ – **„ბალღო ლომის ფაფარიანო“.**

**„ვარსკვლავეთისა საუნჯევ,**
**მშვენებავ ედემისაო,**
**ამ სოფლად მოვლინებულო**
**შენ ბინადარო ცისაო“.**

როგორი მხატვრული ოსტატობით აღწერს ქალწულის თმაზე დაცემულ თოვლის ფიფქს ლექსში **„თეთრი ქალწული“.**

**„მწველია, მწველი თმაზე გებული**
**ფიფქი ელვასთან შენაზავები,**
**მთვარის არილში ამოვლებული,**
**იანვრის მზეში ნაბანავები.**
**ღრუბელთა კოშკის ასული შუმი,**
**ამოუცნობი ნიში მისნობის,**
**ფანტელი – დვრიტა თეთრი სიჩუმის,**
**სიჩუმე – კარი მარადისობის“.**

ულამაზესი და მაღალმხატვრული შედარებებითაა აღსავსე ლექსი **„სიზმარი“.**

**„იანვრის ზეცას აგვისტოს ღამე**
**დაადგრა, როგორც სიზმრად ხილული,**
**აფახულებდა ოდეს წამწამებს**
**ცა, ვარსკვლავებით გადაცხრილული“.**

ან კიდევ:

**„ირმის ნახტომის ელვა ყუაზე**
**სივრცის ნაწიბურს ატრიალებდა,**
**და მონასტერის მაღალ გუმბათზე**
**ვარსკვლავიანი ცა ტრიალებდა“.**

მისი სიზმარიც ფერადოვანი და ულამაზესი ფანტაზია იყო. ასეთი ხატოვანი სიზმრები უმშვენიერესი პოეტური შთაგონების ნაყოფია ოდენ.

**„მთვარე რტოებით ცას ჩამოსწყვიტეს**
**და სეირნობა იწყეს ხეებმა.**
**ზმორებ-ზმორებით ნედლი ბალახი**
**ღამის ნიავის ისმენდა ჭორებს:**
**ყვავის ბახალა როგორ გალახეს,**
**ნაგაზი როგორ უღრენდა ხბორებს“.**

**პოეზიის ზეაღმტაცი ძალის წყალობით კი თურმე, აი, რა ყოფილა შესაძლებელი:**

**„აგვისტოს ღამის სიზმარში მჭვრეტელს,**
**იანვრის დილით გამომეღვიძა“.**

ამ ლექსს მთლიანობაში აღვიქვამთ, როგორც სიმღერას. და საერთოდ, მთელი მისი პოეზია უდიდესი მუსიკაა, რომელიც ესოდენ ძალუმად იფრქვევა კოსმიურ სამყაროში და ავსებს მას.

**რუსუდან თორღვაშვილი,**
**მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# სტატია გაზეთ NEIGHBOR NEWSPAPER-ში: ვინ არის ზაზა ფაჩულია?

*საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია "ატლანტა ჰოქსს" პლეი ოფში ვერ დაეხმარა, ფეხი აწუხებდა.*

*მაისის შემდეგ იგი მკურნალობდა და როგორც სანაკრებო პრესკონფერენციაზე გვითხრეს, იგი ეროვნულ გუნდს მოგვიანებით შეუერთდება. რამდენად მალე, მის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.*

*ზაზას მდგომარეობა ამერიკელებსაც ძალიან აინტერესებთ. გამოცემა "ჰუპსვორლდის" კორესპონდენტმა "ატლანტას" სამომავლო გეგმებზე წერისას ხაზი გაუსვა, რომ ფაჩულიას გუნდთან მოქმედი კონტრაქტი აქვს და მომავალ სეზონში ჯორჯიელებს მისი იმედი უნდა ჰქონდეთ.*

*კორესპონდენტმა ასევე გაიხსენა, რომ ზაზამ ფეხის ტრავმის გამო "ბოსტონთან" საპლეიოფო დაპირისპირებები გამოტოვა და კალათბურთელს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაეკითხა.*

*– თავს უკეთ ვგრძნობ, ფეხი აღარ მაწუხებს. რადგან სეზონთშორისი პერიოდია, დატვირთვებს ვერიდები, არ ვჩქარობ და ექიმებთან გავდივარ კონსულტაციებს. ამჟამად ტრენაჟორებთან და ველოსიპედზე ვმუშაობ. იმედი მაქვს, რამდენიმე კვირაში მოედანზე გავალ,– ამბობს ზაზა ფაჩულია, რომელსაც "ატლანტა ჰოქსთან" ოთხწლიანი ხელშეკრულება 2013 წლის ზაფხულში ეწურება.*

### კალათბურთელი, ბიზნესმენი, მეოჯახე

გაზეთ NEIGHBOR NEWSPAPER-ში ქართველ კალათბურთელ ზაზა ფაჩულიას შესახებ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა. ჟურნალისტი დავიდ რუისი პუბლიკაციას შეკითხვით იწყებს: **ვინ არის ზაზა ფაჩულია?** თავადვე პასუხობს:

**"ატლანტა ჰოქსის"** ცენტრია. თუმცა მხოლოდ ცენტრი როდია – ქალაქ ატლანტას ერთ-ერთი გამორჩეული მკვიდრია. ქართველი კალათბურთელი ზაზა ფაჩულია **"ატლანტას"** 2005 წელს შეუერთდა და მას მერე ეს ქალაქი მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა. 28 წლის ზაზა კალათბურთელიცაა, ბიზნესმენიც და მეოჯახეც.

მან სახელი საქვეყნოდ 2008 წელს გაითქვა, როცა **NBA**-ს პლეი ოფში სუპერვარსკვლავ კევინ გარნეტს გაწევ-გამოწევაში არაფერი დაუთმო. მას მერე ქართველმა მტკიცე დამცველისა და კარგი მომხსნელის რეპუტაცია შეიძინა.

2011-12 წლების სეზონში **"ატლანტას"** სასტარტო ცენტრმა ელ ჰორფორდმა მხრის ტრავმა მიიღო, რის შემდეგ მისი ადგილი ზაზა ფაჩულიამ დაიკავა და საშუალოდ 7.8 ქულასა და 7.9 მოხსნას აგროვებდა. **"ატლანტამ"** რეგულარულ ეტაპზე 66-დან 40 მატჩი მოიგო და პლეი ოფში ზედიზედ მეხუთედ ითამაშა.

– მწვრთნელები და თანაგუნდელები ჩემგან ყოველთვის მოედანზე დამატებითი ენერგიის შეტანას, ფარქვეშ მტკიცედ დგომას ელიან. დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება ისეთი ცენტრების მეურვეობისას, როგორიცაა დუაით ჰოვარდი. ვცდილობ, გუნდს ბოლომდე გამოვადგე, – ამბობს ზაზა ფაჩულია.

### კემპი

იგი საკალათბურთო კარიერის პარალელურად მომავალზეც ფიქრობს. ქართველმა ცენტრმა ერთი კვირა დაუთმო **"ატლანტა ჰოქსის"** მიერ ორგანიზებულ ბავშვთა საზაფხულო კემპს, ხოლო მომდევნო კვირას ჩრდილოეთში გაფრინდა და ჰარვარდის უნივერსიტეტში ბიზნესსემინარს დაესწრო.

– ჩვენი კემპისთვის სწორედ ფაჩულიასნაირი კალათბურთელი გვჭირდებოდა. მას საკმარისი გამოცდილება აქვს და ახალგაზრდებთან ურთიერთობაც შეუძლია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოედნის გარეთ სისულელეებს არ სჩადის, – კმაყოფილია საზაფხულო კემპის ორგანიზატორი კიმ კოულმენი.

– მახსოვს, NBA-ს ერთ-ერთი კემპისას ვლადიმერ სტეფანიამ რჩევა მომცა, რომელიც დღესაც ნათლად მახსოვს. იმედი მაქვს, ჩემი სიტყვები პატარა კალათბურთელებს მომავლისთვის გამოადგებათ. ყოველთვის ვცდილობ, ახალგაზრდებს საკუთარი გამოცდილება გავუზიარო. საქმე ხომ ჩვენს მომავალს ეხება, – ეს ფაჩულიას სიტყვებია.

### ბიზნესი

ზაზა სემინარებს ბიზნესის თემაზე აქამდეც დასწრებია, თუმცა ამას მხოლოდ სამომავლოდ როდი აკეთებს – სადღეისოდ ატლანტაში მართავს საკუთარ რესტორანს სახელწოდებით BUCKHEAD BOTTLE BAR.

– ვფიქრობ, გამოცდილებითა და სპეციალური განათლებით დადებითი შედეგის მიღება შეიძლება, – აცხადებს კალათბურთელი, – თუნდაც ისე, როგორც კემპისას: მართალია, ღონისძიებას მწვრთნელის სტატუსით ვესწრებოდი, მაგრამ ახალგაზრდებთან და სხვა მწვრთნელებთან ურთიერთობაში მეც ბევრი ვისწავლე. ასევე ღირებულია პროფესორ-მეცნიერებისგან მიღებული ცოდნა.

### ტრავმა

სამწუხაროდ, ვერანაირი ცოდნა და გათვლა ვერ აღუდგება წინ ტრავმებს, რომლის გამო ზაზა ფაჩულიამ **"ბოსტონ სელტიქსთან"** მნიშვნელოვანი სერია ვერ ითამაშა. ეს მტკივნეული საკითხია 210 სმ სიმაღლის ცენტრისთვის:

– სამწუხაროა, რომ ტრავმა მაინცდამაინც სეზონის ბოლოს მივიღე. ყველა სპორტსმენი მაქსიმალურად ემზადება იმ მომენტისთვის, როცა გუნდს ყველაზე მეტად სჭირდება. დასანანია, რომ ტრავმის გამო სწორედ პლეი ოფის გამოტოვება მომიწია. თუმცა, ვერაფერს შევცვლით, ეს ცხოვრების, თამაშის ნაწილია.

### ივლისი

კალათბურთელი იმედოვნებს, რომ მალე შეუდგება ვარჯიშს. ზაზა ფაჩულიას სიხარულისთვის სხვა მიზეზიც აქვს: მისი მეუღლე თინა ივლისში მესამე ბავშვს ელოდება, პირველ გოგონას. ზაზას უფროსი ვაჟი დავითი სამი წლისაა, ხოლო მეორე, საბა – 2 წლისა.

გასული სეზონი ზაზა ფაჩულიასთვის ორმაგად შეკვეცილი იყო: ჯერ ლოკაუტმა (გაფიცვამ) ჩამოაჭრა ათეულობით თამაში, შემდეგ ტრავმის გამო ქართველი კალათბურთელი გუნდს ბოლო შეხვედრებში ვეღარ დაეხმარა. იგი იმედოვნებს, რომ **"ატლანტაში"** კონტრაქტის მიხედვით დარჩენილ ბოლო სეზონში 82+ თამაშს ჩაატარებს. რეგულარულ ეტაპზე სწორედ 82 შეხვედრაა. ამას პლეი ოფი უნდა მოჰყვეს...

– ატლანტა ჩემი სახლია. შვიდი წელია ამ დიდებულ, ულამაზეს ქალაქში ვცხოვრობ. დიდ პატივს ვცემ ყველა ატლანტელს, ჩემი გუნდის ქომაგს და ძალიან მინდა **"ჰოქსში"** დარჩენა. თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ კალათბურთი ბიზნესია. 2013 წლის ზაფხულში გუნდთან კონტრაქტის ვადა მიმთავრდება და შეიძლება სხვაგან მომიწიოს გადაბარგებამ. რას იზამ, ასეთია სპორტული ცხოვრება...

ჩემთვის ეს მეტად რთული იქნება, მაგრამ მთავარია, რომ ჯერ აქ ვარ და **"ატლანტას"** მაისურით კიდევ ერთ სეზონს ჩავატარებ. იმედი მაქვს, საინტერესო სეზონი გამოვა და გუნდი დიდი წარმატებით იასპარეზებს, რაშიც ჩემი გარკვეული წვლილიც იქნება.

**რედაქციისაგან – ახლახან გახდა ცნობილი, რომ ზაზა ფაჩულიას ოჯახს ქალიშვილი შეეძინა, რასაც გულითადად ვულოცავთ სახელოვან სპორტსმენს და მის მეუღლეს!**



## იუმორი

– ცოლი როგორი გამოგადგა?
– დანარჩენებს აშკარად სჯობია.
– კარგ სადილებს გიმზადებს?
– რა თქმა უნდა.
– ყველაზე კარგად რა გამოსდის?
– თევზის კონსერვი...

* * *

– ეს ვირიშვილი, ესა! – ყვირის მიხო.

– ვიზე ჯავრობ, მიხო? – გამოეხმაურა მეზობელი.

– იმ ჩემს უტვინო ცოლზე!

– რა დააშავა ასეთი?

– ამას წინათ მითხრა, მასწავლებელი გიბარებსო. როცა გამახსენდა, მივედი. ის კიდენა მეუბნება: შენმა ბიჭმა სკოლა შარშან დაამთავრაო! ცოლს რა, არ უნდა შაეხსენებინა?..

* * *

– დღეს სათამაშოდ არ წახვალ, – ეუბნება ბებია შვილიშვილს.

– რატომ, ბებო?

– შუბლზე ხელი დაგადე და ვგრძნობ, როგორ ცხელდები.

– პირიქით, ბებო, შენ ცივდები.

* * *

– მე ნაპოლეონი ვარ! – ამბობს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ახალი პაციენტი.

– რომელი, იმპერატორი თუ ნამცხვარი? – იცინიან დანარჩენი ავადმყოფები.

– არც ერთი და არც მეორე, თქვე მართლა დარეხვილებო. მე ნაპოლეონ ბზიკაძე ვარ.

## სპორტსმენი ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს



მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის პირველობის ხუთგზის გამარჯვებული, სამბისტი უშანგი კუზანაშვილი ხელისუფლებას პოლიტიკური ნიშნით დევნაში ადანაშაულებს. როგორც სპორტსმენის განცხადებაშია აღნიშნული, პოლიტიკური დევნა, რაც ტელეკომპანია **„რუსთავის 2"**-ის ეთერში 2 ივლისს გასულ სიუჟეტსა და კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის 26 ივნისისა და პროკურატურის 29 ივნისის შესაბამის განცხადებებში აისახა, ფონდი **„ქართუს"** მიერ მისთვის ჩარიცხული პრემიალური თანხა გახდა.

როგორც უშანგი კუზანაშვილი აცხადებს, 19 მაისს საქართველოს სახელით კიდევ ერთხელ მოსკოვში იასპარეზა სამბოს ევროპის ჩემპიონატზე და მეხუთედ გახდა ჩემპიონი. ამის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და დახმარებისთვის პირადად მიმართა ფონდ **„ქართუს"**. თხოვნის საფუძველზე ფონდმა 28 მაისს საქველმოქმედო პრემიის სახით პირად ანგარიშზე ჩაურიცხა 10 000 დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარებში, ფონდ **„ქართუსა"** და მას შორის ქველმოქმედების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**„ამ ხელშეკრულების თანახმად, ეს თანხა გაიცა „სპორტული საქმიანობისა და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად". რაც უნდა ეცადოს ხელისუფლება, მოცემული ფაქტი ამომრჩევლის მოსყიდვად ვერ ჩაითვლება, რადგან ფონდი „ქართუს" მხრიდან ეს თანხა ჩემთვის წლების განმავლობაში გაწეული ერთ-ერთი მორიგი დახმარება იყო და არა – პირველი შემთხვევა. ფონდი ქართუ 2007 წლიდან ყოველთვიურად მირიცხავს 1500 ლარს და ასეთ დახმარებას საზოგადოების არაერთი დამსახურებული წევრი იღებს იმავე ფონდიდან მრავალი წლის განმავლობაში"**, – აცხადებს კუზანაშვილი.

ამასთან, სპორტსმენის თქმით, თუ მისთვის ჩარიცხული თანხებით ინტერესდებიან და ეს პოლიტიკური ნიშნით დევნა არ არის, მაშინ ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს მაგალითად, ფონდი **„ქართუს"** მიერ ძიუდოში ევროპის ჩემპიონის, **„ნაციონალური მოძრაობის"** დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენელ ზაზა კედელაშვილისთვის ჩარიცხული თანხებით, რითაც ის დღემდე სარგებლობს; ასევე, დაინტერესდეს კრივის ეროვნული ფედერაციისთვის ჩარიცხული თანხებით, რომლის თავმჯდომარეც პარლამენტარი პეტრე ცისკარიშვილია და სხვა მრავალი ამგვარი საინტერესო ფაქტით.

საქინფორმი

## ბაგრატისა და გელათის საკითხს იუნესკოს კომიტეტი განიხილავს

სანკტ-პეტერბურგში იუნესკოს კომიტეტის სხდომა გაიმართება. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ განაცხადა, იუნესკოს კომიტეტის სხდომაზე განიხილება ბაგრატისა და გელათის ტაძრის საკითხი.

მისი განმარტებით, საქართველო არ არის კომიტეტის წევრი ქვეყანა და დებატებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. **„მსჯელობის მსვლელობისას ქართულ მხარეს მიეცემა საშუალება, თავისი აზრი გამოხატოს"**, – განაცხადა ჯალაღანიამ.

იუნესკოს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილია ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელების წარმომადგენლებითა და ექსპერტებით.

ცნობისთვის: გელათი და ბაგრატის ტაძარი იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში ერთად კომპლექსად არის შეყვანილი.



ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიქინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge